

BP საქართველოში
მდგრადი განვითარების ანგარიში 2013
bp.com/sustainability



BP – უფრო ძლიერი,
უფრო უსაფრთხო

ანგარიშის შინაარსი

წინამდებარე ანგარიში აღწერს კომპანია BP-ის საქმიანობას საქართველოში 2013 წელს და შეიცავს ინფორმაციას 2014 წელს დაგეგმილი მოვლენების შესახებ. ანგარიში მომზადებულია „BP საქართველოს“ მიერ. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია შეეხება საქმიანობის იმ სფეროებს, რომლებშიც კომპანია ოპერატორის ფუნქციას ასრულებს.

ანგარიშში BP-ისა და „BP ჯგუფის“ ხსენებისას იგულისხმება BP p.l.c., მისი ფილიალები და შვილობილი კომპანიები. თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული, ანგარიშში BP p.l.c.-ის, მისი ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების მიერ განხორციელებული ღონისძიებები და საქმიანობა ერთობლივად არის წარმოდგენილი. თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული, ნაცვალსახელები „ჩვენ“ და „ჩვენი“ გულისხმობს BP ჯგუფის იმ კომპანიებს, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ.

თანხები მოყვანილია აშშ დოლარებში, თუ სხვა ვალუტა არ არის მითითებული. ისევე როგორც გასული წლების ყველა ანგარიში, წინამდებარე „მდგრადი განვითარების ანგარიში“ შემოწმებულია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.



ყდაზე: საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს, გარდაბანში მდებარე 1-ლი ნავთობსაქაჩი სადგური (PSG1) ერთ-ერთია საქართველოს ტერიტორიაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე არსებულ ორ ნავთობსაქაჩი სადგურს შორის.

მარჯვნივ: PSG1-ზე სრულდება შემდეგი ოპერაციები: ნავთობის გადაქაჩვა, მილსადენში დიაგნოსტიკური და საწმენდი ხელსაწყოების გატარება, გატარებული ნავთობის ფისკალური აღრიცხვა, საწარმოო პროცესის მონიტორინგი და კონტროლი.

ცენტრში: საშუალოდ კომპანიის 35 თანამშრომელი მუშაობს და ცხოვრობს PSG1-ზე დღის განმავლობაში.

მარცხნივ: მაგისტრალური ტურბინების კორპუსებისა და საკვამლე მილების რიგი გარდაბანში მდებარე 1-ლ ნავთობსაქაჩი სადგურზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის – Ernst & Young-ის შესავალი განცხადება

ჩვენ შეგამოწმეთ BP საქართველოს „2013 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში“, რათა BP-ის ხელმძღვანელობისათვის დაგვედასტურებინა, რომ კომპანიის მიერ საქართველოში მდგრადი განვითარების მხრივ განხორციელებული საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია, განცხადებები და მტკიცებულებები სათანადოდ არის დასაბუთებული ფაქტებით და ახსნა-განმარტებით. ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა და დასკვნები წინამდებარე ანგარიშის 50-ე გვერდზეა მოყვანილი.

გამაფრთხილებელი განცხადება

BP საქართველოს „2013 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში“ შეიცავს გარკვეულ განცხადებებს BP-ის ბიზნესის, საქმიანობისა და სტრატეგიის შესახებ, რომლებიც, თავისი შინაარსით, მომავალს ეხება.

თავისი არსით, სამომავლო განცხადებები შეიცავს გარკვეულ რისკებსა და უზუსტობებს, რადგან ისინი ეხება ისეთ მოვლენებს და დამოკიდებულებას ისეთ გარემოებებზე, რომლებიც მოხდება ან შეიძლება მოხდეს მომავალში. ფაქტური საბოლოო შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამგვარად პროგნოზირებული შედეგებისგან, რაც მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული, მათ

შორისაა: მრეწველობის ამ დარგის ნედლეულით მომარაგების დონე, მოთხოვნის დონე და ფასწარმოქმნა, წარმოებაში შექმნილი პრობლემები, ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა, პოლიტიკური სტაბილურობა და ეკონომიკური მზდა მოცემულ რეგიონში; ცვლილებები ქვეყნების კანონმდებლობებში; ვალუტის კურსის ცვალებადობა; ახალი ტექნოლოგიების შექმნა და დანერგვა, საზოგადოების განსხვავებული მოლოდინი და შეცვლილი ბიზნესგარემო; კონკურენტების საქმიანობა, სტიქიური უბედურებები და არახელსაყრელი ბუნებრივი პირობები; ომები, ტერორისტული და დიფერსიული აქტივობა; აგრეთვე სხვა ფაქტორები, რომლებიც ნახსენებია წინამდებარე დოკუმენტში ან BP-ის 2013 წლის ანგარიშში

და ფორმა 20-F-ში. მდგრადი განვითარების სფეროში გაწეული საქმიანობის ნებაყოფლობითი ანგარიშების ფარგლებში, წინამდებარე ანგარიშში გამოყენებულია გარკვეული მასალები იმ საკითხების წარმოსაჩენად, რომლებზეც, კომპანიის შეხედულებით, შესაძლოა არსებითი ზეგავლენა იქონიონ მდგრადი განვითარების მარეგულატორებზე და/ან, საგარეო დოკუმენტებზე მიყვანილი შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების თვალსაზრისით. ამიტომ, ამ ანგარიშში გამოყენებული მასალები არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული იმგვარად, როგორც მნიშვნელობებით, რომლებიც მათ ენიჭებათ BP p.l.c.-ის მიერ გამოცემულ სხვა დოკუმენტებსა და ანგარიშებს.

სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა

2 შესავალი სიტყვა კომპანიის ხელმძღვანელობისგან

BP საქართველოს გენერალური მენეჯერი 2013 წელს განვითარებულ მოვლენებსა და მომავლის გეგმებს მიმოხილავს.

ძირითადი სფეროები

6 როგორ ვმუშაობთ

BP საქართველოში; კომპანიის მმართველობითი და მენეჯმენტის სისტემები; ჩვენი თანამშრომლები და ჩვენი ღირებულებები; ადამიანის უფლებები; ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეებთან; კომპანიის ადგილობრივი წვლილი.

20 ჩვენი თანამშრომლები და ჩვენი ღირებულებები

ჩვენი პერსონალის შემადგენლობა; თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება; ჩვენი ღირებულებები და BP-ის ქცევის კოდექსი.

ჩვენი ანგარიშები და საქმიანობის მაჩვენებლები

48 BP საქართველო ციფრებში

3 მიღწევები და ამოცანები

4 ჩვენი პროგრესი 2013 წელს

26 შრომის უსაფრთხოება

შრომის უსაფრთხოების მაჩვენებლები; შრომის უსაფრთხოების სფეროს მართვა; რისკების მართვა და რეაგირება საგანგებო სიტუაციებზე.

34 გარემოს დაცვა

გარემოს დაცვის მენეჯმენტი; ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედების მართვა.

38 საზოგადოება

ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან; ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებლობების განვითარება; სოციალური ინვესტირების პროექტები.

50 საგარანტიო განცხადება

Ernst & Young-ის დასკვნები BP საქართველოს „მდგრადი განვითარების ანგარიშზე“.



BP საქართველოს გენერალური მენეჯერის მიმართვა



“

უკვე რამდენიმე წელია, ჩვენ სტაბილურად ვინარჩუნებთ ექსპლუატაციის ეფექტურობის ასეთ მაღალ მაჩვენებლებს და მე მსურს მადლობა გადავუხადო თითოეულ იმ თანამშრომელს, რომელთა ყოველდღიური ძალისხმევა და კარგად შესრულებული სამუშაო განაპირობებს ამ შედეგების მიღწევას.

”

ნინო დანი

2013 წელი კიდევ ერთი წარმატებული წელი იყო ჩვენი შრომის უსაფრთხოებისა და საექსპლუატაციო საიმედოობის თვალსაზრისით. იმ პირობებში, როცა წლის განმავლობაში ნამუშევარი დროის ხანგრძლივობამ სამახევარ მილიონ კაცსათს გადააჭარბა, თანამშრომელთა ტრავმის მხოლოდ ორი შემთხვევა აღინიშნა. კომპანიის ავტორანსპორტმა, სერიოზული ავტოსატრანსპორტო ავარიის გარეშე, გაიარა ცხრა მილიონ კილომეტრზე მეტი. ვინაიდან ჩვენი წლიური ნამუშევარი დროის 70 პროცენტი ჩვენს კონტრაქტორებზე მოდის, ჩვენ ვაგრძელებთ ინტენსიურ მუშაობას კონტრაქტორებთან, მათი შრომის უსაფრთხოების სტანდარტების ასაბეზოებლად. ამ მიმართულებით ვმუშაობთ როგორც უშუალოდ ობიექტებზე, სადაც კონტრაქტორების მიერ სშირად სრულდება რთული ფიზიკური სამუშაოები, მძიმე ტექნიკის გამოყენებით, ზოგჯერ რთულ სამუშაო პირობებში, აგრეთვე ვმუშაობთ კონტრაქტორების ხელმძღვანელობასთან, რითაც შრომის უსაფრთხოების სწორი კულტურის დამკვიდრებას ვუწყობთ ხელს.

ჩვენ კვლავ ვინარჩუნებთ ჩვენი ობიექტების ექსპლუატაციის საიმედოობის მაღალ მაჩვენებლებს. 2013 წელს სამხრეთ კავკასიის გამსადენის ეფექტური სიძლიავერე 99%-ს აღემატებოდა, ხოლო ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენების ექსპლუატაციის ეფექტურობის მაჩვენებელმა ასევე 99%-ს გადააჭარბა. უკვე რამდენიმე წელია, ჩვენი სტაბილურად ვინარჩუნებთ ექსპლუატაციის ეფექტურობის ასეთ მაღალ მაჩვენებლებს და მე მსურს მადლობა გადავუხადო თითოეულ იმ თანამშრომელს, რომელთა ყოველდღიური ძალისხმევა და კარგად შესრულებული სამუშაო განაპირობებს ამ შედეგების მიღწევას. ჩვენი ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების პერსონალის პროფესიონალიზმი სამაგალითოა. ჩვენ ხარისხიანად ვტარებთ ჩვენი ობიექტებისა და აღჭურვილობის პროფილაქტიკურ სარემონტო სამუშაოებს და ამით საიმედოობის მაღალ მაჩვენებლებს ვინარჩუნებთ.

2013 წელს ვაგრძელებდით დაგეგმვისა და საჭირო ნებართვების მოპოვების სამუშაოები სამხრეთ კავკასიის გამსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე ორი ახალი საკომპრესორო სადგურის და გამსადენის დაახლოებით 62 კილომეტრი სიგრძის ახალი სექციის მშენებლობას, მოქმედი გამსადენის პარალელურად. ჩვენ დავასრულეთ კონსულტაციების სავალდებულო პროცესი პროექტის პოტენციური ზემოქმედების არეალში მოქცეულ საზოგადოების ჯგუფებთან, მათ შორის, ადგილობრივი მოსახლეობასთან, პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთების მესაკუთრებთან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ცენტრალური მთავრობის შესაბამის უწყებებთან და სხვა მხარეებთან. 2013 წელს გადავლახეთ პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, კერძოდ, საქართველოს მთავრობამ დამტკიცა პროექტის „ბუნებრივი და სოციალური გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“ (ESIA), რომელშიც დოკუმენტურად არის აღრიცხული ზემოხსენებული კონსულტაციებისა და ინფორმაციის შეგროვების ფართომასშტაბიანი პროცესის შედეგები. ანგარიშზე მუშაობის პროცესში დავცხმარა ნდობაზე დამყარებული ის ურთიერთობა, რომელიც წლების მანძილზე ჩამოვყალიბებდით სხვადასხვა მხარესთან, ჩვენი წინა პროექტების განხორციელებისა და მიმდინარე საქმიანობის პროცესში. სამხრეთ კავკასიის გამსადენის სისტემის

გაფართოების პროექტის განხორციელებით, რომელიც კასპიის ზღვაში მდებარე შაპ დენიზის საბადოს ათვისების მე-2 ეტაპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, ჩვენ ვმონაწილეობთ სამხრეთის გაზის დერეფნის შექმნაში, რომელიც კავკასიის რეგიონს ევროპის ქვეყნების მომხმარებლებთან დააკავშირებს. მომავალი სამხრეთის დერეფანი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია მთლიანად რეგიონის მასშტაბით.

ამ უმსხვილესი პროექტის ფარგლებში უკვე ჩატარდა ფართომასშტაბიანი სამუშაო და მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა, თუმცა ფიზიკური სამშენებლო სამუშაოები მხოლოდ ახლა იწყება, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან, რომელთა შესახებ ჩვენთვის ჯერ კიდევ წინა პროექტებიდან არის ცნობილი. მომავალი პროექტი ახალ მოთხოვნებს წაუყენებს ჩვენს თანამშრომლებს. მათი ამოცანა იქნება, რომ შეინარჩუნონ მიმდინარე ოპერაციების საიმედოობის მაღალი ხარისხი და, იმავედროულად, საკუთარი რესურსი ახალი მასშტაბური პროექტის განხორციელებას მოახმარონ. პროექტი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენებს ჩვენს ადგილობრივ კონტრაქტორებსაც. პროექტის მშენებლობის ეტაპზე გათვალისწინებულია 400 მილიონი დოლარის დახარჯვა ადგილობრივი კონტრაქტორების მომსახურებაზე. სირთულე უკავშირდება იმას, თუ რამდენად გააჩნიათ ადგილობრივი კონტრაქტორები შესაძლებლობა და კომპეტენცია, რომ ჩვენ მიერ მოთხოვნილი მაღალი სტანდარტებით იმუშაონ. პროექტის განხორციელების პროცესში ჩვენ დავგჭირდებით პროფესიონალი ადგილობრივი კადრები, მაგალითად, აღიარებული სტანდარტების მიხედვით სერტიფიცირებული შემდგომელები, ელექტრიკოსები, მილსადენის შემონახველები.

მომავალში, მრავალი ახალი შესაძლებლობის გაჩენასთან ერთად, არაერთი სირთულეც მოგველის, თუმცა, უკვე დღეს, არა მარტო ჩვენს ბიზნესში, არამედ მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, სახეზეა პროცესები, რომლებიც მიანიშნებს, რომ ქვეყანას სულ უფრო მეტად შესწევს უნარი, რომ თავი გაართვას მის წინაშე მდგარ ამოცანებს. ერთ-ერთი პოზიტიური ნიშანია ის ფაქტი, რომ 2013 წელს, არჩევნების შედეგად ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ქვეყანაში სწრაფად ჩამოყალიბდა ბიზნესის ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელი სტაბილური გარემო. ჩვენ მოუთმენლად ვვლით მომავალ ნაყოფიერ თანამშრომლობას ახალ მთავრობასთან და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ბიზნესსაქმიანობითა და მრავალმხრივი სოციალური ინვესტირების პროგრამებით, მომავალშიც შევტანთ წვლილს ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში.

იმ ხუთი წლის განმავლობაში, რაც მე საქართველოში BP-ის გენერალური მენეჯერის თანამდებობა მეკავა, ბევრი სასიკეთო ცვლილების მომსწრე გახვდი. წარმატებას ვუსურვებ ჩემს შემცვლელს – კრის შლიტერს, რომელიც მარტიდან ჩაუდგება სათავეში BP-ის ბიზნესს საქართველოში. ვიმედოვნებ, რომ მისი ხელმძღვანელობით კომპანია ღირსეულად გაართმევს თავს მომავალ ახალ გამოწვევებს.

ნინო დანი

BP საქართველოს გენერალური მენეჯერი
თებერვალი, 2014 წელი

მიღწევები და ამოცანები

ანგარიშის ეს თავი მიმოიხილავს ჩვენს ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევებს 2013 წელს და ჩვენს სამომავლო ამოცანებს.

მიღწევები

ექსპლუატაციის ეფექტურობა: 2013 წელს გაგავრძელეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სამივე მილსადენის ექსპლუატაცია უსაფრთხოდ და ეფექტურობის მაღალი მაჩვენებლებით და წარმატებით დავასრულეთ პროფილაქტიკური ტექნოლოგიური სამუშაოები და მოდიფიკაციის სამუშაოები მნიშვნელოვანი პროექტი. (იხ. გვერდი 8).

ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მაჩვენებლები: წლის განმავლობაში, ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის კარგი მაჩვენებლები შევინარჩუნეთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საქმიანობის პროცესში თანამშრომელთა ტრავმის ორი ინციდენტი აღინიშნა, ჩვენი ოპერაციებისა და პროექტების მიმდინარეობის პროცესში არ მომხდარა სერიოზული ავტოსატრანსპორტო შემთხვევა ან მსხვილმასშტაბიანი ავარია, იმ პირობებში, როცა მთლიანმა ნამუშევარმა დრომ დაახლოებით 3,7 მილიონი კაცსათი შეადგინა, ხოლო ავტოსატრანსპორტით გავლილი კილომეტრების მაჩვენებელმა ცხრა მილიონს გადააჭარბა (იხ. გვერდი 27).

„ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ანგარიშის დამტკიცება: საქართველოს მთავრობამ დავამტკიცა სამხრეთ კავკასიის გამსაღდენის სისტემის გაფართოების პროექტის (SCPX) „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ანგარიში (ESIA) და დავიწყეთ პროექტით გათვალისწინებული მოსამზადებელი სამუშაოები. პარალელურად, ვაგრძელებთ მუშაობას საქართველოს მთავრობასთან, ტექნიკურ პროექტში შეტანილი ცვლილებების დასამტკიცებლად. (იხ. გვერდი 12 და 35).

პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბება: გაგავრძელეთ პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბება ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან საქართველოში. დავამყარეთ ურთიერთობა საქართველოს ახალ მთავრობასთან, გაგავრძელეთ ჩვენი სოციალური პროგრამები და ისინი SCPX პროექტის ზემოქმედების არეალში მოქმედულ დასახლებებზე გავავრცელეთ. (იხ. გვერდი 40).

ამოცანები

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) უსაფრთხო ექსპლუატაცია: ამ მილსადენის ტექნიკური მომსახურებისა და მონიტორინგის პროცესში გამუდმებით იქმნება სირთულეები, რაც გამოწვეულია მილსადენის ზოგიერთი სექციის ასაკით, რასაც ემატება ის ფაქტი, რომ მილსადენი გეოლოგიური საშიშროებების შემცველ უბნებსა და მრავალ მდინარეს გადაკვეთს. (იხ. გვერდი 8).

პერსონალის კვალიფიკაცია: მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში, სამხრეთ კავკასიის გამსაღდენის სისტემის გაფართოების პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები სამუშაოების ეტაპიდან სრულმასშტაბიან მშენებლობაზე გადასვლასთან ერთად, ჩვენ დავგეგმავთ საერთაშორისო დონის კვალიფიკაციის მქონე კონტრაქტორები, რომელთაც ჩვენი მაღალი სტანდარტებით მუშაობის უნარი შესწევთ. (იხ. გვერდი 21).

კონტრაქტორების საქმიანობის გაუმჯობესება: ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას კონტრაქტორებთან, მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორებიცაა, შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა, დასაქმების პრაქტიკა და სოციალური რისკების შეფასება. (იხ. გვერდი 29).

ჩვენი ოპერაციების საიმედოობის ხარისხის შენარჩუნება: განსაკუთრებული ყურადღება გვმართებს, რათა შევინარჩუნოთ ჩვენი მიმდინარე ოპერაციების საიმედოობის მაღალი მაჩვენებლები და, იმავდროულად, ვიმუშაოთ მომავალი მსხვილმასშტაბიანი პროექტის განხორციელებაზე, რომელიც სამხრეთ კავკასიის გამსაღდენის სისტემის გაფართოებას ითვალისწინებს. (იხ. გვერდები 15–16).

ჩვენი ღირებულებები

BP-ის ახალი ღირებულებების დანერგვა საქართველოში 2011 წლის ბოლოდან დაიწყო. 2012 წლის განმავლობაში ჩვენ ჩავატარეთ ახალი ღირებულებების გასაცნობი კამპანია თანამშრომლებისათვის, რათა უკეთ წარმოგვეჩინა მათი მნიშვნელობა თითოეული თანამშრომლის ყოველდღიურ საქმიანობაში. ეს ღირებულებები უკვე ასახულია BP-ის „ქვეყნის კოდექსში“, რაც ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობას ყოველდღიურ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

უსაფრთხოება

ჩვენი საქმიანობის საფუძველი ჩვენი თანამშრომლებისა და ჩვენი ობიექტების ირგვლივ მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვაა. ჩვენ ასევე ვზრუნავთ გარემოს უსაფრთხოებაზე და ალბულის გავრცელების აღკვეთაზე, რომ უსაფრთხოდ მოვამარაგოთ მსოფლიო ენერგორესურსებით.

პატივისცემა

ჩვენ პატივისცემით ვეპყრობით გარემოს, რომელშიც ვსაქმიანობთ. პირველ რიგში, ეს გამოიხატება ქვეყნის კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესრულებით. ჩვენ საკუთარ თავს ვუდგენთ უმაღლეს ეთიკურ სტანდარტებს და ვიქცევით იმგვარად, რომ ირგვლივ მყოფთა ნდობა დავიმსახუროთ.

სრულყოფილება

ჩვენს ბიზნესს თან ახლავს პოტენციური საფრთხეები და ჩვენ გამუდმებით ვცდილობთ, მაქსიმალურად დავხვეწოთ ჩვენი ოპერაციები და თანმიმდევრულად და რაციონალურად გმართოთ ჩვენი ბიზნესი. ჩვენ შედმიწვენი ვიყავით და ვასრულებთ იმ წესებსა და ნორმებს, რომლებიც ჩვენი კომპანიისთვის დავადგინეთ.

გამბედაობა

ხშირად, საუკეთესო შედეგების მიღწევა ჩვენგან მოითხოვს გამბედაობას, რომ გავუმკლავდეთ სირთულეებს, ლიად გამოვხატოთ ჩვენი აზრი და არ გადავუხვიოთ ჩვენს პრინციპებს. ჩვენ მუდამ ვცდილობთ, რომ ვიმოქმედოთ სწორად. ვეძებთ ახალ ხედვებს და დახმარების თხოვნის არ გვეშინია.

ერთი გუნდი

რა ინდივიდუალური ღირსებებიც არ უნდა გაგვანდეს თითოეულ ჩვენგანს, ერთობლივი ძალისხმევით გაცილებით მეტს მივაღწევთ. ჩვენ გუნდის ინტერესებს პირად წარმატებაზე წინ ვაყენებთ და ვზრუნავთ მთელი გუნდის პოტენციალის ამაღლებაზე.

ჩვენი პროგრესი 2013 წელს

ანგარიშის ამ თავში ასახულია დღემდე მიღწეული შედეგები და ჩვენი სამომავლო გეგმები.

როგორ ვმუშაობთ

საქართველოში ჩვენი საქმიანობა მთლიანად მიესადაგება BP-ის მიდგომებს მდგრადი განვითარების საკითხების მიმართ, ჩვენს სტრატეგიას, ღირებულებებს, მენეჯმენტის სისტემებსა და პროცესებს.

- გავაგრძელებთ ნავთობისა და გაზის რესურსების უსაფრთხო და უდრანკარგო ტრანსპორტირებას, საქართველოს ტერიტორიის გავლით, მსოფლიოს ბაზრების მიმართულებით.
- ვიზრუნებთ ჩვენი ადგილობრივი თანამშრომლებისა და კონტრაქტორი კომპანიების კვალიფიკაციის ამაღლებაზე.
- ჩვენს მუშაობას წარმოვართავთ BP-ის ღირებულებებისა და „ქვეყნის კოდების“ მოთხოვნების შესაბამისად.

308 მლნ

გავრძელდა სამხრეთ კავკასიის გამსაღწევისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ექსპლუატაცია 99%-ზე მეტი ეფექტურობით და განხორციელდა 308 მილიონ ბარელზე მეტი მოცულობის ნახშირწყალბადების უსაფრთხო ტრანსპორტირება.



გავრძელებთ მუშაობას ჩვენი ღირებულებებისა და „ქვეყნის კოდების“ შესაბამისად, გამართული მმართველობითი სისტემების ფარგლებში.

- გავაგრძელებთ ჩვენი მოქმედი ობიექტების უსაფრთხო და ეფექტური ექსპლუატაციას, რითაც ხელს შევუწყობთ ქვეყნის ეკონომიკის წინსვლას და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.
- გავაგრძელებთ WCPX პროექტის განხორციელებას, შეძლებისდაგვარად გავზრდით ადგილობრივ კომპანიებზე დახარჯული ინვესტიციების მოცულობას და მათი მონაწილეობის წილს მომავალ პროექტში.
- გავაგრძელებთ მუშაობას ჩვენი ადგილობრივი თანამშრომლების კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარების ასაღრმავლებლად.

- ვრცელი ინფორმაცია რისკების მართვის პროცესის შესახებ იხილეთ მე-14 გვერდზე.
- SCPX პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ვებსაიტზე: bpgeorgia.ge.

ჩვენი თანამშრომლები

ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ, რათა ჩვენს თანამშრომლებს შევუქმნათ პროფესიული განვითარების შესაძლებლობები ისეთი სამუშაო გარემოში, რომელშიც ურთიერთობებს კონკრეტული ღირებულებები და „ქვეყნის კოდების“ მკაფიოდ გაცხადებული პრინციპები განსაზღვრავს.

- ვიზრუნებთ ჩვენი ადგილობრივი თანამშრომლების კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარების ამაღლებაზე.
- თანამშრომლებს შევუქმნით პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, ქვეყნის ფარგლებს გარეთ გრძელვადიანი სამუშაო მივლინებების და სპეციალურად მათზე მორგებული სასწავლო პროგრამების მეშვეობით.
- ხაზგასმით წარმოვაჩინთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი საქმიანობის წარმართვა BP-ის „ქვეყნის კოდების“ მოთხოვნების შესაბამისად.

94%

საქართველოში BP-ის თანამშრომელთა საერთო რაოდენობის 94%-ს საქართველოს მოქალაქეები შეადგენენ.



4

დამატებით 4 კურსდამთავრებული დავასაქმეთ 2013 წელს, „Challenge“ პროგრამის ფარგლებში. მეტი თანამშრომელი გავაგზავნეთ სამუშაო მივლინებით ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

შრომითი საქმიანობის შეფასების ყოველწლიური პროცესის ფარგლებში, თანამშრომლებს მოეთხოვებათ „ქვეყნის კოდების“ მოთხოვნების შესრულების ოფიციალურად დადასტურება.

- შევიწარმინებთ საქართველოს მოქალაქეების მაღალ ხვედრით წილს კომპანიის პერსონალის შემადგენლობაში.
- ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე თანამშრომლებს მივცემთ შესაძლებლობას, რომ აიმაღლონ მართვის უნარ-ჩვევები.

- სტატისტიკური მონაცემები ჩვენი პერსონალის შემადგენლობის შესახებ იხილეთ 21-ე გვერდზე.
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 21-ე გვერდზე.

შრომის უსაფრთხოება

გავრძელებთ ძალისხმევას, რომ შრომის უსაფრთხოება და საოპერაციო რისკების მართვა ჩვენი ნებისმიერი საქმიანობის განუყოფელ ნაწილად ვაქციოთ.

- სისტემური მიდგომებით უზრუნველყოფთ მაღალეფექტურ, უსაფრთხო და საიმედო ოპერაციებს.
- განვსაზღვრავთ და ვმართავთ რისკებს, ვატარებთ საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის ტრენინგებსა და სავარჯიშო ღონისძიებებს.
- ვზრუნავთ ჩვენი თანამშრომლების, კონტრაქტორებისა და ვიზიტორების ჯანმრთელობის დაცვაზე, აგრეთვე იმ ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, რომლებიც ჩვენი ობიექტების სიახლოვეს ცხოვრობენ და მუშაობენ.

3.7 მლნ

კაცსაათი ნამუშევარი დროისა და ავტორიზაციით 9,5 მილიონი კილომეტრის გავლის პირობებში, ჩვენს საქმიანობაში არ მოხდარა თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევა ან მსხვილმასშტაბიანი ავარია.

გავაწარმოეთ პროფესიული ჯანდაცვისა და საწარმოო ჰიგიენის ფართო სპექტრის პროგრამები.

103

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საწარმოო ღონისძიება ჩატარებულა 2013 წელს უსაფრთხოების სრული დაცვით.

- გავაგრძელებთ მაღალეფექტურ მუშაობას, უსაფრთხოებისა და საიმედოობის მაღალი მაჩვენებლებით.
- გავაგრძელებთ მუშაობას ჩვენი ინდივიდუალური და საწარმოო უსაფრთხოების დაცვის სფეროში მიღწეული შედეგების გასაუმჯობესებლად.
- ისევე როგორც გასულ წლებში, გავაგრძელებთ მუშაობას კონტრაქტორებთან, შრომის უსაფრთხოების კულტურის დამკვიდრებისა და თვითშეგნების ამაღლების მიზნით.

- კონტრაქტორებთან მუშაობის შესახებ ვრცელი ინფორმაცია იხილეთ 29-ე გვერდზე.
- ჩვენი კრიზისული სიტუაციების მართვისა და ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფის სისტემა აღწერილია 30-ე გვერდზე.

რა მიზანი დავისახეთ

რას მივაღწიეთ

რას ვაპირებთ

დამატებითი ინფორმაცია

გარემოს დაცვა

ჩვენ ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში და გამუდმებით ვცდილობთ, რომ გავაუმჯობესოთ ჩვენი გარემოსდაცვითი საქმიანობის მაჩვენებლები.

- ჩვენს საქმიანობას წარმართავთ გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის – ISO 14001-ის მიხედვით.
- გავაანალიზებთ და გავაკონტროლებთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეულ ზემოქმედებას გარემოზე – ატმოსფერულ ჰაერზე, ნიადაგსა და წყლის რესურსებზე და მუდმივად ვიზრუნებთ ჩვენი მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე.
- დავეხმარებით კონტრაქტორებს, რათა მათი საქმიანობა ჩვენს გარემოსდაცვით სტანდარტებს მიესადაგებოდეს.

ISO 14001

ჩვენი ISO 14001 სერტიფიკატი ოფიციალურად განახლდა, სამი წლის ვადით.



საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სამხრეთ კავკასიის გამსაღწილის სისტემის გადართობის პროექტის „ბუნებრივი და სოციალური გარემოზე ზემოქმედების შეფასება“ (ESIA); გავატარეთ დამატებითი ღონისძიებები ჩვენი ობიექტების ექსპლუატაციით გამოწვეული ზემოქმედების მასშტაბების შესამოწმებლად.

გავაძლიერეთ გარემოსდაცვითი კომპონენტი კონტრაქტორების საქმიანობაში.

- გავაგრძელებთ სისტემური მიდგომების გამოყენებას გარემოსდაცვითი სფეროს მართვის საკითხში.
- შევამყარებთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეულ ზემოქმედებას გარემოზე – ატმოსფერულ ჰაერზე, ნიადაგსა და წყლის რესურსებზე.
- დავწერგავთ პროცესებს და მოვამზადებთ პერსონალს, რათა მომავალშიც უზრუნველყოთ მაღალი შედეგები გარემოს დაცვის სფეროში.

❓ იხილეთ დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი კონსულტანტის (IEC) აუდიტის დასკვნები ვებსაიტზე: bp.com.

🔍 ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედების მართვის მეთოდები აღწერილია 37-ე გვერდზე.


საზოგადოება

ჩვენი მიზანია, რომ ჩვენმა საქმიანობამ სარგებელი მოუტანოს ადგილობრივ მოსახლეობას და ამისათვის ვახორციელებთ პროგრამებსა და ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსახლეობის პოტენციალის ზრდას და ბიზნესის განვითარებას.

- ჩამოვაცალიებთ ღია და კონსტრუქციულ ურთიერთობას ჩვენი ობიექტების ახლომდებარე დასახლებების მოსახლეობასთან.
- სოფლის მეურნეობის, სოფლის ინფრასტრუქტურისა და ბიზნესის განვითარების ინიციატივების მეშვეობით, ხელს შევუწყობთ ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას.
- ვიზრუნებთ, რომ უზრუნველყოთ გრძელვადიანი სარგებელი საქართველოს მოსახლეობისთვის.

შევიწარმუნეთ აქტიური ურთიერთობა მოქმედი მოსახლეობის მარშრუტების სიახლეებს მცხოვრებ მოსახლეობასთან და ჩვენს პროგრამებში ჩაერთეთ მომავალი SCPX პროექტის ობიექტების მიმდებარე დასახლებების მოსახლეობა.

\$25 მლნ



დოლარის ოდენობის ინვესტიცია განვითარებულ სოციალურ პროექტებში უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში.

გასული ათი წლის განმავლობაში, დავაფინანსეთ მრავალფეროვანი პროექტები სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, განათლების, ეკონომიკური განვითარების, ბიზნესის განვითარების, კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვის სფეროებში.

- განვაძლიერებთ პოზიტიურ ურთიერთობას, რომელიც უკვე ჩამოვყალიბებთ ჩვენი მოქმედი ობიექტების მიმდებარე დასახლებების მოსახლეობასთან.
- გავაგრძელებთ ადგილობრივი მოსახლეობის უნარ-ჩვევების განვითარებისკენ მიმართული პროექტების მხარდაჭერას.
- გავაგრძელებთ ადგილობრივი ეკონომიკისა და წარმოების განვითარების ხელშეწყობას.

🔍 ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის შესახებ ვრცელი ინფორმაცია იხილეთ მე-40 გვერდზე.

❓ „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის“ კვარტალური ანგარიშები იხილეთ ვებსაიტზე: bpgeorgia.ge.



როგორ ვმუშაობთ

საქართველოში ჩვენი საქმიანობა მთლიანად მიესადაგება BP-ის მიდგომებს მდგრადი განვითარების საკითხების მიმართ, ჩვენს სტრატეგიას, ღირებულებებს, მენეჯმენტის სისტემებსა და პროცესებს.

რა მიზანი დავისახეთ

გავაგრძელებთ ნავთობისა და გაზის რესურსების უსაფრთხო და უდანაკარგო ტრანსპორტირებას, საქართველოს ტერიტორიის გავლით, მსოფლიოს ბაზრების მიმართულებით.

ვიზრუნებთ ჩვენი ადგილობრივი თანამშრომლებისა და კონტრაქტორი კომპანიების კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

ჩვენს მუშაობას წარგმართავთ BP-ის ღირებულებებისა და „ქვეყნის კოდების“ მოთხოვნების შესაბამისად.

რას მივალწიეთ

გავრძელდა სამხრეთ კავკასიის გამსადენისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ექსპლუატაცია 99%-ზე მეტი ეფექტურობით და განხორციელდა 308 მილიონ ბარელზე მეტი მოცულობის ნახშირწყალბადების უსაფრთხოდ ტრანსპორტირება.

გავრძელებთ მუშაობას ჩვენი ღირებულებებისა და „ქვეყნის კოდების“ შესაბამისად, გამართული მმართველობითი სისტემების ფარგლებში.

რას ვაპირებთ

გავაგრძელებთ ჩვენი მოქმედი ობიექტების უსაფრთხო და ეფექტიან ექსპლუატაციას, რითაც ხელს შევუწყობთ ქვეყნის ეკონომიკის წინსვლას და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

გავაგრძელებთ WCPX პროექტის განხორციელებას, შეძლებისდაგვარად გავზრდით ადგილობრივ კომპანიებზე დახარჯული ინვესტიციების მოცულობას და მათი მონაწილეობის წილს მომავალ პროექტში.




გავაგრძელებთ მუშაობას ჩვენი ადგილობრივი თანამშრომლების კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარების ასამაღლებლად.



BP საქართველოში

საქართველოში ჩვენს საქმიანობას წარვმართავთ ჩვენი ღირებულებების, სისტემებისა და პროცედურების შესაბამისად.

BP-ის ინტერესები საქართველოში



BP ნავთობისა და გაზის ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა მსოფლიოში – საერთო საბაზრო ღირებულების, დამტკიცებული მარაგებისა და წარმოების მოცულობის მიხედვით. ჩვენი მიზანია, შევქმნათ სარგებელი ჩვენი აქციონერებისათვის, უზრუნველყოთ ენერგიის მიწოდება უსაფრთხოდ, საიმედოდ და ენერგორესურსებზე მზარდი მოთხოვნის გათვალისწინებით. ჩვენ, მსოფლიოს მასშტაბით, დაახლოებით 84 ათას თანამშრომელს ვსაძღვრებთ. 2013 წელს წიაღისეულის საძიებო და მოპოვების ბიზნესს ვაწარმოებდით 27 ქვეყანაში, მათ შორისაა, საქართველოს ტერიტორიის გავლით ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების ოპერაციები.

საქართველოში BP ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის ოპერატორია, ენერგოკომპანიებისა და ინვესტირებისგან შემდგარი ორი საერთაშორისო კონსორციუმის სახელით. ამ მიწასადენების ექსპლუატაციის პერიოდი მერვე სრულ წელს ითვლის. ერთ დერეფანში, ერთმანეთის პარალელურად გაყვანილი ნავთობსადენი და გაზსადენი საქართველოს ტერიტორიას 248 კმ სიგრძეზე გადაკვეთს. საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ორი ნავთობსაქაჩი სადგური, სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გამგამანაწილებელი, წნევის მარეგულირებელი და გამგამოში სადგურები. ნავთობსადენზე დამონტაჟებულია 16 ჩამკეტი სარქველი და 11 უკუსარქველი, ხოლო გაზსადენზე – ექვსი ჩამკეტი სარქველი.

გარდა ამისა, ენერგოკომპანიების საერთაშორისო კონსორციუმის მიერ BP დანიშნულია დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (იგივე, ბაქო-სუფსის ნავთობსადენის) ოპერატორად. ამ ნავთობსადენის 373 კილომეტრიანი მონაკვეთი საქართველოს ტერიტორიაზე გადის და აღჭურვილია 27 ჩამკეტი სარქველი, ოთხი უკუსარქველი და ერთი ინტეგრირებული ჩამკეტი და უკუსარქველის სადგურებით. ნავთობსადენით კასპიის ზღვის სანაპიროს ტერიტორიიდან ნავთობი შავ ზღვაზე მდებარე სუფსის ნავთობტერმინალს მიეწოდება.



თანამშრომლები BTC ნავთობსადენის 1-ლ ნავთობსაქაჩი სადგურზე მუშაობის დროს.

ჩვენ მუდმივად ვცდილობთ ჩვენი ბიზნესის ხელსაყრელ სტრატეგიულ პოზიციონირებას ბაზარზე. ამიტომ, 2013 წელს ჩვენ გავყიდეთ ჩვენი წილი საქართველოში შექმნილ ერთობლივ საწარმოში Air BP, ვინაიდან ბაზრის ამ სეგმენტში კონკურენტულ უპირატესობას არ ვფლობდით.

ძირითადი საექსპლუატაციო მაჩვენებლები 2013 წელს

2013 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით გადაზიდული ნავთობის მოცულობამ 249 მილიონ ბარელს გადააჭარბა, ხოლო დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენით დაახლოებით 30 მილიონი ბარელი ნავთობი გადაიზიდა, ამასთან, ორივე ნავთობსადენის ექსპლუატაციის ეფექტურობის მაჩვენებელმა 9996-ს გადააჭარბა. ჩვენ უსაფრთხოდ მოვახდინეთ 170 მილიარდზე მეტი სტანდარტული კუბური ფუტი გაზის ტრანსპორტირება, რაც დაახლოებით 30 მილიონი ბარელი ნავთობის ეკვივალენტს უდრის.

2013 წლის განმავლობაში, 329 ტანკერი დაიტვირთა ნავთობით, თურქეთის ხმელთაშუა ზღვისპირეთში მდებარე ჯეიჰანის საზღვაო ტერმინალზე, სადაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ბოლოვდება, ხოლო სუფსის ტერმინალიდან გავიდა ბაქო-სუფსის ნავთობსადენით გადაზიდული ნავთობით დატვირთული 50 ტანკერი.

BP-ის ინტერესები კასპიის ზღვის რეგიონში



ტექნიკოსი ამოწმებს გამომი ხელსაწყოს მე-2 ნავთობსაქაჩი სადგურზე.

ტექნიკური მომსახურებისა და მთლიანობის უზრუნველყოფის სამუშაოები

2013 წელს რამდენიმე პროექტი განვახორციელეთ, მილსადენებისა და მილსადენების ობიექტების ტექნიკური მომსახურებისა და მთლიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

გაბიონები ნავთობსადენის მთლიანობის დასაცავად

საშიში გეოლოგიური მოვლენები მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ფიზიკურ მთლიანობას, რადგან ნავთობსადენი მეწყერული პროცესებისკენ მიდრეკილ და სეისმურად აქტიურ ტერიტორიებს გადაკვეთს.


2013 წლის აპრილში მეწყერის ჩამოწოლის ინციდენტზე ოპერატიული რეაგირების მიზნით, ჩატარდა გადაუდებელი გამაგრებითი სამუშაოები, მათ შორის, მილსადენის გაყოფებით რამდენიმე უბანზე მოეწყო გაბიონები – მავთულის ბადეებში მოთავსებული ქვის ლოდებით ნაგები მყარი კონსტრუქციები.

ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ოპერაციების მენეჯერის – ტარიელ მარგველაშვილის განმარტებით, „თოვლის დნობამ და ნიადაგის ტენიანობის მატებამ, რასაც თან დაერთო წვიმის უხვი ნალექი, აპრილში მეწყერის ჩამოწოლა გამოიწვია. მეწყერის სხეულმა სიგანეში 26 და სიგრძეში 80 მეტრს მიაღწია, ხოლო მეწყერის საფეხურის სიმაღლე 1,5-დან 6 მეტრამდე იყო. ამ პროცესებმა გამოიწვია მილის გაშიშვლება ოთხი მეტრის სიგრძეზე, თუმცა დედაქანზე დაყრდნობილი მილი ადგილზე დარჩა. გარდა ამისა, 25 მეტრზე გაშიშვლდა ძველი, ექსპლუატაციიდან გამოსული მილის სექცია.“

მეწყერის ჩამოწოლისთანავე ჩავატარეთ ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლა, რომლის შედეგებზე დაყრდნობით დაგვეგმეთ გამაგრებითი სამუშაოები და დაგვიწყეთ გაბიონების შენიშვნა. როგორც კი შემოვიდა პირველი შეტყობინება მილსადენის ექსპლუატაციის ნორმალური რეჟიმის დარღვევის შესახებ, მოხილვებულ იქნა ყველა არსებული რესურსი, გატარდა გადაუდებელი ღონისძიებები და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასება“.

ტარიელის შეფასებით, შექმნილ სიტუაციაზე რეაგირება იყო სწრაფი და ქმედითი. „ეს იყო BP-ს სხვადასხვა ქვედანაყოფის ერთ გუნდად მუშაობის კარგი მაგალითი. ჩვენ შევძელით, რომ შეგვეწარმოებინა მილსადენის ფიზიკური მთლიანობა, გავატარეთ ყველა საჭირო ზომა ისე, რომ თავიდან ავიცილებთ ზიანი ადამიანების, გარემოსა და კომპანიის მიმართ“.

მიღებული გამოცდილებიდან რამდენიმე დასკვნა გამოიტანეთ და ახლა უფრო მომზადებული ვართ, რომ საჭიროების შემთხვევაში, ანალოგიური ზომები გაატაროთ სხვა ხეობების გადაკვეთებზე.



გემსაბმელი ჯაჭვების გამოცვლის სამუშაოები სუფსის ნავთობტერმინალზე.

ტექნიკურად ყველაზე რთული იყო პროექტი, რომელიც სუფსის ტერმინალზე ექვსი გემსაბმელი ჯაჭვიდან ორის გამოცვლას ითვალისწინებდა. ორას ორმოცდაათი მეტრი სიგრძის ეს გემსაბმელი ჯაჭვები მიმაგრებულია ზღვის ფსკერზე, იმ ადგილზე, სადაც სუფსის ტერმინალიდან მიმავალი ექსპორტის ხაზი ზღვაში გადის. დამოუკიდებელი მხარის მიერ ჩატარებულმა ტექნიკურმა ანალიზმა უჩვენა, რომ ხანგრძლივი ექსპლუატაციის პერიოდში ინტენსიური მოძრაობის გამო, ორი ჯაჭვი დაზიანებული იყო და გამოცვლას საჭიროებდა. ამ რთული და ძვირად ღირებული სამუშაოს ჩასატარებლად საჭირო იყო სპეციალური მცურავი საშუალება და ყვინთვის ოპერაციების ჩატარება. პროექტი დაახლოებით 45 დღე გაგრძელდა. ტერმინალის ყოველდღიური ოპერაციების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები ტანკერების ჩატირთვის ოპერაციების შუალედებში სრულდებოდა.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ძალისხმევის შედეგად, დასრულდა ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე სარკვევების გამოცვლის მრავალწლიანი პროექტი. ამ სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულებისთვის აუცილებელი იყო მილსადენის სექციების იზოლირება. გარდა ამისა, სამუშაოების დასრულებისთვის საჭირო გახდა ნავთობსადენის ექსპლუატაციის გაჩერება სამი კვირით.

ვაგრძელებთ ჩვენი ობიექტების ელექტრომომარაგების ჩართვას ქვეყნის ენერგოსისტემაში, სადაც ეს ტექნიკურად შესაძლებელია. ამ პროექტის განხორციელებისთვის საჭირო სიმძლავრეები მხოლოდ უკანასკნელ წლებში გახდა ხელმისაწვდომი. ელექტრომომარაგების ამ სექტორს აშკარა უპირატესობები გააჩნია, რადგან ცენტრალური ელექტროსისტემიდან ჩვენი ობიექტების ელექტრომომარაგება უფრო რენტაბელურია და ხელს უწყობს დიზელის წვის შედეგად წარმოქმნილი ემისიების მოცულობის შემცირებას. 2013 წელს საქართველოს ელექტროსისტემაში ჩავრთეთ ნავთობის ავარიულად ჩამოსაცლელი ობიექტისა და სუფსის ტერმინალის ელექტრომომარაგება.

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის ტექნომსახურების სამუშაოები

ჩვენ გავგაჩნია ნავთობსადენის უწყვეტი ტექნიკური მომსახურების პროგრამა. ექვს თვეში ერთხელ ვამოწმებთ მილსადენის ძველ სექციებს (ინსპექტირების მაღალტექნოლოგიური ხელსაწყოს მეშვეობით, რომელსაც „დიაგნოსტიკურ დგუშს“ ვუწოდებთ), რომელთა სიგრძე დაახლოებით 154 კილომეტრია. ინსპექტირების მონაცემები ეხმარება გეოლოგიური საშიშროებების შეფასებისა და მილსადენის მთლიანობის დაცვის ზომებზე მომუშავე სპეციალისტებს, რომ უკეთ გამოთვალონ პოტენციური რისკები და მოსალოდნელი შემთხვევების მასშტაბები. 2013 წელს ჩვენ ჩავატარეთ სარემონტო სამუშაოების ორი ფართომასშტაბიანი პროგრამა, რომლებიც მოიცავდა 180 მეტრი სიგრძის ახალი გარსაგმი მილის დამონტაჟებას იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც ამის საჭიროება არსებობდა, მილის ფიზიკური მდგომარეობის გამო, აგრეთვე მეწყერული მოვლენების მაღალი რისკის მქონე უბნებზე.

შაჰ დენიზის საბადოს კომპლექსური ათვისების პროექტი


ცვდილობით ავამაღლოთ ჩვენი შრომის უსაფრთხოებისა და რისკების მართვის ხარისხი, შევინარჩუნოთ საზოგადოების ნდობა და გავზარდოთ სარგებელი.

ბობ დადლი

BP-ის მთავარი აღმასრულებელი ხელმძღვანელი

„ძალიან ცოტა პროექტს შესწევს უნარი, რომ მთელი რეგიონის ენერგორუკა შეცვალოს. შაჰ დენიზი 2 და სამხრეთის დერეფნის მილსადენები არა მარტო ამ რეგიონის ენერგორუკას შეცვლის, არამედ, პირველად ისტორიაში, ამერბაიჯანის გაზის რესურსებს პირდაპირ დააკავშირებს მომხმარებელთან ევროპის ქვეყნებში. საბოლოო საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღება არ შედგებოდა, რომ არა მრავალწლიანი თანამშრომლობა პროცესის მონაწილე მრავალ კომპანიასა და ქვეყანას შორის, შეამაყება, რომ BP ამ ისტორიული მომენტის თანამონაწილეა და გამოვხატავ მაღლიერებას იმ უამრავი ადამიანის მიმართ, რომელთაც ძალისხმევა არ დაიშურეს, რომ ეს მომენტი დამდგარიყო. გარდა იმისა, რომ პროექტი ათეულობით ათას სამუშაო ადგილს შექმნის მილსადენების მარშრუტის გასწვრივ – ამერბაიჯანში, საქართველოში, თურქეთსა და ევროპის ქვეყნებში, ეს პროექტი წარმოადგენს ყველაზე მსხვილ უცხოურ ინვესტიციას ამერბაიჯანის ისტორიაში“.

კომპანიათა წილობრივი მონაწილეობა SCPX პროექტში (%)



შენიშვნა: პროექტზე საბოლოო საინვესტიციო გადაწყვეტილების გამოცხადებას დაემთხვა „სოკარის“ მიერ 6,7 პროცენტიანი წილის და BP-ის მიერ 3,3 პროცენტიანი წილის შეძენა „სტატოილისგან“. ორივე გარიგება ძალაში შევა 2014 წლის განმავლობაში, გარკვეული პირობების დამაკმაყოფილებლად შემდეგ.

სამხრეთის დერეფნის რუკა



ვაგრძელებთ მუშაობას კასპიის ზღვაში მდებარე შაჰ დენიზის საბადოს კომპლექსური ათვისების პროექტზე. სამხრეთ კავკასიის გამსადენი ამ საბადოზე მოპოვებული გაზით მარაგდება. შაჰ დენიზის საბადოს კომპლექსური ათვისების პროექტი რამდენიმე კომპონენტს მოიცავს: საზღვაო ნაწილში გათვალისწინებულია 26 წყალქვეშა ჭაბურღილის გაბურღვა და დამთავრება, აგრეთვე, ერთმანეთთან ხიდურად დაკავშირებული ორი ახალი პლატფორმის აგება; ხმელეთზე მდებარე სანგაჩალის ტერმინალზე იგეგმება ახალი გადამამუშავებელი და საკომპრესორო დანადგარების დამონტაჟება და აგრეთვე სამხრეთ კავკასიის გამსადენის სისტემის გაფართოება.

მოქმედი სამხრეთ კავკასიის გამსადენის გამტარუნარიანობა წელიწადში შვიდ მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენს. შაჰ დენიზის საბადოს ათვისების მომდევნო ეტაპზე, თურქეთისა და ევროპის მიმართულებით ტრანსპორტირებული გაზის მოცულობა წლიური თექვსმეტი მილიარდი კუბური მეტრით გაიზრდება. ამიტომ საერთაშორისო კონსორციუმი, რომელიც ფლობს და ექსპლუატაციას უწევს სამხრეთ კავკასიის გამსადენს, გეგმავს გამსადენისა და მისი ობიექტების გამტარუნარიანობის გაზრდას, რათა შესაძლებელი იყოს წლიური 23 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ტრანსპორტირება სისტემის გავლით. ეს პროექტი სამხრეთ კავკასიის გამსადენის სისტემის გაფართოების პროექტის (SCPX) სახელით არის ცნობილი.

სამხრეთ კავკასიის გამსადენის სისტემის გაფართოების პროექტი

პროექტის ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველო-ამერბაიჯანის საზღვრიდან დაწყებული, იგეგმება 48 ღუმი დიამეტრის გამსადენის მშენებლობა, არსებული გამსადენის პარალელურად. პარალელური გამსადენის 27-ე კილომეტრზე დამონტაჟდება სარქვლის სადგური (მცირე შემოღობილ ტერიტორიაზე), ხოლო ახალი სექციის მოქმედ გამსადენთან მიერთების ადგილზე, დამონტაჟდება მილის დიამეტრის 1000-მეტრი და გაშენილი ხელსაწყო – დგუშის გამშვებ-მიღები სადგური. გარდაბანთან მდებარე BTC/SCP მილსადენების სადგურის მიმდებარე აშენდება ახალი საკომპრესორო სადგური (CSG1), ხოლო მე-2 საკომპრესორო სადგური აშენდება წალკის წყალსაცავის დასავლეთით, მოქმედი გამსადენის მარშრუტზე, 16 კილომეტრი სიგრძის მისასვლელი გზით. საქართველო-თურქეთის საზღვარზე მდებარე გაზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდება წნევის მარეგულირებელი და გაზგამომი სადგური.

შაჰ დენიზის პროექტის მე-2 ეტაპისა და სამხრეთ კავკასიის გამსადენის სისტემის გაფართოების პროექტის მთლიანი ღირებულება დაახლოებით 28 მილიარდ დოლარს შეადგენს. დაგეგმილია შაჰ დენიზის გაზის გიგანტურ საბადოზე მოპოვებული წლიური 16 მილიარდი კუბური მეტრი მოცულობის გაზის ტრანსპორტირება 3500 კილომეტრის მანძილზე და მისი მიწოდება მილიონობით მომხმარებლისთვის საქართველოში, თურქეთში, საბერძნეთში, ბულგარეთსა და იტალიაში. გაზის პირველი პარტიის მიწოდება საქართველოსა და თურქეთის მომხმარებლებისთვის 2018 წლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი, ხოლო ევროპისთვის გაზის მიწოდება დაახლოებით ერთი წლის შემდეგ დაიწყება. მოსალოდნელია შაჰ-დენიზის საბადოდან კონდენსატის მოპოვების ახლანდელი მოცულობის – დღეში 55 ათასი ბარელის გაზრდა დღეში 120 ათას ბარელამდე.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ვრცელი ანალიზისა და კონსულტაციების მეშვეობით, ვცდილობთ განვსაზღვროთ და მინიმუმამდე შევამციროთ ჩვენი ოპერაციებითა და პროექტებით გამოწვეული პოტენციური ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე.

სამხრეთ კავკასიის გამსაღდენის სისტემის გაფართოების პროექტი: მოკლე ინფორმაცია

დაგეგმილი პროექტით გათვალისწინებულია:

- ახალი, 48 დუიმი დიამეტრის მილსადენის მშენებლობა, რომელიც პარალელურად მიუყვება BTC/SCP მილსადენების დერეფანს, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრიდან 63 კილომეტრის მანძილზე და არსებულ სამხრეთ კავკასიის გამსაღდენს უერთდება.
- დამატებითი ჩამკეტი სარქველი და მილსადენის დგუშის გამშვები სადგური.
- 1-ლი ნავთობსაქანი სადგურის მიმდებარედ განთავსებული ახალი საკომპრესორო სადგური (CSG1) გარდაბანში.
- მე-2 საკომპრესორო სადგური (CSG2) არსებულ სამხრეთ კავკასიის გამსაღდენზე, წალკის წყალსაცავის დასავლეთით, დაახლოებით გამსაღდენის 143-ე კილომეტრზე.
- 16 კილომეტრი სიგრძის ახალი მისასვლელი გზა, რომელიც მე-2 საკომპრესორო სადგურს სამცხე-ჯავახეთის ავტომაგისტრალთან დააკავშირებს, სოფელ ნარდევანთან.
- წნევის მარეგულირებელი და გამგამზომი სადგური (PRMS), მოქმედი მე-80 გამზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველო-თურქეთის საზღვრის სიახლოვეს.
- 2,5 კმ სიგრძის შემავრთველი მილსადენი PRMS-დან თურქეთის საზღვრამდე, რომელიც სამხრეთ კავკასიის გამსაღდენს თურქეთის ტერიტორიაზე მშენებარე ტრანსანატოლიის გამსაღდენთან (TANAP) დააკავშირებს.
- მშენებლობის დამხმარე ბანაკების, მილების საწყობების, აგრეთვე მასალებისა და ტექნიკის სასაწყობო მოედნების მოწყობა.

SCPX პროექტის მომზადების პროცესის განუყოფელი ნაწილია კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან. ამ მხრივ აღსანიშნავია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესი, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს, რომელთაც პროექტი რაიმე ფორმით ეხებათ, რომ მეტი ინფორმაცია მიიღონ პროექტის შესახებ, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები მოსალოდნელი ზემოქმედების და ამ ზემოქმედების მართვის ზომების შესახებ. დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმულმა მოსაზრებებმა, შესაძლოა, ზეგავლენა იქონიოს ზოგადად პროექტის ტექნიკურ მხარეზე და პროექტის განხორციელების გეგმებზე.

2013 წელს დავასრულეთ მუშაობა „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ანგარიშზე (ESIA), რომელიც საქართველოს მთავრობამ ივნისში დაამტკიცა. ანგარიში სრულად აკმაყოფილებს „ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების“ იმ მოთხოვნებს, რომლებიც გვავალდებულებს, რომ ეს პროცესი ჩატარდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების სფეროში ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად. ზოგადად, „ხელშეკრულება“ მოითხოვს, რომ პროექტმა დაიცვას სტანდარტები და წესები, რომლებიც საზოგადოდ არის მიღებული საერთაშორისო დონეზე ბუნებრივი გაზის მილსადენების მრეწველობის დარგში, ისევე როგორც შესაბამისი საინჟინრო-ტექნიკური ნორმები.

ESIA-ს ანგარიში აღწერს პროექტის განხორციელებამდე არსებულ გარემო პირობებს, რომელთა მიხედვით შესაძლებელია შეფასდეს პროექტით გამოწვეული ზემოქმედების მასშტაბი, განსაზღვრავს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი და დადებითი ზემოქმედების სახეებს, აღწერს ამ ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებებს, შეიცავს ინფორმაციას, რომლის გათვალისწინება ხდება საინჟინრო-ტექნიკური პროექტირების დროს და ითვალისწინებს მჭიდრო ურთიერთობას პროექტით დაინტერესებულ მხარეებთან.

ESIA-ს ანგარიშის მომზადების პროცესის ფარგლებში, კონსულტაციები გაგმართეთ სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან, რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან (ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, ქ. რუსთავში, გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში). საპროექტო ტერიტორიასთან ყველაზე ახლოს მდებარე 45 სოფლის მოსახლეობის წარმომადგენლებთან ჩავატარეთ პირისპირ შეხვედრები. კონსულტაციების პროცესში ჩართული იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები და სამეცნიერო საზოგადოების წევრები.

ჩვენი ჩავიწინეთ და მონაცემთა ბაზაში შევიტანეთ ამ შეხვედრებზე გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები, რომლებიც ESIA-ს ანგარიშის მომზადების პროცესში გავითვალისწინეთ. ანგარიშის პროექტი ფართოდ გავავრცელეთ, განვთავსეთ ბიბლიოთეკებში და არასამთავრობო ორგანიზაციების ადგილობრივ ოფისებში. ანგარიშის პროექტთან დაკავშირებული შენიშვნებისა და წინადადებების მისაღებად გამოვიყენეთ რამდენიმე სხვადასხვა საშუალება, მათ შორის, ანკეტები შენიშვნებისათვის და საჯარო შეხვედრები. გარდა ამისა, მოსახლეობას ნებისმიერ დროს შეეძლო მიემართა BP-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებისთვის, პროექტთან დაკავშირებული საკითხებით.

ადგილობრივ მოსახლეობაში დავარიგეთ ბუკლეტების დაახლოებით 17500 ასლი ქართულ ენაზე და 7500 ასლი რუსულ ენაზე.

მიწაზე უფლებების მოპოვება და ნებართვები

პროექტის დაგეგმვისა და მოსახლეობასთან ურთიერთობის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მილსადენის მიწისზედა ობიექტებისთვის საჭირო ფართობების, აგრეთვე საპროექტო პარალელური მილსადენის დერეფანში მოქცეული მიწის ნაკვეთების შესყიდვა და მშენებლობის პერიოდში საჭირო დროებითი სარგებლობის მიწის ნაკვეთების იჯარით აღება. ფულადი კომპენსაცია ეკუთვნით იმ მიწის მესაკუთრეებსა და მოსარგებლებებს, რომელთაც უმცირდებათ სასოფლო-სამეურნეო კულტურების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავალი, მიწის ნაკვეთის გასხვების ან ნაკვეთით სარგებლობის შეზღუდვის გამო.

კ: მარეგულირებლის რა მოთხოვნების დაკმაყოფილება არის აუცილებელი პროექტის განხორციელებისათვის?

პ: საჯარო კონსულტაციების პროცესის გარდა, რომელიც EIA-ს ანგარიშზე მუშაობის პროცესის ნაწილია, პროექტს ესაზღვრება მთელი რიგი ნებართვები ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისგან, მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ნებართვები საჭიროა იმ კვლევითი და შეფასებითი სამუშაოების ჩასატარებლად, რომლებიც წინ უსწრებს სამშენებლო სამუშაოებს. ჩვენი განცხადებით უზრუნველყოფს კანონმდებლობით მოთხოვნილი ყველა შესაბამისი ნებართვის მოპოვებას.

იოსებ მეტრეველი

BP-ის მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობის ჯგუფის ხელმძღვანელი



დეტალური ინფორმაციისათვის ეწვიეთ ვებსაიტს bpgeorgia.ge



ESIA-ს შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის, იხილეთ ESIA-ს „არატექნიკური რეზიუმე“.



იხილეთ მოსახლეობისთვის დარიცხული ბუკლეტი ESIA-ს შესახებ.



იხილეთ „მიწაზე უფლებების მოპოვებისა და კომპენსაციის კონცეფცია“ (LACF) და „მიწაზე უფლებების მოპოვებისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო“ (GLAC).

მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების იდენტიფიცირება, მათთან დაკავშირება, მიწაზე მათი უფლებების დადგენა, მათთან ყიდვა-გაყიდვის ან იჯარის ხელშეკრულებისა და კომპენსაციის პირობების შეთანხმება და ყველა ამ პროცედურის ადმინისტრირება რთულ სამუშაოს წარმოადგენს. მიწის მესაკუთრეებისათვის ამ პროცესის გამარტივების მიზნით, გამოიცა ორი დოკუმენტი – „მიწაზე უფლებების მოპოვებისა და კომპენსაციის კონცეფცია“ (LACF) და „მიწაზე უფლებების მოპოვებისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო“ (GLAC), რომლებშიც მიწაზე უფლებების მოპოვებისა და კომპენსაციის პროცედურები სრულად არის აღწერილი. ორივე დოკუმენტის გაცნობა შესაძლებელი იყო რამდენიმე საჯარო შენობაში, ხოლო „სახელმძღვანელო“, მიწაზე უფლებების პროცესის დაწყებამდე, პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთების თითოეულ მესაკუთრესა და მოსარგებლეს გადაეცა.

2013 წლის ბოლოსთვის, მილსადენის დერეფანში შესყიდული იყო 710 მიწის მესაკუთრის საკუთრებაში არსებული ნაკვეთების 92%, ხოლო გადახდილმა თანხამ ერთი მილიონი ლარი შეადგინა. ასევე, კომპანიის მიერ 300 მიწის მესაკუთრისგან შესყიდულ იქნა მე-2 საკომპრესორო სადგურთან მისასვლელი გზის მშენებლობისთვის საჭირო ნაკვეთების 84%. დასრულებულია უფლებების მოპოვება 1-ლი და მე-2 საკომპრესორო სადგურებისა და 81-ე გაზსადგურის ტერიტორიაზე მოქცეულ კერძო მიწის ნაკვეთებზე, რომელთა სანაცვლოდ გადახდილმა თანხამ სულ 7,5 მილიონი ლარი შეადგინა. 2014 წლის განმავლობაში გაგრძელდება უფლებების მოპოვება დამატებით საჭირო მიწის ფართობებზე.

SCPX პროექტის განხორციელებისთვის საჭიროა მთელი რიგი ნებართვები, მათ შორისაა, მთავარი მშენებლობის ნებართვა, რომლის საფუძველზე შესაძლებელია დაიწყოს ფიზიკური მშენებლობა სამშენებლო ობიექტზე.

დაგეგმილი ცვლილებები

2013 წლის ოქტომბერში, სამხრეთ კავკასიის გაზსადენის კომპანიის პარტნიორებმა საქართველოს მთავრობას მიმართეს პროექტში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლებიც უკავშირდება საპროექტო მაღალი წნევის გაზსადენის გაგრძელებას ექვსი კილომეტრით და მილის დიამეტრის შემცირებას 56 დუმიდან 48 დუმიამდე.



BTX ნავთობსადენის მე-2 ნავთობსაქაჩი სადგური.

დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, საპროექტო გაზსადენის სიგრძეს დაემატება 6 კილომეტრი, ხოლო საქართველო-თურქეთის საზღვრის გადაკვეთაზე, დამატებით, აშენდება 2,5 კმ სიგრძის სექცია, რომელიც სამხრეთ კავკასიის გაზსადენის სისტემას, თურქეთის გავლით, ევროპის მიმართულებით მიმავალ საექსპორტო გაზსადენის სისტემასთან დააკავშირებს. ეს ცვლილებები არ იმოქმედებს მშენებლობის გრაფიკზე, თუმცა საჭიროებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პოტენციური ზემოქმედების დამატებით შესწავლას, მხოლოდ მილსადენის ახალ სექციებთან მიმართებით, რომლებიც ESIA-ს უკვე დამტკიცებულ ანგარიშში არ არის ასახული. ამ დამატებითი შესწავლის შედეგები აისახება დოკუმენტში, რომელსაც „ESIA-ს ანგარიშის დამატება“ ეწოდება.

ზემოქმედება მგრძნობიარე სფეროებზე

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის ფარგლებში, შეგროვდა დეტალური ინფორმაცია პროექტის განხორციელების არეალში ბუნებრივი გარემოს ფონური მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პროექტით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედების შესახებ, მათ შორის, გაანალიზდა პოტენციურად მგრძნობიარე სფეროები, როგორებიცაა, ადგილობრივი მაცხოვრებლების უსაფრთხოების დაცვა, სამშენებლო ტექნიკის ინტენსიური მოძრაობით გამოწვეული დისკომფორტი, დასაქმებისა და ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობების შექმნა, პროექტით გამოწვეული ზემოქმედება ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტებზე, წყალმომარაგებაზე, ადგილობრივი გზების მდგომარეობაზე, ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილება, კულტურული მემკვიდრეობის რესურსების დაცვა, მიწის საკუთრება და რეგისტრაცია. ანგარიშში ასევე მიმოიხილავს პროექტის განხორციელების რამდენიმე ალტერნატიულ ვარიანტს.

პოტენციური ზემოქმედების შემცირება

„ბუნებრივი და სოციალური გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“ განსაზღვრულია ღონისძიებები (რომელთაც ხშირად „შემარბილებელ ღონისძიებებს“ უწოდებენ), რომლებიც ხელს უწყობს პროექტით გამოწვეული პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების მასშტაბების შემცირებას და პროექტის დადებითი შედეგებით მაქსიმალურად სარგებლობას.

ქვემოთ მოყვანილია პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ზოგიერთი შემარბილებელი ღონისძიების მაგალითები:

ნიადაგები

თავდაპირველ მდგომარეობაში აღდგენას დაქვემდებარება მიიღწეოდა სამშენებლო დერეფანში მოქცეული ფართობები და მშენებლობის დამხმარე დროებითი ობიექტების განთავსების ტერიტორიები; ეროვნული განვითარების რისკის შესამცირებელი ღონისძიებები გათვალისწინებული იქნება საინჟინრო-ტექნიკურ პროექტში.

კულტურული მემკვიდრეობა

განსორციელებდა კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა; არქეოლოგიური უბნებისთვის გვერდის ავლის მიზნით, სადაც შესაძლებელია, მოხდება მიწისა და ტრასის მცირე კორექტირება; კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით საინჟინრო უბნები შესწავლილი იქნება სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.

დასაქმება

პროექტი ფართოდ გაავრცელებს ინფორმაციას ადგილობრივი დასაქმების პრინციპების შესახებ. მოსახლეობასთან იმუშავებენ საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები, რომლებიც მათ განუმარტავენ დასაქმების პირობებსა და პროცედურებს.

ინფრასტრუქტურისა და კომუნალური მომსახურების ობიექტები

მშენებლობის დაწყებამდე, მოხდება მიწისა და ნიადაგის მარშრუტზე არსებული სარწყავი და სადრენაჟო სისტემებისა და წყალმომარაგების ქსელების აღრიცხვა; სამშენებლო ობიექტებთან მისასვლელი გზები შერჩეულია ისე, რომ რაც შეიძლება ნაკლებად იქნეს გამოყენებული სოფლებზე გამგალი გზები სამშენებლო ტექნიკის გადაადგილებისთვის; ადგილობრივი მოსახლეობა გაფრთხილებული იქნება წინასწარ, თუ გზის დროებით გადაკეტვა იქნება საჭირო; მშენებლობის დასრულების შემდეგ, მოხდება გზების აღდგენა, მინიმუმ, მშენებლობამდე არსებულ მდგომარეობამდე.

ადგილობრივი მოსახლეობის კანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა

მშენებლობაზე დასაქმებული პერსონალი გაიცემის სამედიცინო შემოწმებას და საორიენტაციო ტრენინგებს; ადგილობრივი მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაცია კანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის წესებზე; სამშენებლო უბნები თვალსაზრისით იქნება მონიშნული. ის მონაკვეთები, რომლებიც ახლოს არის მოსახლეობასთან, შემოიღობება დამაკვირვებელი საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები შეხვედრებთან მოსახლეობას და განუმარტავენ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებულ უსაფრთხოების რისკებს.

პროექტი დანერგავს მოსახლეობის პრეტენზიებისა და საჩივრების მიღებისა და განხილვის პროცედურას, რომლის მიხედვით, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები ჩაიბარებენ მოსახლეობის საჩივრებსა და მოსაზრებებს, რომლებსაც კომპანია განიხილავს და ოფიციალურად უპასუხებს.

კულტურული მემკვიდრეობის კვლევა

ფონური მდგომარეობის კვლევისა და ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი მაგალითია კულტურული მემკვიდრეობის ფართომასშტაბიანი კვლევა, რომელიც 2013 წელს ჩატარდა.

კულტურული მემკვიდრეობის ყველა დადასტურებულ და საგარეო უბანზე ჩატარდა 1-ლი ფაზის საკვლევა-ძიებო სამუშაოები, რომლებიც მოიცავდა ტერიტორიის ვიზუალურ დათვალიერებას და კამერალურ შესწავლას და ამ პროცესში გამოყენებული იყო არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და BTC/SCP მიწისა და ნიადაგის მშენებლობის დროს მიღებული გამოცდილება. დამატებით, მე-2 და მე-3 ფაზის არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა წალკისა და მარნეულის რაიონებში მდებარე იმ უბნებზე, რომლებზეც კულტურული მემკვიდრეობის არსებობის გარკვეული ნიშნები დადასტურდა. მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე, SCPX გამსადენის 54-ე კილომეტრზე მდებარე უბანზე ჩატარდა მე-2 ფაზის არქეოლოგიური სამუშაოები, რომლებიც საცდელი თხრილების გათხრასაც მოიცავდა. ამ უბანზე 2012 წელს გათხრილი შუა საუკუნეების ნამოსახლარის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით პრეისტორიული ეპოქის ქვის მასალა იქნა აღმოჩენილი.

ამ პროექტის დაგეგმვის დროს, ჩვენ გავითვალისწინეთ წინა მიწისა და ნიადაგის მშენებლობის პერიოდში შეძენილი ცოდნა და გამოცდილება და რამდენიმე სფეროში დავგეგმეთ გაუმჯობესების ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ბუნებრივ გარემოსა და სოციალურ სფეროზე ზემოქმედების შემცირებაში დაგვეხმარება, კერძოდ:

თანამშრომლების გეგმიური შემოვლა BP-ს მეორე ნავთობსაქაჩი სადგურზე.



- შეიცვალა საკონტრაქტო სტრატეგია და ზოგიერთი სფეროს ადმინისტრირების ფუნქცია გადაეცათ სპეციალიზებულ კომპანიებს, მაგალითად, მიწის შესყიდვისა და აგრეთვე ეკოლოგიური მენეჯმენტის, მათ შორის, ბიოლოგიური აღდგენის, სფეროებში.
- მეტი ძალისხმევა იქნება მიმართული ნარჩენების მინიმიზაციისათვის მათი წარმოქმნის ადგილებზე, სადაც ეს შესაძლებელია, რათა შემცირდეს ნაგავსაყრელზე გადასატანი და განსათავსებელი ნარჩენების მოცულობები.
- შენარჩუნებული იქნება BTC/SCP მიწისა და ნიადაგის პროექტების ფარგლებში, მიწის შედაპირისა და ჰაბიტატების აღდგენისთვის გამოყენებული მაღალი სტანდარტები, რისთვისაც გამოიყენება მიწისა და ნიადაგის ექსპლუატაციის პერიოდში მცენარეული საფარის აღდგენის პროცესზე დაკვირვების მონაცემები და მათ საფუძველზე შემუშავდება აღდგენის გეგმები, თითოეული ცალკეული ჰაბიტატის სპეციფიკის გათვალისწინებით.
- მშენებელ კონტრაქტორს დაუწესდება ახალი მოთხოვნები, რომლითაც შეიზღუდება ერთგვარადად გათხრილი და ლიად დატოვებული თხრილის სიგრძე, რაც უსაფრთხოების პოტენციურ რისკებს შეამცირებს.

გვერდით, რომ პროექტი დამატებით სარგებელს მოუტანს საქართველოს, რაც გამოიხატება გაზრდილი საბუჯეტო შემოსავლებით და ადგილობრივი ბიზნესებისა და მოსახლეობის მიერ საქონლისა და მომსახურების მიწოდების სფეროში გაჩენილი ახალი ეკონომიკური შესაძლებლობებით.

მმართველობითი და მენეჯმენტის სისტემები

საქართველოში ჩვენი საქმიანობა მთლიანად მიესადაგება BP-ის მიდგომას მდგრადი განვითარების მიმართ და იზიარებს ჩვენს სტრატეგიას, ღირებულებებს, მენეჯმენტის სისტემებსა და მეთოდებს.



▲ მილსადენის სპეციალისტი ჩამკეტ სარქველს ამოწმებს.

BP-ის სტრატეგია და მდგრადი განვითარება

BP-ის მიზანია, შექმნას სარგებელი აქციონერებისათვის და ენერგორესურსებით მოამარაგოს მსოფლიო, უსაფრთხოდ და სათანადო პასუხისმგებლობით. ჩვენ მივისწრაფვით, რომ ვიყოთ მსოფლიო დონის კომპანია, მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბიზნესი და საუკეთესო დამსაქმებელი.

ჩვენს უმთავრეს პრიორიტეტად, ბუნებრივია, რჩება გამუდმებული ყურადღება შრომის უსაფრთხოების მიმართ. რისკების მართვის გამართული სისტემა გვცხმარება, რომ დავიცვათ ჩვენს საწარმოებში დასაქმებული ადამიანები, ჩვენი საქმიანობის ადგილები და ჩვენი კაპიტალი. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ პოლიტიკურად, გეოგრაფიულად და ტექნიკურად რთულ პირობებში საქმიანობის პროცესში, მაგალითად, ღრმა წყლების რემერგუარების ან ნავთობიანი ქვიშის საბადოების ათვისებისას, მოგვეთხოვება, რომ განსაკუთრებული სიფრთხილით მოვეკიდოთ ადგილობრივ გარემოსა და საზოგადოებას. ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი სისტემების, პროცედურებისა და სტანდარტების დახვეწას, მათ შორის, ვცდილობთ უკეთ ვმართოთ რისკები, რომლებიც ჩვენი კონტრაქტორების და ჩვენი მონაწილეობით შექმნილი ერთობლივი საწარმოების ოპერატორების ქმედებებს უკავშირდება.

ჩვენი მუშაობა წარმატებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევინარჩუნებთ ჩვენდამი ნდობას, როგორც საკუთარი თანამშრომლების, ისე გარეშე საზოგადოების მხრიდან. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით იმისათვის, რომ ადამიანების ნდობა მოვიპოვოთ. ჩვენ ზედმიწევნით ვადევნებთ თვალყურს ჩვენი საქმიანობის შედეგებს და უზრუნველყოფთ ჩვენი ანგარიშგების პროცესის გამჭვირვალებას. გვწამს, რომ მხოლოდ სრულფასოვანი კომუნიკაციისა და ღია დიალოგის გზით შევძლებთ, რომ გავამართლოთ ჩვენი თანამშრომლების, მომხმარებლების, აქციონერებისა და ჩვენი საქმიანობის ქვეყნების საზოგადოების მოლოდინი.

ჩვენ ვცდილობთ გავამართლოთ ჩვენი ბიზნესი და მეთი ყურადღება დავუთმოთ იმ სფეროებს, რომლებშიც მეთი ღირებულების შექმნა შეგვიძლია, და არ არის აუცილებელი, რომ ეს მეთ მოცულობებთან იყოს დაკავშირებული. ჩვენ მაღალშემოსავლიანი და გრძელვადიანი აქტივებით ვაძლიერებთ ჩვენი აქტივების პორტფელს მოპოვების სემენტში და ვქმნით მაღალკვალიფიციურ ბიზნესებს გადაამუშავებისა და მარკეტინგის სექტორში. ჩვენ ასევე ვახდენთ ინვესტირებას ნახშირბადის დაბალი შემცველობის პროექტებში, რომელთაც, გრძელვადიან პერსპექტივაში, ენერგორესურსებზე მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების პოტენციალი გააჩნია. ყველაფერ ამას საფუძვლად უდევს ჩვენი კვალიფიკაცია, მოწინავე ტექნოლოგიები და კავშირები.

მყარი ფინანსური მაჩვენებლები აუცილებელია იმისათვის, რომ მოვახდინოთ ინვესტირება მსოფლიოსთვის ესოდენ საჭირო ენერგომატარებლების წარმოებაში და, იმავედროულად, უზრუნველყოთ სარგებელი ჩვენი აქციონერებისათვის და შევინარჩუნოთ მათი ნდობა.

მსოფლიოსთვის ენერგიის მიწოდებით, ჩვენ ხელს ვუწყობთ ეკონომიკურ განვითარებას და მსოფლიოს მასშტაბით მილიონობით ადამიანის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. ჩვენი საქმიანობით სტიმულს ვაძლევთ სამუშაო ადგილების შექმნას, ინვესტიციების განხორციელებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, მთავრობისა და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას.

მმართველობითი სისტემა და რისკების მართვა

ყოველდღიურ საქმიანობაში რისკების განსაზღვრა და მართვა ხდება ჯგუფის საოპერაციო და ფუნქციონალური დანაყოფების დონეზე, რომელთა ნაწილია ჩვენი საქმიანობა საქართველოში. ჩვენ ყოველდღიურად ვაფასებთ და ვარეგულირებთ ჩვენს საოპერაციო რისკებს, ჩვენი მართვის სისტემების მოთხოვნების მიხედვით და, საჭიროების შემთხვევაში, მივმართავთ ზომებს რისკების მართვის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. ბიზნესრთულებებისა და ფუნქციონალური დანაყოფების დონეზე ხდება რისკების დონეებისა და რისკების მართვის გეგმების პერიოდული გადასინჯვა, მათ შორის, გადასინჯვას ექვემდებარება მსხვილი ავარიებისა და სხვა პოტენციურად ფართომასშტაბიანი შედეგების გამოწვევი რისკები.



13

წელიწადი ჩვენი ოპერაციები
სერტიფიცირებულია
ISO 14001-ის მიხედვით.

15

საგარეო აუდიტი ჩატარდა ჩვენს
გარემოსდაცვით მენეჯმენტის
სისტემას.



ტექნიკოსები გამომომი ხელსაწყოს ჩვენებს ამოწმებენ.

მმართველობა და ზედამხედველობა ხორციელდება დირექტორთა საბჭოს, აღმასრულებელი გუნდის და ფუნქციონალური დანაყოფების დონეებზე, რაც ხელს უწყობს მთლიანად ჯგუფის მასშტაბით ეფექტური კონტროლის განხორციელებას, ბიზნესის უკეთ დაგეგმვას და რესურსების რაციონალურ განკარგვას, ოპერატიული ზომების გატარებას და ცოდნის გაზიარებას.

დირექტორთა საბჭო, აქციონერების სახელით, წარმართავს და აკონტროლებს BP-ის ბიზნესსაქმიანობის ყველა ასპექტს, მათ შორის, მდგრადი განვითარების მიმართულებით გაწეულ საქმიანობას. დირექტორთა საბჭო ასევე განიხილავს მთავარ რისკებს ჯგუფის დონეზე და ამ რისკების დასარეგულირებლად გატარებულ ზომებს. დირექტორთა საბჭო ახდენს კონტროლისა და მონიტორინგის ზოგიერთი ფუნქციის დელეგირებას საბჭოს ექვს კომიტეტზე, რომლებიც მთლიანად არააღმასრულებელი დირექტორებით არის დაკომპლექტებული. მათ შორის არის უსაფრთხოების, ეთიკისა და გარემოს დაცვის კომიტეტი, რომელიც გადასინჯავს იმ პროცესებს, რომელთაც BP მნიშვნელოვანი არაფინანსური რისკების იდენტიფიცირებისა და დარეგულირებისათვის მიმართავს, რათა დარწმუნდეს, რომ პროცესები გამართულია და ეფექტურად ასრულებს ფუნქციას. გარდა ამისა, ჯგუფის ეთიკისა და კორპორაციულ წესებთან შესაბამისობის კომიტეტი ამოწმებს და იძლევა ინფორმაციას ეთიკისა და კორპორაციულ წესებთან შესაბამისობის პროგრამის შესახებ.

ჩვენ გვეკისრება პასუხისმგებლობა, რომ ჩვენი ოპერაციები იყოს უსაფრთხო, საიმედო და სრულად აკმაყოფილებდეს ნორმატიულ მოთხოვნებს. ამ ამოცანის მიღწევაში გვებმარება ჩვენი უსაფრთხოებისა და საოპერაციო რისკების (S&OR) ფუნქციონალური დანაყოფი, რომელიც გასცემს დამოუკიდებელ რეკომენდაციებს, საგულდაგულოდ ამოწმებს და კრიტიკულად აფასებს პროცესებს და, საჭიროების შემთხვევაში, იღებს კონკრეტულ ზომებს. უსაფრთხოებისა და საოპერაციო რისკების ფუნქციონალური დანაყოფი, რომლის შემადგენლობაში შედის ერთი ცენტრალური გუნდი და ასევე ქვედანაყოფები ცალკეულ ბიზნესერთეულებში, აწესებს მკაფიო მოთხოვნებს, აყალიბებს თავის დამოუკიდებელ აზრს საოპერაციო რისკებზე, ფართო ტექნიკურ დახმარებას უწევს ბიზნესს და, საჭიროების შემთხვევაში, ერთვება პროცესში და საკითხს განიხილავს უფრო მაღალ დონეზე.

ჩვენი ოპერაციების სისტემური მართვა

ჩვენი წარმოების მართვის სისტემა გვცხადებს, რომ BP უფრო უსაფრთხო და უფრო ძლიერ კომპანიად ვაქციეთ.

საქმიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესების პროცესი OMS-ის მიხედვით



ჩვენს სისტემურ მიდგომებს ჩვენი საქმიანობის მართვის სფეროში საფუძვლად უდევს BP-ის წარმოების მართვის სისტემა (OMS). OMS-თან შესაბამისობის უზრუნველყოფა უწყვეტი პროცესია, რომელიც რისკების მართვასა და უკეთესი შედეგების მიღწევაში გვცხადებს.

OMS-ში, როგორც მართვის ერთიან სისტემაში, თავმოყრილია BP-ის სტანდარტები ჯანმრთელობის დაცვის, შრომის უსაფრთხოების, უშიშროების, გარემოს დაცვის, სოციალური პასუხისმგებლობისა და საექსპლუატაციო საიმედოობის სფეროებში, აგრეთვე ამ სფეროებთან დაკავშირებულ საკითხებში, როგორებიცაა, ტექნიკური მომსახურება, კონტრაქტორებთან ურთიერთობა და სწავლება სამუშაო ადგილზე. OMS-ის სტრუქტურა აერთიანებს რვა ელემენტად დაყოფილ ოთხ სფეროს – პერსონალი, საწარმო, პროცესი და საქმიანობა.

ჩვენი საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების წარმატებით შესრულებისთვის, აუცილებელია ზედმიწევნით გამოვიყენოთ ჩვენი საქმიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესების თანმიმდევრული პროცესი, რომელიც გვცხადებს, რომ გამოვავლინოთ გასაუმჯობესებელი სფეროები, მოვახდინოთ პრიორიტეზაცია, დავეგეგმოთ, განვახორციელოთ და პრაქტიკაში დავანერგოთ გაუმჯობესების ელემენტები. ეს არის ყოველწლიური პროცესი, რომელიც კავშირშია წლის გეგმის შედგენის პროცესთან.

სისტემის პრინციპები და სტანდარტები განმტკიცებულია ჩვენი გარემოსდაცვითი და სოციალური მეთოდოლოგიებით, რომლითაც ვხელმძღვანელობთ ახალი მსხვილმასშტაბიანი პროექტების თანხმობის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გამოვლენისა და მართვის პროცესში. კერძოდ, ისინი ვრცელდება პროექტებზე, რომლებიც უკავშირდება ახალი ტერიტორიების ათვისებას ან პოტენციურ ზემოქმედებას ახდენს საერთაშორისო მნიშვნელობის დაცულ ტერიტორიაზე, ან BP-ის მიერ ახალი აქტივების შეძენის შესახებ მოლაპარაკებებთან არის კავშირში.

დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე, პროექტები, რომელთა მიმართ გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია გამოიყენება, გაივლის წინასწარი სკრინინგის პროცესს, რომლის მეშვეობით გამოვლინდება პროექტით გამოწვეული ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება ეკოლოგიურ გარემოსა და სოციალურ სფეროზე. სკრინინგის გავლის შემდეგ, პროექტებს მოეთხოვებათ, რომ ჩაატარონ ზემოქმედების შეფასების პროცესი, განსაზღვრონ ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები და გაითვალისწინონ ისინი პროექტირების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში. ყველა ეს პროცესი შესრულდა საქართველოში სამხრეთ კავკასიის გამსადენის სისტემის გაფართოების პროექტთან მიმართებით. ამ პროცესის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოყვანილია ამ ანგარიშის მე-9 გვერდზე.

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა

უკვე დიდი ხანია საქართველოში ჩვენ ვიყენებთ სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის მართვის სფეროში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გამსადენის პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე, ჩვენ ჩავატარეთ ბუნებრივი და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დეტალური პროცესი და ამ სფეროებში აღებული ვალდებულებები გარემოსდაცვითი და სოციალურ სამოქმედო გეგმებში ჩამოვაყალიბეთ. ანალოგიურად, ახლახან დავასრულეთ მუშაობა სამხრეთ კავკასიის გამსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ბუნებრივი და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე. ამ პროცესების მეშვეობით დგინდება პოტენციური ზემოქმედების სახეები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მიმდინარეობს ამ ღონისძიებების განხორციელების მკაცრი კონტროლი, მათ საბოლოო დასრულებამდე. ჩვენს გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემას საფუძვლად უდევს ISO 14001-ის პრინციპი – „დაგეგმვა-შესრულება-შემოწმება-ქმედება“. ამავე პრინციპს იზიარებს OMS-ით გათვალისწინებული საქმიანობის გაუმჯობესების პროცესიც.

ჩვენი ოპერაციები საქართველოში უკვე 13 წელია სერტიფიცირებულია საერთაშორისო სტანდარტის – ISO 14001-ის მიხედვით, ხოლო ამ სისტემის ფარგლებში მოქმედი ოპერაციების მასშტაბები თანდათან ფართოვდება. ISO-ს მოთხოვნების თანახმად, სისტემას პერიოდულად უტარდება საგარეო აუდიტი. გასული წლების აუდიტის შედეგები ჩვენს წინა „მდგრადი განვითარების ანგარიშებში“ არის გამოქვეყნებული.

გარდა ამისა, ჩვენი გარემოსდაცვითი მართვის სისტემა რეგულარულად მოწმდება მენეჯმენტის შიდა სისტემებისა და შესაბამისობის აუდიტის მიერ, ისევე როგორც დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი კონსულტანტის მიერ, რომელიც პროექტის თავდაპირველი კრედიტორების მიერ არის დანიშნული. დღემდე უკვე 15-ჯერ ჩატარდა ასეთი საგარეო აუდიტი, მათ შორის, ბოლოს 2013 წელს.

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის (EMS) განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება. საქართველოში სისტემის შესრულების უზრუნველყოფა და კოორდინაცია კომპანიის გარემოს დაცვისა და ნორმატიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის განყოფილების მართვის სფეროში შედის, ხოლო რეგიონის მასშტაბით სისტემას ზედამხედველობას უწევს BP-ის გარემოს დაცვისა და ნორმატიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის რეგიონალური დირექტორი. ობიექტებზე სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ობიექტების მენეჯერებს ეკისრებათ.

დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი კონსულტანტის (IEC) აუდიტის დასკვნები იხილოთ ვებსაიტზე bp.com.

ადამიანის უფლებები

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენმა საქმიანობამ, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეცვალოს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა და ცალკეული ადამიანების ცხოვრების პირობები და ვცდილობთ, რომ თითოეულ ადამიანს მოვეპყრათ სამართლიანად, ღირსეულად და პატივისცემით.

ადამიანის უფლებების დაცვა

ადამიანის უფლებების პატივისცემა „ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულებისა“ და BP-სა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული „უშიშროების ხელშეკრულების“ ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპია. ამ პრინციპის ჩვენს პარტნიორ მხარეებთან მის გაზიარებას ემსახურება ტრენინგები „ადამიანის უფლებების დაცვისა და ძალის გამოყენების“ საკითხებში, რომელსაც BP ატარებს სტრატეგიული მიზნადგენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის, რომლებიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გამსადენის უშიშროების დაცვას უზრუნველყოფენ.

დეპარტამენტის 30 ოფიცერი დაესწრო რუსთა-ში, დეპარტამენტის სათავო ოფისში გამართულ ტრენინგებს, რომელიც მოწვეულმა კონსულტანტმა – პიტერ ბინგმა ჩაატარა. ტრენინგებს ესწრებოდნენ დეპარტამენტის რეგიონალური სამმართველოს უფროსი და მისი მოადგილე, განყოფილების უფროსი, ქვეგანყოფილებების უფროსები, ინსტრუქტორები და განსაკუთრებულ დავალებათა სამსახურის წარმომადგენლები. ტრენინგის მეორე კურსს, რომელიც თბილისში გაიმართა, დაესწრო 25 ოფიცერი სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან.

„ტრენინგი ერთდროულად სამიზანს ემსახურებოდა“, განმარტავს პიტერი, „პირველი, ოფიცერებისთვის ადამიანის უფლებების პატივისცემისა და დაცვის ვალდებულების შესხენების მიზნით, იმ სახელმძღვანელო პრინციპებისა და ნორმების მიმოხილვა, რომლებიც გათვალისწინებულია გაეროს „მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსით“ და გაეროს „ძირითადი პრინციპებით მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ“; მეორე, ოფიცერებს მიეწოდათ იმ პროცედურების მკაფიო ჩამონათვალი, რომლებიც მათ დაეხმარება, რომ სათანადოდ შეაფასონ საფრთხე და განსაზღვრონ საფრთხის განვითარებისთვის ძალის გამოყენების მიზანშეწონილობა, იმის გათვალისწინებით, რომ გამოყენებული ძალა უნდა იყოს გონივრული, საფრთხის თანამოძიერი და აუცილებელი. და ბოლოს, ოფიცერებისთვის მკაფიო განმარტების მიგება იმ უკიდურესი შემთხვევების შესახებ, როცა მომავლდინებული ძალის გამოყენება შეიძლება მართლზომიერად იქნეს მიჩნეული“.

„ბოლო წლების განმავლობაში, მჭიდრო ურთიერთობა ჩამოვაყალიბეთ მთავრობის უშიშროების ძალებთან, რომელთაც ჩვენი ობიექტების დაცვა ევალებათ“, ამბობს სანდრო ჩიტაძე, BP-ის უშიშროების მენეჯერი საქართველოში. „ამ მხრივ სტრატეგიული მიზნადგენების დაცვის დეპარტამენტი წამყვან როლს ასრულებს. დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის ჩატარებული ტრენინგები ემსახურება ადამიანის უფლებების დაცვისა და „ნებაყოფლობითი პრინციპების“ შესრულების მხრივ ნაკისრი ვალდებულებების განტვიცების როგორც კომპანიის შიგნით, ისე მის გარეთაც. ეს ტრენინგები ორმხრივი თანამშრომლობის კარგი მაგალითია და გამოცდილების გაზიარებისა და მუდმივი გაუმჯობესებისკენ სწრაფვის კულტურის დამკვიდრებას უწყობს ხელს“.

BP-ს ალებული აქვს ვალდებულება, რომ დაიცავს საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილში“ და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაციაში, შრომის სფეროში ძირითადი პრინციპებისა და უფლებების შესახებ“. ეს გულისხმობს, რომ დიდი სიფრთხილე გვმართებს ისეთ საკითხებში, რომლებიც ეხება პერსონალის ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის დაცვას, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული პოტენციური ზემოქმედების მართვას.

BP-ის ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკა, რომელიც 2013 წელს გამოქვეყნდა, განავრცობს ჩვენი „ქცევის კოდექსის“ იმ პრინციპს, რომელიც გვავალდებულებს, რომ ყველას, ვინც BP-ში მუშაობს ან ვისაც BP-სთან აქვს ურთიერთობა, მოვეპყრათ სამართლიანად, პატივისცემით და ღირსეულად.

ჩვენი კონტრაქტორებისგან მოველით, რომ ისინი ჩვენი „ქცევის კოდექსის“ შესაბამისად იმოქმედებენ. 2013 წელს, ჩვენი უშიშროების დაცვის კონტრაქტორის – „ვეზირის“ თანამშრომლებს ჩავუტარეთ ტრენინგი ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითად პრინციპებსა და წესებში. უშიშროებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპები კომპანია „ვეზირთან“ არსებული კონტრაქტის ნაწილია და BP აკონტროლებს მათ შესრულებას კონტრაქტორის მიერ. „ვეზირს“ მოეთხოვება, რომ გაანდეს სათანადო საქმიანი ქცევის შიდა პოლიტიკა და უზრუნველყოს მხოლოდ პრევენციული და თავდაცვითი ტიპის მომსახურება. მათ ასევე მოეთხოვება, რომ ობიექტების დაცვის სამსახურში, შეძლებისდაგვარად, დაასაქმონ ადგილობრივი მაცხოვრებლები.


სტრატეგიული მიზნადგენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები ადამიანის უფლებების კურსს ესწრებიან.




კომპანიის ადგილობრივი წვლილი

ჩვენი ინვესტიციები და მიმდინარე საქმიანობა დადებითად მოქმედებს საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებზე, რაც გამოიხატება ჩვენ მიერ ბიუჯეტში გადახდილი გადასახადებით, სამუშაო ადგილების შექმნით და ჩვენი კონტრაქტორებისთვის გაჩენილი ეკონომიკური შესაძლებლობებით.


საოპერაციო და კაპიტალური ხარჯები (მილიონი დოლარი)



ადგილობრივი კომპანიებისთვის გადახდილი თანხები (მილიონი დოლარი)



გადახდილი ტარიფები და გადასახადები (მილიონი დოლარი)



ჩვენი წვლილი ქვეყნის ფინანსურ სექტორსა და ეკონომიკაში

ჩვენ მნიშვნელოვანი წვლილი შეგვაქვს ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებში, გადახდილი ტარიფისა და მოგების გადასახადის სახით, რომელთა რაოდენობა მილსადენებით გადაზიდული ენერგომატარებლების მოცულობებზე არის დამოკიდებული:

- 2013 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ყველა პარტნიორის მიერ გადახდილმა მოგების გადასახადმა 35 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო 2012 წელს იგივე მაჩვენებელი 36 მილიონი დოლარი იყო.
- 2013 წელს ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ყველა პარტნიორის მიერ საქართველოს ბიუჯეტში ტარიფის სახით 7 მილიონი დოლარი გადაირიცხა, ხოლო 2012 წელს ამავე მაჩვენებელმა 6,8 მილიონი დოლარი შეადგინა.

აღსანიშნავია ჩვენი წილი ქვეყნის ექსპორტის საერთო ღირებულებაში:

- ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2013 წელს, BP-ის მილსადენების ოპერაციებმა მომსახურების ექსპორტის საერთო ღირებულების დაახლოებით [8%] შეადგინა.

ჩვენ ასევე ვახდენთ კაპიტალდაბანდებას საქართველოში, ჩვენი ბიზნესის განვითარებისთვის:

- 2013 წელს საქართველოში გაწეულმა საოპერაციო ხარჯებმა 133 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო 2012 წელს იგივე მაჩვენებელი 118 მილიონი დოლარი იყო. 2013 წელს კაპიტალური დაბანდების მოცულობამ დაახლოებით 17 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო 2012 წელს ეს მაჩვენებელი 27 მილიონი დოლარი იყო.

სამხრეთ კავკასიის გამსადენის სისტემის გაფართოების პროექტი საქართველოში დაგეგმილი უმსხვილესი საინვესტიციო პროექტია. ჩვენი გათვლებით, პროექტის მიმდინარეობის პერიოდში, ადგილობრივი კომპანიების საქონლისა და მომსახურების შესყიდვებზე კომპანია დაახლოებით 400 მილიონ აშშ დოლარს დახარჯავს. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში გაჩნდება დასაქმების შესაძლებლობები, რაც მნიშვნელოვანია უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალი მაჩვენებლების მქონე რაიონისთვის. მოსამზადებელი სამშენებლო სამუშაოების პერიოდში, თითოეულ მშენებარე ობიექტზე დასაქმდება დაახლოებით 100 ადამიანი. მუშახელზე მოთხოვნა გაიზრდება პროექტის მშენებლობის ეტაპზე, რომელიც დაახლოებით ოთხ წელს მოიცავს. დასაქმების თვალსაზრისით, მოსალოდნელია ორი მოკლევადიანი პერიოდი, როცა დასაქმებულთა რიცხვი, შესაბამისად, 800-ს და 1400-ს მიაღწევს, რასაც შემდეგ მოჰყვება ორი პიკური პერიოდი, როცა დასაქმებულთა მაქსიმალური რაოდენობა 1700 და 2000 იქნება. უკვე დასრულებული ობიექტების ექსპლუატაციისათვის საჭირო იქნება გაცილებით ნაკლები პერსონალი და ამ ეტაპზე, ძირითადად, დასაქმდებიან კვალიფიციური ტექნიკური კადრები და დაცვის სამსახურის თანამშრომლები.

სავარაუდოდ, გამსადენისა და მისი ობიექტების მშენებლობისთვის საჭირო მუშახელის ერთი ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობის რიგებიდან შეირჩევა. დასაქმებულთა შემოსავლების ზრდა დადებითად აისახება ადგილობრივ ეკონომიკაზე, რადგან ადამიანები მეტ თანხას დახარჯავენ ადგილობრივი ბიზნესების მიერ მოწოდებულ საქონელსა და მომსახურებაზე. მოსალოდნელია, რომ გაუმჯობესდება იმ ოჯახების ცხოვრების დონე, რომელთა ოჯახის წევრიც პროექტზე დასაქმდება და გამრდილ შემოსავალს მიიღებს ხელფასის სახით. კვებით მომსახურების, სურსათით მომარაგების, ობიექტების დაცვის, სამშენებლო მასალებისა და ტექნიკის მიწოდების კონტრაქტები ასევე დადებითად აისახება ადგილობრივ ეკონომიკურ სიტუაციაზე და ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურებას შეუწყობს ხელს.



მე-2 ნავთობსაქანი სადგურის თანამშრომელი ობიექტის ყოველდღიური შემოვლის დროს.

თანამშრომლობა ადგილობრივ კონტრაქტორებთან

ჩვენ მასშტაბურად ვცდილობთ ვითანამშრომლოთ ადგილობრივ კონტრაქტორებთან, რამდენადაც შესაძლებელია. ჩვენს მომწოდებლებთან საკონტრაქტო მოლაპარაკებების პროცესში, ვითხოვთ, რომ წარმოადგინონ გეგმა, რომელიც მათი პერსონალის შემადგენლობაში ადგილობრივი კონტინგენტის გაზრდას ითვალისწინებს. ჩვენი კონტრაქტორების დაახლოებით 90% ადგილობრივი კომპანიაა. ჩვენი მოთხოვნა მუშახელზე შეეხება როგორც კვალიფიკაციას, ისე არაკვალიფიკაციურ კადრებს.

2013 წელს ჩვენ მიერ ადგილობრივი კომპანიებისთვის გადახდილმა თანხამ 77 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო 2012 წელს ეს მაჩვენებელი 76 მილიონი დოლარი იყო. ქვემოთ ცხრილში ნაჩვენებია ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში კონტრაქტორებისთვის გადახდილი თანხების რაოდენობები.

ადგილობრივი კომპანიების მუშაობის სტანდარტის ამაღლება

კონტრაქტორები ვალდებული არიან იმუშაონ ჩვენი სტანდარტების შესაბამისად, ამისათვის მათ ხშირად ესაჩიროებათ ტრენინგების გავლა, ძირითადად, სამუშაოების დაწყებამდე და აგრეთვე მათი მიმდინარეობისას. სამუშაო ობიექტებზე კონტრაქტორები სისტემატურად უტარებენ ტრენინგებს თავის თანამშრომლებს, ჩვენი მხრიდან კი ხდება კომპეტენციის დონის შემოწმება. ზოგიერთი კონტრაქტორის კონტრაქტი ითვალისწინებს სავალდებულო ტრენინგებს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვა და ინფორმაციული სისტემები.



მე-2 ნავთობსაქანი სადგურის თანამშრომელი მუშაობის პროცესში.

სტანდარტის ამაღლება მხოლოდ პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის ამაღლებით არ შემოიფარგლება. ის ასევე ეხება, ზოგადად, საქმიანი ქცევის სტანდარტს. BP-ის „ქცევის კოდექსი“ მიხედვით, კონტრაქტორის თანამშრომელს შეუძლია მიმართოს BP-ს, თუკი ჩათვლის, რომ მის მიმართ დაირღვა კოდექსი ჩვენთან არსებულ კონტრაქტზე მუშაობის პერიოდში. ამ შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება დავუკავშირდეთ კონტრაქტორის ხელმძღვანელობას, რათა გავარკვიოთ, რამდენად საფუძვლიანია თანამშრომლის პრეტენზია და მათთან ერთად შევეცადოთ საკითხის დარეგულირებას. ზოგ შემთხვევაში, BP შესაძლოა პირდაპირ დაუკავშირდეს ამ თანამშრომელს. „ქცევის კოდექსი“ ნათლად მოუთითებს, რომ ჩვენ შეგვიძლია ჩავატაროთ გამოძიება, თუკი საჭიროდ ჩავთვლით.

ჩვენ ვატარებთ კონტრაქტორების დასაქმების პროცედურების აუდიტს და ვამოწმებთ, რამდენად სრულდება მათ მიერ სოციალური ვალდებულებები და ადგილობრივი კონტინგენტის დასაქმებასთან დაკავშირებული პირობები, რომლებიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ანგარიშში არის გაწერილი. აუდიტის პროცესში ვამოწმებთ ისეთ სფეროებს, როგორებიცაა, სამუშაოზე მიღების პრაქტიკა, სამუშაო პირობები, შემცირებისა და სამსახურიდან დათხოვნის წესები, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და დასაქმებულთა საჩივრების განხილვის პროცედურები. ჩვენი უშიშროების დაცვის კონტრაქტორის – შპს „ვეზირის“ 2012 წლის აუდიტის დასკვნაში აღნიშნული ყველა რეკომენდაცია შესრულდა 2013 წლის განმავლობაში.

ჩვენ ვმუშაობთ ჩვენს კონტრაქტორებთან, რათა მათ მეტი ყურადღება დაუთმონ სოციალური რისკების გამოვლენას და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას. ივლისში ერთი სამუშაო დღე დაეთმო სემინარს სოციალურ სფეროში არსებული ვალდებულებებისა და მოთხოვნების თემაზე, რომელსაც 18 კონტრაქტორი დაესწრო. სემინარზე აღინიშნა, რომ ბიზნესებს გააჩნიათ ადამიანის უფლებების პატივისცემის ვალდებულება და განხილულ იქნა BP-ის მიერ ცოტა ხნის შემოღებული ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დასაქმების საკითხებს. სემინარებს ესწრებოდნენ კონტრაქტორების ხელმძღვანელობა და კადრების მენეჯერები. განხილულ იქნა მიმდინარე ოპერაციების დროს წარმოშობილი სოციალური ინციდენტების კონკრეტული მაგალითები.

ჩვენი თანამშრომლები და ჩვენი ღირებულებები

ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ, რათა ჩვენს თანამშრომლებს შევუქმნათ პროფესიული განვითარების შესაძლებლობები ისეთ სამუშაო გარემოში, რომელშიც ურთიერთობებს კონკრეტული ღირებულებები და „ქცევის კოდექსის“ მკაფიოდ გაცხადებული პრინციპები განსაზღვრავს.



რა მიზანი დავისახეთ

ვიზრუნებთ ჩვენი ადგილობრივი თანამშრომლების კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარების ამაღლებაზე.

თანამშრომლებს შევუქმნით პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, ქვეყნის ფარგლებს გარეთ გრძელვადიანი სამუშაო მივლინებების და სპეციალურად მათზე მორგებული სასწავლო პროგრამების მეშვეობით.

ხაზგასმით წარმოვაჩინოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი საქმიანობის წარმართვა BP-ის „ქცევის კოდექსის“ მოთხოვნების შესაბამისად.

რას მივაღწიეთ

საქართველოში BP-ის თანამშრომელთა საერთო რაოდენობის 94%-ს საქართველოს მოქალაქეები შეადგენენ.

დამატებით 4 კურსდამთავრებული დავასაქმეთ 2013 წელს, „Challenge“ პროგრამის ფარგლებში. მეტი თანამშრომელი გავაგზავნეთ სამუშაო მივლინებით ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

შრომითი საქმიანობის შეფასების ყოველწლიური პროცესის ფარგლებში, თანამშრომლებს მოეთხოვებათ „ქცევის კოდექსის“ მოთხოვნების შესრულების ოფიციალურად დადასტურება.

რას ვაპირებთ


შეგინარჩუნებთ საქართველოს მოქალაქეების მაღალ ხვედრით წილს კომპანიის პერსონალის შემადგენლობაში.

ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე თანამშრომლებს მივცემთ შესაძლებლობას, რომ აიმაღლონ მართვის უნარ-ჩვევები.


ჩვენი პერსონალის შემადგენლობა

ჩვენი თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაგვანია ტრენინგების მრავალფეროვანი პროგრამები და პროფესიული წინსვლის სხვა შესაძლებლობები და ვცდილობთ, რომ კომპანიაში საუკეთესო კადრები მოვიზიდოთ.

BP საქართველოს პერსონალის შემადგენლობა 2009-2013



BP Georgia nationalization graph 2009-2013




ჩვენი პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა მისადაგება იმ კონკრეტულ საქმიანობას, რომელსაც კომპანია მოცემულ პერიოდში ახორციელებს. უკანასკნელ წლებში კომპანიაში დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების რიცხვის თანმიმდევრულ ზრდასთან ერთად, ზოგიერთ თანამდებობას უცხოელი კონტრაქტორებიც იკავებენ, ძირითადად იმ შემთხვევაში, როცა თანამდებობა მოითხოვს სპეციალიზებულ კვალიფიკაციას ან მიზანშეწონილია ცოდნის გადაცემა ქართველი კოლეგებისთვის.

2013 წელს საქართველოში BP-ის თანამშრომლების საერთო რაოდენობა გაიზარდა, თუმცა უცხოელი დარჩა საქართველოს მოქალაქეების ხვედრითი წილი კომპანიის პერსონალის შემადგენლობაში. 2013 წლის ბოლოს, საქართველოში BP-ის თანამშრომელთა 94%-ს საქართველოს მოქალაქეები შეადგენდნენ. ეს მაჩვენებელი ოდნავ აღემატება საშუალო მაჩვენებელს გასული წელიწადის განმავლობაში, ანუ იმ პერიოდში, რაც მიღსადენები სრული დატვირთვით ფუნქციონირებს. ექსპლუატაციის განყოფილების მენეჯერებისა და შუალედური ხელმძღვანელი რგოლის დაახლოებით 90%-ს საქართველოს მოქალაქეები შეადგენენ და მათი ხვედრითი წილი, გასულ წელთან შედარებით, სტაბილურად არის შენარჩუნებული. თუ პროექტებზე მომუშავე თანამშრომლებსაც დავუმატებთ, მაშინ ეს მაჩვენებელი დაახლოებით 85%-მდე შემცირდება, რაც უკავშირდება მოკლევადიან მოთხოვნას ვიწრო სპეციალობის კვალიფიციურ პერსონალზე, რომელთა უმრავლესობა უცხოელია. როგორც ექსპლუატაციის, ისე პროექტების განყოფილებების ქართველი მენეჯერებისა და შუალედური ხელმძღვანელი რგოლის 13-14%-ს ქსლები შეადგენენ.

ჩვენ ასევე ვთანამშრომლობთ 69 ქართულ კომპანიასთან. მათი თანამშრომლები ჩვენი ორგანიზაციული სტრუქტურის ნაწილი არიან და მონაწილეობას იღებენ კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში.

SCP პროექტი: პერსონალის შემადგენლობა (ახლანდელი მდგომარეობით)



საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებული ახალგაზრდების მოზიდვასა და კომპანიაში დასაქმებას გარკვეული სირთულეები ახლავს. დასაქმების პერსპექტივების გაფართოების მიზნით, კომპანიის კადრების სპეციალისტებმა გაიზარდეს ამერბაიჯანელი კოლეგების გამოცდილება და რეგიონში არსებული პრაქტიკა. ჩვენ დავუკავშირდით კონკრეტულ უნივერსიტეტებს და გავმართეთ შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან და შესაბამისი ფაკულტეტების, მაგალითად, საინჟინრო სპეციალობების სტუდენტებთან, რომელთაც მივაწოდეთ მეტი ინფორმაცია, ზოგადად, BP-ის საქმიანობის შესახებ და განუშვარტეთ, თუ რა ტიპის საკადრო რესურსის მოზიდვით არის დაინტერესებული კომპანია.

2013 წელს პერსონალის რიცხვის ზრდა, უმთავრესად, უკავშირდება სამხრეთ კავკასიის გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტის პერსონალით დაკომპლექტებას, რაც 2011 წლიდან დაიწყო. 2013 წლის დეკემბრის მდგომარეობით, SCPX პროექტზე დასაქმებული თანამშრომლების რიცხვმა 32-ს მიაღწია. მოსალოდნელია, რომ მომდევნო წლებში, პროექტის განხორციელების მასშტაბების ზრდასთან ერთად, პროექტის პერსონალის რაოდენობაც ეტაპობრივად გაიზარდება.

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება

ჩვენ ყველა ჩვენს თანამშრომელს ტრენინგებისა და პროფესიული გადამზადების კურსების ფართო სპექტრს ვთავაზობთ. მაგალითად, ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე თანამშრომლებისთვის ვატარებთ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებს, რომლებიც მათ მართვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში ეხმარება. მათ შორისაა, ინდივიდუალური საქმიანობის შედეგების გაუმჯობესების, ეფექტური გუნდური მუშაობისა და სააგენტოს პერსონალის მართვის ტრენინგები. 2013 წელს, ადგილობრივი თანამშრომლებისთვის ჩატარებული ტრენინგის ხანგრძლივობამ, თითო თანამშრომელზე გადაანგარიშებით, დაახლოებით 39 საათი შეადგინა.

ჩვენ ასევე ვატარებთ შიდა ტრენინგებს ჯგუფის ხელმძღვანელებისათვის, რომლებზეც ყურადღება ეთმობა კადრების მართვის ისეთ საკითხებს, რომლებიც ჯგუფის ხელმძღვანელების კომპეტენციას განეკუთვნება, მათ შორისაა, რთულ სიტუაციაში თანამშრომელთან საუბრის წარმართვის უნარი, საქმიანობის შედეგების განხილვა, ახალი თანამშრომლების სამუშაოზე აყვანის პროცესი, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, თანამშრომელთა ანაზღაურების საკითხები. ჯგუფის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ახლად დანიშნული თანამშრომლებისათვის, 2013 წელს მოვამზადეთ ჯგუფის ხელმძღვანელთა საინფორმაციო პაკეტი, რომელშიც მოკლედ არის ჩამოყალიბებული ძირითადი სახელმძღვანელო პროცედურები და მითითებები, თუ სად შეუძლიათ მენეჯერებს, რომ მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია ამა თუ იმ საკითხზე.

მილსადენის დიაგნოსტიკური დგუშის გაშვება 1-ლ ნავთობსაქარ სადგურზე.



ნინო შარშია

შესყიდვებისა და კონტრაქტების
კატეგორიის ჯგუფის ხელმძღვანელი
საქართველოში

„BP-ში უკვე 13 წელია ვმუშაობ, შესყიდვებისა და კონტრაქტების მართვის ორგანიზაციის შემადგენლობაში. საქართველოში ეს ფუნქციონალური დანაყოფი, მისი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, შედარებით მცირემასშტაბიანია, ამიტომ ჩემთვის საინტერესო იყო ეს შესაძლებლობა, რომ ორწლიანი სამუშაო მივლინებით წავსულიყავი ბაქოში. იქ ვმუშაობდი კომპანიის ექსპლუატაციისა და წარმოების დანაყოფებში, ჩემი სფერო იყო ტექნომსახურების და სარემონტო ოპერაციები, რომელთა შესყიდვების ღირებულება ათობით მილიონი დოლარით განისაზღვრება. ჩემს პასუხისმგებლობის სფეროში შედიოდა სამოცამდე კონტრაქტორთან არსებული კონტრაქტები. ბაქოში ყოფნის მეორე წელს დამაწინაურეს და გახვდი კატეგორიის მენეჯერი არაპირდაპირი შესყიდვების განყოფილებაში. ამ თანამდებობაზე ბიზნესკერვისების მრავალრიცხოვანი კონტრაქტების მართვა მევალებოდა.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, დავინიშნე კატეგორიის მენეჯერად მთლიანად საქართველოს მასშტაბით და ვხელმძღვანელობ ჯგუფს ხუთი თანამშრომლის შემადგენლობით, აქედან ორი მათგანი ჩემთან ერთად იმყოფებოდა სამუშაო მივლინებით აზერბაიჯანში. ახლა, ყველა ერთად, საქართველოდან გმართავთ შესყიდვების კომპონენტს, მსხვილმასშტაბიანი რეგიონალური პროექტების ფარგლებში. გარდა ამისა, წინ მოგვიწევს სამხრეთ კავკასიის გაზსადენის სისტემის გაფართოების ძალზე საინტერესო და მასშტაბური პროექტი, რომელიც ადგილობრივი საქონლისა და მომსახურების შესყიდვებზე მნიშვნელოვანი თანხის დახარჯვას ითვალისწინებს.

აზერბაიჯანში მუშაობამ პროფესიული ზრდის შესაწინააღმდეგო შესაძლებლობა მომცა. სხვადასხვა ეროვნების ადამიანებით დაკომპლექტებული დიდი ჯგუფის შემადგენლობაში მუშაობა და განსხვავებულ კულტურასთან შეგუება საკმაოდ რთული გამოწვევა აღმოჩნდა. მიუხედავად სირთულეებისა, ძალზე მნიშვნელოვანი გამოცდილება შევიძინე და მოხარული ვარ, რომ ასეთი შესაძლებლობა მომეცა“.

ვაგრძელებთ თანამშრომელთა უმაღლესი პროფესიული განათლების დაფინანსებას, რომლის დასრულების შემდეგ მათ ოფიციალური ხარისხი ან საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი ენიჭებათ. ჩვენ ასევე ვაფინანსებთ ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებს. 2013 წელს, ინგლისური ენის კურსი გაიარა 120-მა თანამშრომელმა, რომელთა უმრავლესობა ტექნიკოსები იყვნენ.

ჩვენ ხელს ვუწყობთ ჩვენი თანამშრომლების კარიერულ წინსვლას და ფართო გამოცდილების შეძენას რეგიონის მასშტაბით, BP-ის აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის რეგიონალური დანაყოფის შემადგენლობაში. 2013 წელს კიდევ ოთხი თანამშრომელი გაემგზავრა სამუშაო მივლინებით აზერბაიჯანში, შესაბამისად, გაიზარდა საქართველოდან მივლენილი თანამშრომლების რიცხვი, რომლებიც ამჟამად მუშაობენ აზერბაიჯანში, თურქეთსა და დიდ ბრიტანეთში.

2013 წელს საქართველოში გავაფართოვეთ ჩვენი გეგმები “Challenge” ინიციატივის ფარგლებში, რომელსაც პირველად 2012 წელს შევეუერთდით, და უნივერსიტეტის კურსდამთავრებული კიდევ ოთხი ახალგაზრდა დავასაქმეთ კომპანიაში. ამ პროგრამის მიხედვით, რომელიც მთელი BP-ის ჯგუფის მასშტაბით ხორციელდება, კომპანიაში დასაქმებული ახალკურსდამთავრებული ახალგაზრდები პროფესიას ეუფლებიან, სპეციალურად მათზე მორგებული სასწავლო პროგრამების მეშვეობით. პროგრამის განმავლობაში, რომელიც ჩვეულებრივ 24-დან 36 თვემდე გრძელდება, მის მონაწილეებს ეძლევათ შესაძლებლობა, რომ იმუშაონ ბიზნესის მინიმუმ ორ სხვადასხვა სფეროში და ფართო სპექტრის უნარები შეიძინონ. პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის საჭიროა, რომ მონაწილემ გაიაროს ყველა საჭირო ტრენინგი და შეიძინოს აუცილებელი პროფესიული უნარ-ჩვევები. 2013 წელს “Challenge” პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდები დასაქმდნენ საინჟინრო-ტექნიკურ და საწარმოო ჰიგიენის განყოფილებებში, ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა გარემოს დაცვის მრჩეველის პოზიცია დაიკავა.

ჩვენი ღირებულებები

უსაფრთხოება

პატივისცემა

სრულყოფილება

გამბედაობა

ერთი გუნდი

უსაფრთხოება: ჩვენი საქმიანობის საფუძველი ჩვენი თანამშრომლებისა და ჩვენი ობიექტების ირგვლივ მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვაა. ჩვენ ასევე ვზრუნავთ გარემოს უსაფრთხოებაზე და ალერსული გვაქვს ვალდებულება, რომ უსაფრთხოდ მოვამარაგოთ მსოფლიო ენერგორესურსებით.

პატივისცემა: ჩვენ პატივისცემით ვეპყრობით გარემოს, რომელშიც ვსაქმიანობთ. პირველ რიგში, ეს გამოიხატება ქვეყნის კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესრულებით. ჩვენ საკუთარ თავს ვუდგენთ უმაღლეს ეთიკურ სტანდარტებს და ვიქცევით იმგვარად, რომ ირგვლივ მყოფთა ნდობა დავიმსახუროთ.

სრულყოფილება: ჩვენს ბიზნესს თან ახლავს პოტენციური საფრთხეები და ჩვენ გამუდმებით ვცდილობთ, მაქსიმალურად დავხვეწოთ ჩვენი ოპერაციები და თანმიმდევრულად და რაციონალურად ვმართოთ ჩვენი ბიზნესი. ჩვენ ზედმიწევნით ვიცავთ და ვასრულებთ იმ წესებსა და ნორმებს, რომლებიც ჩვენი კომპანიისთვის დავადგინეთ.

გამბედაობა: ხშირად, საუკეთესო შედეგების მიღწევა ჩვენგან მოითხოვს გამბედაობას, რომ გავუძლიეროთ სირთულეებს, ლიად გამოვხატოთ ჩვენი აზრი და არ გადავხვიოთ ჩვენს პრინციპებს. ჩვენ მუდამ ვცდილობთ, რომ ვიმოქმედოთ სწორად. ვეძებთ ახალ ხედვებს და დახმარების თხოვნის არ გვეშინია.

ერთი გუნდი: რა ინდივიდუალური ღირსებებიც არ უნდა გავაჩნდეს თითოეულ ჩვენგანს, ერთობლივი ძალისხმევით გაცილებით მეტს მივაღწევთ. ჩვენ გუნდის ინტერესებს პირად წარმატებაზე წინ ვაყენებთ და ვზრუნავთ მთელი გუნდის პოტენციალის ამაღლებაზე.

ჩვენი თანამშრომლების შესახებ

ჩვენი მიზანია, თითოეულ თანამშრომელს მოვეპყრათ სამართლიანად და პატივისცემით. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ კომპანიის წარმატებას, დიდწილად, ნიჭიერი, მაღალკვალიფიციური და მოტივირებული კადრი განაპირობებს.



მე-2 ნავთობსაქაჩი სადგურის თანამშრომელი მუშაობის პროცესში.

ჩვენი თანამშრომლების პირადი კეთილდღეობის ხელშეწყობა

2013 წლის ოქტომბერში, ადგილობრივი თანამშრომლების დახმარებათა პაკეტის ფარგლებში ამოქმედდა ახალი პროგრამა, რომელიც განკუთვნილია კომპანიაში მუშაობის სამ წელზე მეტი სტაჟის მქონე თანამშრომლებისთვის. დახმარებათა პაკეტის ეს ახალი კომპონენტი მიზნად ისახავს კომპანიის კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებას საქართველოს შრომის ბაზარზე, ხელს უწყობს კომპანიაში კვალიფიციური კადრების ხანგრძლივად შენარჩუნებას და თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებას. პროგრამის ფარგლებში, კომპანია თანამშრომლებს კონკრეტული დანიშნულებით აღებული საბანკო სესხების სუბსიდირებას სთავაზობს. პროგრამა ვრცელდება სესხებზე, რომელთა დანიშნულებაა ბინის ან სახლის შეძენა, რემონტი ან აშენება, ან 18 წლამდე ასაკის შვილების განათლების საფასურის გადახდა. ამოქმედებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში, პროგრამით ისარგებლა მონაწილეობის უფლების მქონე თანამშრომელთა 53%-მა.

ვიმედოვნებთ, რომ ამგვარი პროგრამების შემოღებით, დავეხმარებით ჩვენს თანამშრომლებს და მათ კომპანიაში ხანგრძლივად დარჩენის მეტ მოტივაციას გაუზიარებთ. 2013 წელს ნამსახურობის წლების პრემია გადავეცით თანამშრომლებს, რომლებიც კომპანიაში 1996 წლიდან მუშაობენ. 2013 წელს, 76 თანამშრომელს გადაეცა პრემია კომპანიაში მუშაობის 15 წლის აღსანიშნავად, ხოლო 34 მათგანს – 10 წლიანი მუშაობის აღსანიშნავად. დღემდე, კომპანიაში 163 თანამშრომელს გადასცა ნამსახურობის წლების პრემია, BP-ში ერთგული სამსახურისთვის მადლიერების ნიშნად.

ჩვენი ღირებულებების ცხოვრებაში გატარება

ჩვენი ღირებულებები – უსაფრთხოება, პატივისცემა, სრულყოფილება, გამბედაობა, ერთი გუნდი – გამოხატავს იმას, რისიც გვჯერა, როგორ გვსურს რომ მოვიქცეთ და რისკენ მივისწრაფვით, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზაცია. ეს ღირებულებები უდევს საფუძვლად პროცესებს, რომლებსაც ვიყენებთ თანამშრომელთა სამუშაოზე აყვანის, დაწინაურების და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შეფასების მიზნით. ღირებულებები განსაზღვრავს, თუ რას მოველით ჩვენი თანამშრომლებისგან და განმტკიცებულია ჩვენი ანაზღაურების სისტემით, რომლის მიხედვით, თითოეული თანამშრომლის პრემირება დამოკიდებულია მთლიანად ჯგუფის წარმატებულ მუშაობაზე, ისევე როგორც კონკრეტული ქვედანაყოფისა და ინდივიდუალური თანამშრომლის მიერ მიღწეულ შედეგებზე.

BP-ის ქცევის კოდექსი

BP-ის „ქცევის კოდექსი“ გვიწესებს საქმიანი ეთიკის მაღალ სტანდარტებს, რომლებიც ჩვენს ნებისმიერ საქმიანობაზე ვრცელდება.

ირაკლი კანდელაკი


მბრუნავი აღჭურვილობის ინჟინერი

„BP-ში მუშაობა 1998 წელს დავიწყე. გასული 15 წელი მუდამ დატვირთული იყო, ზოგჯერ სირთულეებით აღსავსეც – როგორც პირადად ჩემთვის, ისე კომპანიისთვის და მთლიანად ქვეყნისთვის. მიუხედავად ამისა, ამ წლების განმავლობაში, ისეთი შესანიშნავი გამოცდილება მივიღე, როგორსაც ვერსად სხვაგან ვერ მივიღებდი. BP-ში მუშაობა დავიწყე, როგორც მილსადენის პატრულმა. მას შემდეგ, ვასრულებდი სადგურის ოპერატორის მოვალეობას ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მე-13 ნავთობსაქაჩი სადგურზე, შემდეგ გემუშაობდი ახლად ჩამოყალიბებული მობილური ჯგუფის შემადგენლობაში, რომელიც ნავთობსადენზე არსებული დიზელის ძრავების პროფილაქტიკურ სარემონტო სამუშაოებს ატარებდა.

2002 წელს, ტექნიკოსის თანამდებობიდან დამაწინაურეს და ბაქო-სუფსის ნავთობსადენის უფროს მექანიკოსად გადამიყვანეს. გარკვეული პერიოდი გემუშაობდი ჩრდილოეთის მარშრუტის საექსპლოატო მილსადენზე, რომელიც ახლა კომპანია „სლოკარის“ საკუთრებაშია. ეს სამუშაო ხშირ გადაადგილებასთან იყო დაკავშირებული, ასობით კილომეტრს გავდიოდი ავტომანქანით აზერბაიჯანის მიმართულებით, მილსადენზე შექმნილი პრობლემებისა და გაუმართაობების აღმოსაფხვრელად. 2006 წელს დავინიშნე ტექნოლოგიების ნაწილის უფროსად და ჩემს პასუხისმგებლობაში შედიოდა საქართველოში მოქმედი სამივე მილსადენი და ყველა ობიექტი. 2011 წლიდან მოყოლებული, მბრუნავი აღჭურვილობის ინჟინერი ვარ.

განათლებით ვარ მშენებელი ინჟინერი, მაგრამ სამუშაო გამოცდილებიდან გამომდინარე, დღესდღეობით ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია მაქვს. ვარ ინჟინერ-მექანიკოსთა ინსტიტუტის წევრი, თუმცა ახლა აკრედიტებული ინჟინრის ხარისხის მიღებაზე გემუშაობ. ამაში BP მენეჯრება, მათ შორის, ფინანსურად, კიდევ დაახლოებით 3-5 წელი დამჭირდება, მაგრამ საერთაშორისო დონეზე აღიარებული პროფესიული კვალიფიკაციის მოპოვება ამ ძალიანხმავად ნამდვილად ღირს.

ახლა როცა 1998 წელს ვიხსენებ, ვფიქრობ, რომ საქართველოში BP-ის საქმიანობა ქვეყანასთან ერთად განვითარდა და ამ გზაზე წარმატებაც ბევრი იყო და წარუმატებლობაც, მაგრამ კომპანია ყოველთვის ცდილობდა უმაღლესი სტანდარტების შენარჩუნებას. მეც ასე ვიყავი – ვაკეთებდი მაქსიმუმს და იოლი გზებით არ მივლია. თხუთმეტი წელი მთელი ჩემი სამუშაო კარიერა არ არის, მაგრამ მისი უდიდესი ნაწილია. დღესაც მიმაჩნია, რომ BP სამუშაოდ ერთ-ერთი საუკეთესო კომპანიაა საქართველოში“.



ღირებულებების გარდა, ჩვენს საქმიანობაში ვხელმძღვანელობთ BP-ის „ქცევის კოდექსით“, რომელშიც ჩამოყალიბებულია ის ძირითადი ქცევის ნორმები, რომელთა დაცვაც მოგვეთხოვება ყველას, BP-ში მუშაობის პერიოდში. კოდექსი ასევე განმარტავს, თუ როგორ უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენი ღირებულებებით, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს.

„ქცევის კოდექსის“ ტრენინგის ინდივიდუალური კურსი უტარდება როგორც BP-ის, ისე სააგენტოს ყველა ახალ თანამშრომელს. 2013 წელს ეს კურსი 48 თანამშრომელმა გაიარა. მოქმედ თანამშრომლებს მოეთხოვებათ, რომ სამ წელიწადში ერთხელ გაიარონ გადაამზადება ეთიკისა და კორპორაციულ წესებთან შესაბამისობის საკითხებში. ამისათვის, მათ უნდა გაიარონ კომპიუტერიზებული კურსი ქცევის კოდექსის, ინტერესთა კონფლიქტის, მექრთამეობისა და კორუფციის აკრძალვის საკითხებზე.

საქართველოში BP-ს ჰყავს ეთიკისა და კორპორაციულ წესებთან შესაბამისობის ოფიცერი, რომელიც აზერბაიჯანში მყოფი რეგიონალური ჯგუფის დაქვემდებარებაშია, რაც მის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს. მის მოვალეობებში შედის „ქცევის კოდექსის“ მოთხოვნების შესრულების, მათ შორის, შესაბამისი ტრენინგების გავლის, საერთო კონტროლი და თანამშრომლებისთვის განმარტებების მიცემა საქმიანი ეთიკის საკითხებზე. თანამშრომლები ეთიკისა და კორპორაციულ წესებთან შესაბამისობის ოფიცერს მიმართავენ იმის გასარკვევად, თუ რა არის ნებადართული კოდექსის მიხედვით, მაგალითად, ისეთ საკითხებში, როგორებიცაა საჩუქრებისა და გასართობ ღონისძიებებზე მიწვევის მიღება და გაცემა, ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობა.

ორივე სფეროში ჩვენ გავგაჩნია რეესტრი, რომლის მეშვეობით, 2013 წელს ოცმა თანამშრომელმა განაცხადა პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, ხოლო რეესტრში გაკეთებული 52 ჩანაწერი ეხებოდა მიღებული, შეთავაზებული ან გაცემული საჩუქრების რეგისტრაციას. ამ რეესტრების ძირითადი დანიშნულებაა გამჭვირვალობა და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტების პრევენცია. „ქცევის კოდექსისა“ და რეგიონის მასშტაბით მოქმედი რეგულაციების მიხედვით, საჩუქრებისა და გასართობ ღონისძიებებზე მიწვევის მიღება აკრძალული არ არის, მაგრამ დაწესებულია ასეთი საჩუქრებისა და მიწვევების ღირებულების ზღვრული სიდიდეები და მათი მიღების მკაფიო რეგლამენტი. ჩვენი „ქცევის კოდექსი“ უშვებს, რომ ინტერესთა კონფლიქტი, შესაძლოა, მართლზომიერად წარმოიშვას, თუმცა აუცილებელია ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობა სათანადოდ იქნეს გაცხადებული და დარეგულირებული, რაც გულისხმობს, რომ საკითხი განხილულ უნდა იქნეს ხელმძღვანელობასთან და შესაბამისი ქმედებები იქნეს გატარებული.



ჩვენი თანამშრომლები ობიექტის შემოვლისას.



ტექნიკოსი მილსადენის დიაგნოსტიკური დგუშის
უსაფრთხოებას ამოწმებს.

ჩვენს თანამშრომლებს ხელი მიუწვდებათ რამდენიმე საშუალებაზე, რომლითაც მათ შეუძლიათ განაცხადონ „ქცევის კოდექსის“ ან რომელიმე სხვა კანონის მოთხოვნების პოტენციური დარღვევების შესახებ. ასეთ საშუალებებს მიეკუთვნება – გასაუბრება ზემდგომ მენეჯერთან, კადრების განყოფილებასთან, ეთიკისა და კორპორაციულ წესებთან შესაბამისობის ჯგუფის თანამშრომლებთან და აგრეთვე კონფიდენციალური სატელეფონო ხაზი – Opentalk, რომელსაც მართავს დამოუკიდებელი კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს მრავალენოვან მომსახურებას, მათ შორის, ქართულ ენაზე. Opentalk-ზე დარეკვა შესაძლებელია ყოველდღე, დღე-ღამის ნებისმიერ დროს. ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს თანამშრომლებს, რომ ყველა ასეთი პოტენციური პრობლემით მიმართონ ზემდგომ მენეჯერს, კადრების ან იურიდიული განყოფილებების წარმომადგენლებს, ან კომპანიის ეთიკისა და კორპორაციულ წესებთან შესაბამისობის ოფიცერს საქართველოში.

წელიწადში ერთხელ, თანამშრომლებს მოეთხოვებათ, რომ შრომითი საქმიანობის წლიური შეფასების პროცესის ფარგლებში, თვითდეკლარირების ფორმით დაადასტურონ, რომ ისინი მოქმედებენ „ქცევის კოდექსის“ შესაბამისად. ამ პროცესში ფორმალური სერტიფიცირების გამოყენება ხელს უწყობს დიალოგის წარმართვას თანამშრომლებთან არა მარტო იმასთან დაკავშირებით, თუ რა სამუშაოს ასრულებენ ისინი, არამედ როგორ ასრულებენ ამ სამუშაოს, და კიდევ ერთი საშუალებაა იმის შესახებ შეხვედრა, რომ ჩვენ ყველას გვეკისრება პასუხისმგებლობა, რომ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ვიმოქმედოთ კეთილსინდისიერად, მაღალეთიკური სტანდარტების დაცვით, ჩვენი ღირებულებებისა და სწორი საქმიანი ქცევების შესაბამისად.

საჭიროების შემთხვევაში, ტარდება კოდექსის პოტენციური დარღვევის შემთხვევების გამოძიება, რომელსაც, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ატარებს კადრების განყოფილება, უშიშროების განყოფილება ან ეთიკისა და კორპორაციულ წესებთან შესაბამისობის ოფიცერი. გამოძიებას შეიძლება მოჰყვეს სხვადასხვა ტიპის ქმედება, მათ შორის, პროცედურის ან წესის ცვლილება, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გატარება, მათ შორის, თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნა ან კონტრაქტორის კონტრაქტის შეწყვეტა. 2013 წელს „ქცევის კოდექსის“ დარღვევის გამო თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევა არ ყოფილა.

შრომის უსაფრთხოება

გაგრძელებთ ძალისხმევას, რომ შრომის უსაფრთხოება და საოპერაციო რისკების მართვა ჩვენი ნებისმიერი საქმიანობის განუყოფელ ნაწილად ვაქციოთ.

რა მიზანი დავისახეთ

სისტემური მიდგომებით უზრუნველყოფთ მაღალეფექტურ, უსაფრთხო და საიმედო ოპერაციებს.

განვსაზღვრავთ და ვმართავთ რისკებს, ვატარებთ საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის ტრენინგებსა და სავარჯიშო ღონისძიებებს.

ვზრუნავთ ჩვენი თანამშრომლების, კონტრაქტორებისა და ვიზიტორების ჯანმრთელობის დაცვაზე, აგრეთვე იმ ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, რომლებიც ჩვენი ობიექტების სიახლოვეს ცხოვრობენ და მუშაობენ.

რას მივალწიეთ

3.7 მლნ კაცსაათი ნამუშევარი დროის და ავტორანსპორტით 9,5 მილიონი კილომეტრის გავლის პირობებში, ჩვენს საქმიანობაში არ მომხდარა თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევა ან მსხვილმასშტაბიანი ავარია.

103 საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საწვრთნელი ღონისძიება ჩავატარეთ 2013 წელს უსაფრთხოების სრული დაცვით.

გაგვანია პროფესიული ჯანდაცვისა და საწარმოო ჰიგიენის ფართო სპექტრის პროგრამები.

რას ვაპირებთ

გაგაგრძელებთ მაღალეფექტურ მუშაობას, უსაფრთხოებისა და საიმედოობის მაღალი მაჩვენებლებით.

გაგაგრძელებთ მუშაობას ჩვენი ინდივიდუალური და საწარმოო უსაფრთხოების დაცვის სფეროში მიღწეული შედეგების გასაუმჯობესებლად.

ისევე როგორც გასულ წლებში, გაგაგრძელებთ მუშაობას კონტრაქტორებთან, შრომის უსაფრთხოების კულტურის დამკვიდრებისა და თვითშეგნების ამაღლების მიზნით.



შრომის უსაფრთხოება

ჩვენი მთავარი მიზანია – უსაფრთხო და საიმედო ოპერაციების შესრულება, კანონებისა და რეგულაციების მოთხოვნების სრული დაცვით. სამუშაოს შესრულების უმაღლესი მაჩვენებლების მიღწევასთან ერთად, ჩვენთვის უმთავრესია დაგვიცვათ ჩვენი თანამშრომლების ჯანმრთელობა და ჩვენი წარმოების უსაფრთხოება.



3.7

მილიონი ნამუშევარი საათის პირობებში, 2013 წელს თანამშრომლის ტრავმის მხოლოდ 2 შემთხვევა აღინიშნა.

9.5

მილიონი კილომეტრი გაიარა კომპანიის ავტორანსპორტმა, უბედური შემთხვევებისა და ავარიების გარეშე.

ვაგრძელებთ რეგიონალური დანაყოფის დონეზე წარმოების მართვის სისტემის (OMS) დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი მუშაობის უსაფრთხოებასა და საიმედოობას.

ვაგრძელებთ მუშაობას, რათა მივაღწიოთ ჩვენი ოპერაციების შესაბამისობას OMS-ის მოთხოვნებთან და ამ მიზნით შემუშავებული გვაქვს წლიური საკონტროლო გეგმა, გატარებთ დამოუკიდებელ შემოწმებებს და თვითკონტროლის ღონისძიებებს, რომელთა მეშვეობით ვაკონტროლებთ თითოეული მოთხოვნის შესრულების მხრივ არსებულ მდგომარეობას. ჩვენ მიგმართავთ გეგმაზომიერ ქმედებებს ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, განვსაზღვრავთ პრიორიტეტულ სფეროებს, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს, რაც რისკების დონეების შემცირების და ჩვენი მუშაობის ხარისხის ამაღლების უწყვეტი პროცესების წინაპირობაა.

უცვლელი რჩება ჩვენი ვალდებულება – თავიდან ავიცილოთ უბედური შემთხვევები, დავიცვათ ადამიანების უსაფრთხოება და გავუფრთხილდეთ გარემოს.

შრომის უსაფრთხოების მაჩვენებლები

2013 წელს, საქართველოში BP-ისა და მისი კონტრაქტორების მიერ ნამუშევარმა დრომ 3,7 მილიონი კაცსათი შეადგინა, ხოლო ავტორანსპორტით გავლილი კილომეტრების რაოდენობა 9,5 მილიონს გაუტოლდა, ამასთან, არ მომხდარა არც ერთი უბედური შემთხვევა ან მსხვილი ავარია. აღირიცხა თანამშრომლის ტრავმის ორი ინციდენტი, ორივე შემთხვევაში, თანამშრომელს ფეხი გაუსრიალდა და ქვედა კიდური მოიტეხა.

2013 წელს, ისევე როგორც 2012 წელს, ექვსი ავტოსაგზაო შემთხვევა აღირიცხა, რომელთაგან არც ერთი მათგანი არ იყო „ძვირე“ კატეგორიის. ინციდენტების გამოძიებამ უჩვენა, რომ ისინი ძირითადად გამოწვეული იყო გარეშე მხარის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიზეზით.

ჩვენ ვიძიებთ თითოეული ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევ მიზეზებს, რათა მივიღოთ საჭირო ზომები, რომ მომავალში თავიდან ავიცილოთ მსგავსი ინციდენტი. ჩვენ კვლავ მოვუწოდებთ ჩვენს თანამშრომლებსა და კონტრაქტორებს, რომ განაცხადონ ყველა პოტენციური ინციდენტის ან ინციდენტის წინაპირობის შესახებ. წლის განმავლობაში აღირიცხა პოტენციური ინციდენტების რაოდენობა, 2012 წელთან შედარებით, თითქმის გაორმაგდა. პოტენციური ინციდენტების ან მცირე ინციდენტების მაგალითზე, ჩვენ ვიღებთ გამოცდილებას, რომელიც გვცხმარება, რომ მომავალში თავიდან ავიცილოთ მსგავსი შემთხვევები.

2013 წელს აღინიშნა ხანძრის ერთი ინციდენტი, რომლის დროსაც ხმარებიდან ამოღებული ფილტრის ერთ-ერთი დეტალი, რომელიც თვითაალებადი მასალისგან იყო დამზადებული, ჟანგბადის ზემოქმედებით თავისით ააღდა და ჩაიწვა. ინციდენტის შემდეგ, ჩვენ გავაანალიზეთ თვითაალებადი მასალებით გამოწვეული პოტენციური საფრთხეები და ეს ინფორმაცია სხვებსაც გავუზიარეთ.

2013 წელს დავასრულეთ ყველა ღონისძიება, რომელიც BP ჯგუფის უსაფრთხოებისა და საოპერაციო რისკების სფეროს აუდიტის მიერ იყო რეკომენდებული. 2011 წელს ჩატარებული ამ აუდიტის შედეგად, რაიმე სერიოზული შეუსაბამობები არ გამოვლენილა, თუმცა გაცივად რამდენიმე რეკომენდაცია ზოგიერთი სფეროს გასაუმჯობესებელი ღონისძიებების შესახებ. როგორც დაგეგმილი გვქონდა, 2013 წლის განმავლობაში შევასრულეთ ამ ღონისძიებების დარჩენილი 10%, რაც ხელსაყრელ მდგომარეობაში გვაცივებს მომდევნო აუდიტის წინ, რომელიც, გეგმის მიხედვით, 2014 წელს უნდა ჩატარდეს.

ხუთი ფაქტი BP ჯგუფის უსაფრთხოებისა და საოპერაციო რისკების (S&OR) აუდიტის შესახებ



ტექნიკოსი იღებს ხელსაწყოს ჩვენებას 1-ლ ნავთობსაქაჩი სადგურზე.

რისკების მართვა

ჩვენი რისკების მართვის სისტემა გვეხმარება, რომ გამოვავლინოთ, გავიაზროთ და ვმართოთ რისკები და ამით უზრუნველვყოთ ჩვენი ოპერაციების უსაფრთხოება და საიმედოობა.



თანამშრომლები საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების წვრთნისთვის ემზადებიან.

რისკების შეფასება, კლასიფიკაცია და მართვა

BP ჯგუფის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ სისტემატურად ვაანალიზებთ საქართველოში BP-ის მთავარ რისკებს და ყოველწლიურად ვახლებთ რისკების რეესტრში ასახულ ინფორმაციას. კვარტალში ერთხელ, ხელმძღვანელი გუნდი იკრიბება სრული შემადგენლობით, ექსპლუატაციის, ტექნოლოგიის, პროექტების, ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის (HSE), უშიშროების, საინჟინრო-ტექნიკური და მილსადენების ტექნიკური კონტროლის განყოფილებების სპეციალისტებთან ერთად და მსჯელობს რისკების პრევენციის ღონისძიებებისა და არსებული დამცავი ბარიერების შესახებ. ჩვენ ვაანალიზებთ რისკების პოტენციურ შედეგებს, რისკებს ვახარისხებთ მათი მნიშვნელობის მიხედვით და ვათანხმებთ ამ რისკების დასარეგულირებელ ღონისძიებებს. BP საქართველოს რისკების შეფასების შედეგები აისახება მთლიანად სახმელეთო ოპერაციების რისკების შეფასებაში, რომლებიც მოიცავს ოპერაციებს საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიებზე. ჩვენი მიზანია, რომ მუდმივად დავხვეწოთ რისკების პრევენციისა და შემცირების საშუალებები.

ინციდენტების შედეგად მიღებული გამოცდილება

ჩვენ ყოველმხრივ ვუწყობთ ხელს ყველა პოტენციური ინციდენტის აღრიცხვას და ყველა რეალური ინციდენტის სათანადოდ გამოძიებას, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ ანალოგიური შემთხვევები. ექსპლუატაციის, ტექნოლოგიის, პროექტების, საინჟინრო-ტექნიკური და HSE სფეროების ხელმძღვანელი პირების მონაწილეობით, ყოველკვარტალურად ვახდენთ ინციდენტების ტენდენციების გაანალიზებას, ვიკვლევთ ამ ინციდენტების გამომწვევ უშუალო და სიღრმისეულ მიზეზებს, განვსაზღვრავთ სფეროებს, რომლებზეც მეტი ყურადღების გამახვილება გვამართებს, გვეგმაოთ ამ სფეროების გასაუმჯობესებელ ღონისძიებებს და მათ ავსახავთ სპეციალურ პროგრამაში, რომლის მეშვეობით შემდეგ გავაკონტროლებთ მათ შესრულებას. ასეთი თანმიმდევრული და სისტემური მიდგომა უზრუნველყოფს ინციდენტების რიცხვის კლებას, მთელი კომპანიის მასშტაბით.

უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა

ყველგან, სადაც BP საქმიანობს, BP ჯგუფის „სამუშაოს კონტროლის“ სტანდარტის სისტემატური დაცვა სავალდებულოა როგორც BP-ის თანამშრომლებისათვის, ისე კონტრაქტორებისათვის. „სამუშაოს კონტროლის“ სტანდარტი მოითხოვს, რომ თითოეული სამუშაო წინასწარ და გეგმიწვევით უნდა დაიგეგმოს და შესრულდეს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალის მიერ. თითოეული კონკრეტული სამუშაოს თანხმობები რისკები უნდა შეფასდეს და დარეგულირდეს, ხოლო სამუშაო შესრულდეს და გაკონტროლდეს შესაბამისი ნებართვის ფარგლებში. რაც მთავარია, ის თითოეული თანამშრომელს ავალდებულებს, რომ შეაჩეროს სამუშაო, თუ ის უსაფრთხოდ არ სრულდება. სამუშაოს კონტროლის ქმედითი პროცესი უზრუნველყოფს ისეთი სამუშაო გარემოს შექმნას, სადაც ადამიანებისა და გარემოსთვის ზიანის მიყენების ან მოწყობილობის დაზიანების პოტენციური რისკები დარეგულირებულია და შექმნილია ყველა პირობა სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებისთვის.

2013 წლის განმავლობაში BP საქართველოს მასშტაბით არაერთხელ შემოწმდა, თუ რამდენად აკმაყოფილებდა სამუშაოს კონტროლის არსებული მექანიზმები ჯგუფის მოთხოვნებს. სამუშაოს კონტროლის საკითხების ინსტრუქტორთა ჯგუფის ხელმძღვანელისა და აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის რეგიონალურ დანაყოფში სამუშაოს კონტროლზე პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით ჩატარებულ ყოველწლიურ რევიზია და საკონტროლო ვიზიტი ობიექტებზე, რასაც მოჰყვა სამოქმედო გეგმის შემუშავება და შეთანხმება ყველა შესაბამის მხარესთან.

ზოგადად, შესწავლამ უჩვენა, რომ ჩვენს ობიექტებზე „სამუშაოს კონტროლის“ საფუძვლები დაკმაყოფილებულია და პროცესები თანდათან სისტემატურ სახეს იღებს. სამოქმედო გეგმაში ყურადღება დაეთმო საოპერაციო რისკების შეფასების პროცესის დახვეწას, კონკრეტული სამუშაოს დაგეგმვის და რისკების შეფასების პროცესის ხარისხის ამაღლებას და დოკუმენტაციის სტანდარტიზაციას.

თანამშრომლობა კონტრაქტორებთან

ჩვენი, როგორც უსაფრთხო და საიმედო ოპერატორის წარმატება, მნიშვნელოვანწილად, დამოკიდებულია ჩვენი კონტრაქტორების შესაძლებლობებსა და საქმიანობის შედეგებზე.



კონტრაქტორების უსაფრთხო საქმიანობის ხელშეწყობა

„უსაფრთხოების სფეროს ხელმძღვანელი რგოლის შეხვედრები და ყოველწლიური ფორუმები ძალზე სასარგებლოა ჩვენი კომპანიისთვის, რადგან ამ შეხვედრებზე განხილვა უსაფრთხოების ყველაზე აქტუალური საკითხები, რაც გვცხადება, რომ მუდმივად ვიზრუნოთ ჩვენი კომპანიის – „სადეზინფექციო სერვისი“ +“-ის HSE-სფეროს მართვის პრაქტიკის გაუმჯობესებაზე.

ამ შეხვედრებზე განხილული საკითხების გათვალისწინებით, ვგეგმავთ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს ჩვენი თანამშრომლების უსაფრთხოების კულტურის ამაღლებას. ეს მოიცავს პოტენციური ინციდენტების აღრიცხვის გაუმჯობესებას, „სამუშაოს კონტროლის“ სტანდარტის მოთხოვნების შესრულებას, ავტორიზაციის მართვისათვის და სხვა მალარიისკულ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების დონის შემცირებას, ზამთრის პირობებში მუშაობისთვის მზადყოფნის შემოწმებას.

ჩვენ საცვებით გაცნობიერებული გვაქვს, რომ ჩვენი უსაფრთხოების მაჩვენებლები, ისევე როგორც სხვა კონტრაქტორების მიერ უსაფრთხოების სფეროში გაწეული საქმიანობა, პირდაპირ აისახება მოლიანად BP-ის უსაფრთხოების მაჩვენებლებზე. ჩვენ ვიცით, თუ რა მნიშვნელობა აქვს თითოეული ადამიანის პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას უსაფრთხოების მიმართ, უსაფრთხო და საიმედო ოპერაციებისთვის, და რომ ამ საკითხში ყურადღების მოდღეპა და მიღწეულით დაკმაყოფილება დაუშვებელია. ამ შეხვედრებზე განხილულ კონკრეტულ ინციდენტებს და ამ ინციდენტების შედეგად შემუშავებულ რეკომენდაციებს ჩვენ შემდეგ ვუზიარებთ ჩვენს ტექნიკურ პერსონალს, მენეჯმენტის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე, რომლებიც HSE საკითხებს ეძღვნება. ჩვენი ხელმძღვანელობა რეგულარულად ჩაღის ობიექტებზე და უშუალოდ ამოწმებს ამ რეკომენდაციების პრაქტიკულ განხორციელებას.

უსაფრთხოების სფეროს ხელმძღვანელი პირების ფორუმებში მონაწილეობამ ნათლად დაგვანახა, თუ რა როლი ეკისრება ხელმძღვანელობას HSE სფეროში დასახული ამოცანების შესრულებისა და უსაფრთხოების კულტურის ამაღლების თვალსაზრისით.

კატია გეგია

უსაფრთხოებისა და ბიზნესის მენეჯერი, „სადეზინფექციო სერვისი“ +“

თანამშრომლობა კონტრაქტორებთან

ჩვენი, როგორც უსაფრთხო და საიმედო ოპერატორის წარმატება, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ჩვენი კონტრაქტორების შესაძლებლობებსა და საქმიანობის შედეგებზე. გასული წლების მონაცემების მიხედვით, ჩვენ მიერ აღრიცხული ნამუშევარი დროის დახარჯებით 80%- კონტრაქტორებზე მოდის.

ჩვენს საქმიანობაში თანმიმდევრული და შეთანხმებული მიდგომების დასამკვიდრებლად, კვარტალში ერთ-ხელ ვაწყობთ შეხვედრებს კომპანიის უსაფრთხოების სფეროს ხელმძღვანელი პირებისა და ჩვენი კონტრაქტორების მონაწილეობით. ამ შეხვედრებზე განვიხილავთ ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სფეროში მიღწეულ შედეგებს, ჩვენი საქმიანობის პროცესში მომხდარ ინციდენტებს და ამ ინციდენტებიდან გამომდინარე დასკვნებს, საგანსით გამოყოფით ყველაზე აქტუალურ საკითხებს და მთავარ გზავნილებს, ერთმანეთს ვუზიარებთ გამოცდილებას და კონტრაქტორებს ვაწვდით მეტ ინფორმაციას უსაფრთხოების მნიშვნელოვან საკითხებზე. კონტრაქტორი კომპანიების ხელმძღვანელი რგოლის მონაწილეობით გამართული ყოველწლიური უსაფრთხოების ფორუმის ფარგლებში, კონტრაქტორების ხელმძღვანელობას ვაწვდით ინფორმაციას შრომის უსაფრთხოების სფეროში ხელმძღვანელი პირების როლის შესახებ, განვიხილავთ უსაფრთხოების საკითხების მართვის თვალსაზრისით მაგალითებს და უფრო მაღივოდ განვუმარტავთ, თუ რას მოველით მათგან, როგორც ამ სფეროს ხელმძღვანელებისგან. გარდა ამისა, მოვაწყვეთ ერთობლივი საველე გასვლები ობიექტებზე, რომლის დროსაც შევამოწმებთ სამუშაოს შესრულების არსებული პრაქტიკა, აღჭურვილობის გამართულობა, ობიექტზე სისუფთავისა და წესრიგის მხრივ არსებული მდგომარეობა. ასეთი საველე გასვლები, როგორც წესი, საშუალებას იძლევა, რომ განისაზღვროს სფეროები, რომლებზე შემდეგ გაუმჯობესებას მოითხოვს. ამ ღონისძიების შედეგების გაზიარება ხდება BP-ის კონტრაქტორების ფართო წრისთვის, კონტრაქტორების ხელმძღვანელი პირების ფორუმის ფორმატში.

2013 წელს აქტიურად მოვეწოდეთ ჩვენს კონტრაქტორებს, რომ გაეუმჯობესებინათ მათ საქმიანობაში მომხდარი ინციდენტების აღრიცხვის პრაქტიკა. 2013 წელს კონტრაქტორების მიერ აღრიცხული პოტენციური ინციდენტებისა და ავარიების რაოდენობა ხუთჯერ გაიზარდა და თითქმის 25%-ს მიაღწია, ხოლო 2012 წელს იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 5%-ს შეადგენდა.

ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს ობიექტებზე მომუშავე თითოეულ ადამიანს, ჩვენი თანამშრომელი იქნება თუ კონტრაქტორი, გააჩნდეს სათანადო გამოცდილება, კვალიფიკაცია და კომპეტენცია მასზე დაკისრებული სამუშაოს შესასრულებლად. ამ მიზანს ემსახურებოდა ტრენინგები იმ კონტრაქტორებისთვის, რომელთა სამუშაო მოითხოვს დამტკიცებული პროცედურების შედარებით დაგვას და შეთანხმებული ღონისძიებების გატარებას, რისკების თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე მათი კომპეტენციის შეფასება BP-ის უფლებამოსილი პირების მიერ და კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების გაცემა.

2013 წელს კონტრაქტორებისთვის დაწესებული ყოველწლიური ჯილდო გადაეცა კონტრაქტორებს, რომელთაც უსაფრთხოების სფეროში სამაგალითო შედეგები აჩვენეს. ესენი არიან:

- NRC International Services Ltd., პოტენციური ინციდენტების აღრიცხვის გაუმჯობესებისთვის, ობიექტებზე ეფექტური ხელმძღვანელობისა და გუნდური მუშაობისთვის, „ავტორიზაციის მართვის სტანდარტის“ განხორციელება შესრულებისთვის, ISO 18001, 14001 და 9001 სტანდარტის შესაბამისი სერტიფიკაციისათვის და მესამხრეთა სერტიფიკაციისთვის სახანძრო უსაფრთხოების ნაციონალური ასოციაციის (NFPA) სტანდარტის მიხედვით.
- ახალი კონტრაქტორი – შპს „ექსპრესი“, BP-ის თბილისის ოფისში სარემონტო სამუშაოების ჩატარების დროს უსაფრთხოების წესების შედარებით დადგინების და ავტორიზაციის შენობის სარემონტო სამუშაოების უსაფრთხო შესრულებისთვის.
- კომპანია „სადეზინფექციო სერვისი“ +“, დემინ-სექციის ეფექტური პროგრამის ჩატარებისთვის, ავტორიზაციის-საქართველო-თურქეთის რეგიონალურ დანაყოფში მოქმედი მოთხოვნების სრული დაცვით, რომლის შედეგად წლის განმავლობაში კომპანიის ობიექტებზე ქვეწარმავლებისა და მღრღნელების მიზეზით გამოწვეული ინციდენტები არ აღინშნულა. კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებდა რეგულარულ ვიზიტებს ჩვენს ობიექტებზე. კომპანია გაწვევრიანდა დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირში მოქმედ მაგნეტლებთან ბრძოლის პროფესიულ ასოციაციებში.
- შპს „ვეზირი“, პოტენციური ინციდენტებისა და სამუშაო საათებში ალკოჰოლის მოხმარების შემთხვევების აღრიცხვის გაუმჯობესებისთვის, „ავტორიზაციის მართვის სტანდარტის“ შესრულების ხარისხის ამაღლებისთვის, ობიექტებზე კომპანიის ხელმძღვანელობის რეგულარული ვიზიტების განხორციელებისთვის.



კონტრაქტორების ხელმძღვანელი პირები უსაფრთხოების ყოველწლიურ ფორუმზე.

ინდივიდუალური და საწარმოო პროცესის უსაფრთხოება

ჩვენი ოპერაციების, ჩვენი თანამშრომლებისა და ჩვენი ობიექტების სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა ნებისმიერი ჩვენი საქმიანობის ამოსავალი პრინციპია.

კ: კითხვა: რა ფორმით შეუწყო ხელი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საკითხებზე გამართულმა რეგიონალურმა სემინარმა გამოცდილების გაზიარებას სრულიად BP-ის მასშტაბით?

პ: წლებადღე რეგიონალური სემინარი ძალზე სასარგებლო ღონისძიება იყო, რომელმაც თავი მოუყარა ამ სფეროს პრაქტიკოსებს სხვადასხვა ქვეყნიდან და მისცა შესაძლებლობა, რომ საკუთარი ქვეყნების გამოცდილება ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ. ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ მრავალი მხარის, მათ შორის, BP შპიპინგ-ის მონაწილეობით გამართულ თეორიულ წვრთნებში, რომლის მეშვეობით ახალი და ღირებული ცოდნა შევიძინეთ.

ფრიდონ ნიგურაიანი

კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირებისა და ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფის ჯგუფის ხელმძღვანელი, BP საქართველო



ავტოსაგზაო მოძრაობის უსაფრთხოება

საქართველოში ავტოსაგზაო მოძრაობა კვლავ ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მაღალრის-კულ სფეროდ რჩება, რადგან BP-ისა და კონტრაქტორების თანამშრომლებს უხდებთ ინტენსიური მოძრაობა ავტოტრანსპორტით, იმ საფრთხეების პირობებში, რომლებიც ამ რეგიონში საგზაო მოძრაობისთვის არის დამახასიათებელი. ჩვენ აქტიურად ვუწვევთ პროპაგანდას საგზაო უსაფრთხოებას კომპანიის მასშტაბით და ვახორციელებთ საგზაო უსაფრთხოების მხარდაჭერა ინიციატივებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

2013 წელს კომპანიის თანამშრომლებისა და კონტრაქტორების მიერ ავტოტრანსპორტით გავლილმა მანძილმა ცხრა მილიონ კილომეტრს გადააჭარბა. წლის განმავლობაში ექვსი ავტოსაგზაო შემთხვევა აღინიშნა.

2013 წელს კვლავ დიდი ყურადღება დავუთმეთ ავტოტრანსპორტის მართვის უსაფრთხოებას და ამ მიზნით კონტრაქტორების საქმიანობაზე გავავრცელეთ BP-ის მოთხოვნები მართვის უსაფრთხოების სფეროში, შევიმუშავეთ კონტრაქტორების მართვის უსაფრთხოების შემდგომი გაუმჯობესების გეგმა და მათთვის ჩავატარეთ სპეციალურად მართვის უსაფრთხოების სტანდარტის საკითხებისადმი მიძღვნილი ორი სემინარი. ჩვენი რამდენიმე ობიექტისა და შვიდი კონტრაქტორი კომპანიის შესაბამისობა BP-ის „მართვის უსაფრთხოების სტანდარტის“ მოთხოვნებთან შეამოწმეს მართვის უსაფრთხოების სფეროს სპეციალისტებმა ბაქო-დან. შემოწმების დროს ყურადღება გამახვილდა რამდენიმე საკითხზე, მათ შორის იყო სატრანსპორტო საშუალებების მდგომარეობა, მძღოლისა და მგზავრების ქცევის წესები, ტვირთის დამატების ტექნიკა, მძღოლების უნარების შეფასება, მართვის მოწოდებები, ტრენინგი და ჯანმრთელობის მდგომარეობა, მგზავრების დაგეგმვის წესი და უსაფრთხოების ღვედების გამოყენება.

ამ შემოწმების დროს დადებითად შეფასდა მთელი რიგი სფეროები ჩვენი კონტრაქტორების მუშაობაში, რომლებიც კომპანიის ავტოტრანსპორტით მომსახურების სამუშაოს უდიდეს ნაწილს ასრულებენ. კერძოდ, დადებითად შეფასდა კონტრაქტორების კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გა-მართულობა, აგრეთვე ის ფაქტი, რომ პერსონალს რეგულარულად უტარდებოდა სამუშაოს დაწყების წინა უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი, წესრიგში იყო მძღოლების საბუთები. კონტრაქტორებს გავუზიარეთ ეს დადებითი შეფასებები, თუმცა ასევე გავ-ცანით გასაუმჯობესებელი სფეროები, მაგალითად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების დოკუმენტაციის მოწესრიგება, ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადატანის უსაფრთხოების წესების შემოღება და შესრულება. ყველა რეკომენდაცია განხილულ იქნა კონტრაქტორებისა და BP-ის ხელმძღვანელი პირე-ბის შეხვედრებზე და აისახა სამოქმედო გეგმებში, რომლებიც თითოეული მონაწილე კომპანიისთვის მომზადდა.

2012 წელს კონტრაქტორებისათვის ავამოქმედეთ ინტერნეტის ბაზაზე მომუშავე მგზავრობის დაგეგ-ვის პროგრამა, რომლითაც გაუმჯობესდება BP-ის საველე ობიექტებისა და სადგურების მიმართულე-ბით ავტოტრანსპორტის გადაადგილების დაგეგმვა და კოორდინაცია. პროგრამა, რომელშიც სხვა ფაქტორებთან ერთად, აისახება გზებზე არსე-ბული მდგომარეობა და კლიმატური პირობები, მძღოლებს აძლევს საშუალებას, რომ მგზავრობის დაგეგმვის დროს იხელმძღვანელონ უახლესი მონაცემებით გზებზე არსებული მდგომარეობის შესახებ. სისტემა ხელს უწყობს რისკების შემცირე-ბას, რამდენადაც, მაგალითად, მზუდავს ავტოტ-რანსპორტით მგზავრობას ზამთრის პირობებში, თუ ეს გარდაუვალი აუცილებლობით არ არის გამოწვეული.

საინფორმაციო კამპანიები უსაფრთხოების თემაზე

BP-ის თანამშრომლებისა და კონტრაქტორებისათ-ვის კვლავ ჩავატარეთ რეგულარული საინფორ-მაციო კამპანიები უსაფრთხოების მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა, გველების საფრთხე, სითბური დარტყმა, მოცინული ზედაპირი, ხანძრის საფრთხე, ფეხის წამოკვრით, წაქცევითა და ვარდ-ნით გამოწვეული ტრავმები, თითების ტრავმები, რა-დიაქტიურ მასალებთან მუშაობის უსაფრთხოება, მხუთავი აირით გამოწვეული საფრთხეები.

ჩვენი საწარმოო პროცესის უსაფრთხოება

გარდა ინდივიდუალური უსაფრთხოებისა, ჩვენ ვზრუნავთ საწარმოო პროცესების უსაფრთხოება-ზეც, რაც ნიშნავს ჩვენი საოპერაციო სისტემებისა და საწარმოო პროცესების მთლიანობის შენარჩუ-ნებას, რაც პროექტირების, საინჟინრო-ტექნიკური, ექსპლუატაციისა და ტექნომსახურების მოწინავე მეთოდების გამოყენებით მიიღწევა.

ჩვენი უსაფრთხოების სფეროს სპეციალისტები ექსპლუატაციის პერსონალს ეხმარებიან საწარმოო პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირეუ-ლი რისკების უკეთ გაცნობიერებაში. საწარმოო პროცესების რისკებს ყურადღება ეთმობა ჩვენს თანამშრომლებთან სამუშაოს წინა ინსტრუქტა-ჟის ჩატარებისას, ხოლო ობიექტებზე მომუშავე პერსონალს მოვეუწოდებთ, რომ განაცხადონ საწარმოო პროცესების უსაფრთხოების დარღვევის ყველა შემთხვევის შესახებ. საინჟინრო-ტექნიკური სფეროს სპეციალისტების ხელმძღვანელობით გამართულ მენეჯმენტის ყოველთვიურ შეხვედრე-ზე განიხილება საწარმოო პროცესების უსაფრთ-ხოებისა და მთლიანობის შენარჩუნების ძირითადი ინდიკატორები, რომელთა უმეტესობა ეგრეთ წოდებული „წინსწრებითი“ ინდიკატორია, რაც ჩვენ მიერ დანერგული კონტროლის მექანიზმების გამართულობაზე მიუთითებს. ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში მომუშავე სხვა კომპანიების მსგავსად, რაც უფრო მეტ გამოცდილებას ვიძენთ, უფრო თანმიმდევრულ მეთოდებს მივმართავთ ჩვენი საწარმოო პროცესების უსაფრთხოების მაჩვენებ-ლების აღრიცხვისა და ანგარიშებისთვის.



ხანძარსაწინააღმდეგო წვრთნები ნავთობსაქარ სადგურზე.

2013 წელს არ მომხდარა ნავთობპროდუქტების დაღვრის მძიმე შემთხვევები, რაც იმას ნიშნავს, რომ ნავთობის დაღვრის ან გაზის გაჟონვის აღრიცხული შემთხვევების დროს დაღვრილი პროდუქტის მოცულობა არ აღემატებოდა ერთი ბარელი ნავთობის ეკვივალენტს. ჩვენ აღვრიცხავთ და ვაკონტროლებთ ნებისმიერ უმნიშვნელო დაღვრასა და გაჟონვას, რათა გავაუმჯობესოთ ჩვენი დაცვის მექანიზმები და მინიმუმამდე შევამციროთ უფრო სერიოზული დაღვრის ინციდენტების რისკები. 2013 წელს ჩვენს საწარმოო პროცესში არ მომხდარა 1-ლი ან მე-2 დონის უსაფრთხოების ინციდენტები (რომლებიც, დარგის სახელმძღვანელოების მიხედვით, დაღვრების ყველაზე მძიმე კატეგორიას მიეკუთვნება).

დეკემბერში გამოვლინდა ქონების დატაცების ერთი ფაქტი, კერძოდ, ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე ნაპოვნი იქნა უკანონოდ, შედუღების გამოყენებით, მიერთებული მილი, თუმცა მის ირგვლივ არ შეინიშნებოდა დაღვრილი ნავთობის მოცულობა ან გრუნტის ნავთობით დაბინძურების ნიშნები.

კრიზისული სიტუაციების მართვა და ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფა

ჩვენ გაუმდებით ვცდილობთ გავაუმჯობესოთ კომპანიის კრიზისული სიტუაციების მართვისა და ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფის სფერო და ავამაღლოთ ჩვენი ხანძარსაწინააღმდეგო პოტენციალი. ამისათვის გვესაჭიროება მკაფიოდ ჩამოყალიბებული გეგმები და პროცედურები, მაღალი ხარისხის აღჭურვილობა და კარგად გაწვრთნილი პერსონალი. 2013 წელს გავატარეთ ღონისძიებები ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით.

კონკრეტულად, ჩვენ გადავსინჯეთ კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირების მოქმედი გეგმა, გავაუმჯობესეთ და მოვახდინეთ მისი სტანდარტიზაცია, BP-ის განახლებული მოთხოვნების შესაბამისად. ამჟამად მიმდინარეობს ჩვენი ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმის რევიზია.

2013 წელს ჩვენ შევსყიდეთ ორი ახალი ალუმინის კორპუსიანი კატარა. სუფსის ტერმინალზე მყოფი ამ ორი ახალი კატარის გამოყენება შესაძლებელია ნავთობის დაღვრის ოპერაციებისთვის როგორც სანაპირო ზოლში, ისე ლია ზღვაში. მათ გააჩნიათ ტექნიკური შესაძლებლობები იმ ახალი ტიპის ბონების გასაშლელად, რომლებიც 2012 წელს შევიძინეთ, დაღვრებზე რეაგირების ოპერაციებისათვის.

2013 წელს გავაუმჯობესეთ ჩვენი ხანძარსაწინააღმდეგო პოტენციალი, კერძოდ, შევიძინეთ ერთი დამატებითი სახანძრო მანქანა, ნავთობის დაღვრაზე რეაგირების კონტრაქტორის – Nღრ |ნტერნატიონალ შერვიცეს–ის რვა თანამშრომელმა გაიარა სახანძრო უსაფრთხოების ნაციონალური ასოციაციის საერთაშორისო სტანდარტის სახანძრო ტრენინგის კურსი და შესაბამისი ატესტაცია.

2013 წელს ჩავატარეთ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების 103 საწვრთნელი ღონისძიება, რომლებიც შედგებოდა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისგან სავლეთ პირობებში. ტრენინგები და კომპეტენციის დონის შემოწმება გაიარა 22-მა თანამშრომელმა, რომლებიც საგანგებო შემთხვევების დროს ავარიის ლიკვიდაციის სამუშაოების ხელმძღვანელის ფუნქციას ასრულებენ. ინციდენტების მართვის ჯგუფის ათ ახალ წევრს ჩაუტარდა შესაბამისი ტრენინგი.



103

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საწვრთნელი ღონისძიება ჩატარდა 2013 წელს.

22

თანამშრომელი დაესწრო ავარიის ლიკვიდაციის სამუშაოების ხელმძღვანელის ტრენინგებს და გაიარა საკვალიფიკაციო შემოწმება.

თითოეული საწვრთნელი ღონისძიება დოკუმენტურად აღირიცხებოდა და მოკლე ინფორმაცია მათ შესახებ ვრცელდებოდა ყოველთვიურად, შესაბამის დასკვნებთან და გაუმჯობესების გეგმებთან ერთად.

ჩვენ ჩავატარეთ ორი საწვრთნელი ღონისძიება, საქართველო-აზერბაიჯანისა და თურქეთი-აზერბაიჯანის საზღვრის გადაკვეთით, რითაც შევამოწმეთ ჩვენი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებების ეფექტურობა სასაზღვრო მონაკვეთებზე. ღონისძიებებში ჩართული იყო ადამიანთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები, მათ შორის, კომპანიისა და კონტრაქტორი ორგანიზაციების თანამშრომლები და სამივე ქვეყნის ადგილობრივი ხელისუფლებისა და ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლები. საგანგებო სიტუაციების სცენარები მოიცავდა ნავთობის დაღვრის ინციდენტს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე, თოვზის რეგიონში, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მდ. თოვზჩაის მიდამოებში და საქართველოში, მდ. ფოცხოვთან მდებარე ნავთობის შემაკავებელი ობიექტის სიახლოვეს. ამ ღონისძიებების მიზანი იყო საზღვრის გადაკვეთის პროცედურებისა და რეგლამენტის ეფექტურობის შემოწმება, აგრეთვე BP საქართველოს, BP აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ურთიერთდახმარების შესახებ არსებული შეთანხმებების ქმედითუნარიანობის შემოწმება, რეაგირების სისწრაფის შემოწმება, მათ შორის რესურსების მობილიზებისა და დაღვრის შემაკავებელი აღჭურვილობის დისლოკაციისთვის საჭირო დროის განსაზღვრა. ასევე შევამოწმეთ საქართველოში, აზერბაიჯანსა და თურქეთში, რეაგირების ადგილობრივ ჯგუფებს შორის კომუნიკაციის ხარისხი და მათი შეთანხმებული მუშაობა, ერთი გუნდის პრინციპით.

იენისში მონაწილეობა მივიღეთ უნგრეთში, ქალაქ ბუდაპეშტში გამართულ საერთაშორისო სემინარში, რომელშიც მონაწილეობდნენ BP-ის კრიზისული სიტუაციების მართვისა და ბიზნესის უწყვეტობის სფეროების წარმომადგენლები მრავალი ქვეყნიდან. სემინარზე გამართული პრეზენტაციები ეხებოდა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ახლად დანერგილ სისტემებს, მათ შორის, სისტემას, რომელიც საგანგებო ვითარების დროს აღრიცხავს ადამიანებს და მათ ადგილსამყოფელს. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა დამსწრეებს გააცნეს მათი 2012 წლის მიღწევები და სამომავლო გეგმები.


ზრუნვა თანამშრომლების ჯანმრთელობაზე

ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ ზრუნვას ჩვენი თანამშრომლების ჯანმრთელობაზე და ძალისხმევას არ ვიშურებთ, რომ შევქმნათ და შევინარჩუნოთ უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო.

თანამშრომელთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის პროცესში ვიყენებთ სისტემურ მიდგომებს, ყოველწლიურად ვატარებთ ჯანმრთელობის რისკების შეფასებას, სპეციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, რომელსაც Healthmap ეწოდება, მუდმივად ვახალხთ ჯანმრთელობის რისკების რეესტრს.

თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით მთელი რიგი პროცესები გვაქვს შემოღებული, მათ შორის, პროფესიული ვარგისობის შემოწმება, ჯანმრთელობის მდგომარეობის სკრინინგი. ჩვენ ვინახავთ ვრცელ სამედიცინო ინფორმაციას და მასზე დაცვდებით ვატარებთ საჭირო გეგმიურ სამედიცინო შემოწმებებს.

▼
დიაგნოსტიკური დეგუსის გაშვებისთვის მზადების პროცესი.





უსაფრთხოების სფეროს ხელმძღვანელების შეხვედრა.

პროფესიული ჯანდაცვა და შრომის ჰიგიენა

ჩვენი პროფესიული ჯანდაცვის პროგრამები მოიცავს ჩვენს ობიექტებსა და ოფისებში პირველი სამედიცინო დახმარების უნარ-ჩვევების ტესტირებას და თანამშრომელთა შემოწმებას აკრძალული ნივთიერებების მოხმარებაზე. წელს ჩვენ შევა-მოწმეთ პირველი სამედიცინო დახმარებისა და სამედიცინო შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნის მხრივ არსებული მდგომარეობა, ხოლო 1-ლ ნავთობსაქარა სადგურზე ჩავატარეთ მრავლობითი მსხვერპლის გამომწვევი ავარიის ლიკვიდაციის სავარჯიშო ღონისძიება. დახმარება გავუწიეთ SCPX პროექტის ჯგუფს სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის შემოწმების პროცესში, ჩავატარეთ პროექტზე დასაქმებული თანამშრომლების ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება და კონსულტაცია გავუწიეთ პროექტს სამედიცინო ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საკითხებზე.

2013 წელს გავაგრძელეთ ეროვნომიკული ინიციატივის განხორციელება, რომლისთვისაც ვიყენებთ კომპიუტერულ პროგრამას "Remedy", რომლის დანიშნულებაცაა მონიტორინგი მოძრაობებით გამოწვეული დაავადებების პრევენცია. პროგრამა მოიცავს თვითშეფასების „ონლაინ“ კითხვარს, ტრენინგის კურსს და კომპიუტერულ აპლიკაციას სახელწოდებით „RSI Guard“. მათი მეშვეობით ხდება სამუშაოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკების შეფასება და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა.

ჩვენს მოქმედ ობიექტებზე ასევე ვატარებთ საწარმოო ჰიგიენის პროგრამებს, რომლებიც შეეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ტვირთის ხელით გადაადგილების ტექნიკა, ხმაურის დონის მონიტორინგი, განათება, შენობაში არსებული ჰაერის ხარისხის კონტროლი, ქიმიკატებთან მუშაობა და მათი მემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე. სურსათის უვნებლობისა და წყლის ხარისხის ყოველწლიური აუდიტის შედეგად, რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემები არ გამოვლენილა.

კანის გამოკვლევის პროგრამა ჩავატარეთ მაღალრისკული სამუშაოების შემსრულებელ თანამშრომლებს შორის (რომლებიც, მაგალითად, სისტემატურად მუშაობენ ქიმიკატებთან). 2013 წელს გავაფორმეთ კონტრაქტი საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან, რომელმაც ჩაატარა ეპიდემიოლოგიური კვლევა სამხრეთ კავკასიის გამსაღენის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მარშრუტებზე და შეისწავლა გარემოში არსებულ ჯილფის კერებთან დაკავშირებული პოტენციური რისკები.

ჯანმრთელობის დაცვის კამპანიები

2013 წელს ჩვენ მიერ ჩატარებული ჯანმრთელობის კამპანიები მიზნად ისახავდა ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას, სახალისო შეჯიბრების ფორმით. ერთ-ერთი ასეთი იყო გამაჯანსაღებელი ინიციატივა – "Run-A-Muck", რომელიც სტიმულს აძლევს მონაწილეებს, რომ მეტი დრო დაუთმონ ვარჯიშს და ფიტნესს. აგრეთვე ჩატარდა მრავალფეროვანი სპორტული შეჯიბრებები თხილამურებით სრიალში, კალათბურთსა და ფუტსალში. ჯანმრთელობის გულის კამპანიის ფარგლებში, თანამშრომლები გაეცნენ გულის ჯანმრთელობაზე ზრუნვის ძირითად წესებს, ჩაუტარდათ კვლევები და მიიღეს ინფორმაცია გულის ჯანმრთელობის არსებული მდგომარეობის შესახებ. გარდა ამისა, ჩატარდა სემინარი გრიპის პროფილაქტიკური აცრების კამპანია, ასევე საინფორმაციო კამპანია მოყინვისა და სითბური დარტყმისგან თავდაცვის წესებზე.

ჯანდაცვის ტრენინგები

თანამშრომელთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა შეუძლებელია მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალის გარეშე. ჩვენ გავვაჩინა გადაუდებელ სამედიცინო შემთხვევებზე რაგირების მკაფიო სტრატეგია და სისტემატურად ვუტარებთ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს ჩვენს სამედიცინო პერსონალს, მათ შორის, პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა პირებს, ექიმებს, მძღოლებსა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის შემადგენლობას.

გარემოს დაცვა

ჩვენ ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში და გამოდებით ვცდილობთ, რომ გავაუმჯობესოთ ჩვენი გარემოსდაცვითი საქმიანობის მაჩვენებლები.



რა მიზანი დაგისახეთ

ჩვენს საქმიანობას წარვმართავთ გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის – ISO 14001-ის მიხედვით.

გავაანალიზებთ და გავაკონტროლებთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეულ ზემოქმედებას გარემოზე – ატმოსფერულ ჰაერზე, ნიადაგსა და წყლის რესურსებზე და მუდმივად ვიზრუნებთ ჩვენი მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე.

დავეხმარებით კონტრაქტორებს, რათა მათი საქმიანობა ჩვენს გარემოსდაცვით სტანდარტებს მიესადაგებოდეს.

რას მივალწიეთ

ISO 14001 ჩვენი ISO 14001 სერტიფიკატი ოფიციალურად განახლდა, სამი წლის ვადით.

საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სამხრეთ კავკასიის გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტის „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება“ (ESIA); გავატარეთ დამატებითი ღონისძიებები ჩვენი ობიექტების ექსპლუატაციით გამოწვეული ზემოქმედების მასშტაბების შესამცირებლად.

გაუძლიერეთ გარემოსდაცვითი კომპონენტი კონტრაქტორების საქმიანობაში.

რას ვაპირებთ

გავაგრძელებთ სისტემური მიდგომების გამოყენებას გარემოსდაცვითი სფეროს მართვის საკითხში.

შევამცირებთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეულ ზემოქმედებას გარემოზე – ატმოსფერულ ჰაერზე, ნიადაგსა და წყლის რესურსებზე.

დავწერავთ პროცესებს და მოვამზადებთ პერსონალს, რათა მომავალშიც უზრუნველყოთ მაღალი შედეგები გარემოს დაცვის სფეროში.

გარემოსდაცვითი საქმიანობის მაჩვენებლები

ჩვენ ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე და გამუდმებით ვცდილობთ, რომ გავაუმჯობესოთ ჩვენი გარემოსდაცვითი საქმიანობის მაჩვენებლები.



2013

წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა SCPX პროექტის ESIA ანგარიში.

საერთაშორისო სტანდარტი ISO 14001 და სტანდარტის მოთხოვნების შესრულება

ვაგრძელებთ ჩვენი ობიექტების ექსპლუატაციას ჩვენი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის ფარგლებში, რომელსაც გავლილი აქვს სერტიფიცირება საერთაშორისო ეკოლოგიური მართვის სისტემის სტანდარტის – ISO 14001-ის მიხედვით. 2013 წლის დასაწყისში, სერტიფიცირების დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ – Intertek-მა – ოფიციალურად განაახლა ჩვენი ISO სერტიფიკატი, სამი წლის ვადით. 2014 წელს გვეგმავთ ჩვენი გარემოსდაცვითი და ნორმატიული მოთხოვნებთან შესაბამისობის სფეროების მართვის სისტემების შემოწმებას, ISO 14001-ის საგარეო საზედამხებდებლო აუდიტის ჩატარების გზით, აგრეთვე BP ჯგუფის უსაფრთხოებისა და საოპერაციო რისკების აუდიტის მეშვეობით.

ჩვენ მიერ დანერგილი კომპლექსური სისტემები გვებხმარება, რომ ზედმიწევნით შევასრულოთ ყველა შესაბამისი მოთხოვნა ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების, უშიშროებისა და გარემოს დაცვის სფეროებში. ჩვენ ვაკონტროლებთ ჩვენი ვალდებულებების შესრულების პროცესს, ვახდენთ კონკრეტულ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაციის განახლებას, ამ ვალდებულებების მიწერას მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებისთვის და თვალყურს ვადევნებთ მათი შესრულების პროცესს. 2013 წელს გავაგრძელებთ მუშაობა გარემოს დაცვის სფეროში არსებული ვალდებულებების რევიზიის, პრიორიტეტიზაციისა და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის მიმართულებით.

რაც შეეხება ნორმატიული მოთხოვნების დაკმაყოფილებას, 2013 წელს ამ მხრივ რამდენიმე მნიშვნელოვანი მიღწევა აღინიშნა. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე არსებული მეორადი შემაკავებელი სისტემა – ჯებირებით და საკეტებით აღჭურვილი შემაკავებელი აუზები, რომელთაც ნავთობის დაღვრის ნაკლებად სავარაუდო შემთხვევაში, დაღვრილი ნავთობის მოცულობის შეკავება უნდა უზრუნველყონ – მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ, რომელიც ამ რეგიონში მდებარე ობიექტებზე ნებართვის გამცემ ორგანოს წარმოადგენს. ამით სრულდება საქართველოს მთავრობის მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის „ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმის“ დამტკიცების პირობებიდან ერთ-ერთი. ნავთობსადენის პროექტის კრედიტორების დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი კონსულტანტის შეფასებით, „მსოფლიოში არსებული ყველაზე მოწინავე მეთოდების გათვალისწინებითაც კი, მეორადი შემაკავებელი ობიექტების პროექტი ნავთობის დაღვრის შემაკავებელ უპრეცედენტო დონის ღონისძიებას წარმოადგენს.“

გარდა ამისა, 2013 წელს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ დაამტკიცა სამხრეთ კავკასიის გამსადენის სისტემის გაფართოების პროექტის „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება“ (ESIA). ESIA-ზე მუშაობის პროცესისა და მისი შინაარსის გრძელი მიმოხილვა იხილეთ ამ ანგარიშის „როგორ ვმუშაობთ“ ნაწილში.



ველური ფაუნის გადარჩენის საწვრთნელი ღონისძიების მოსამზადებელი სამუშაოები.



„ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ (ESIA) ანგარიშის თითოეულ ასპექტზე დეტალური ტექნიკური ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელია ვებსაიტზე: bpgeorgia.ge. იქვე მოცემულია საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმები, რაც ანგარიშის მომზადების პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ნავთობით დასვრილი ფრინველის უვნებლად დაჭერა საწვრთნელი ღონისძიების დროს.

ზემოქმედების მართვა

ჩვენ მუდმივად ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ ან შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე.



მარინა არაბიძე

“Challenge” პროგრამის მონაწილე გარემოს დაცვის ჯგუფის შემადგენლობაში

„შესარჩევი კონკურსის წარმატებით გავლის შემდეგ, 2013 წლის მაისში მუშაობა დავიწყე BP-ში, როგორც ჩაღწეულ პროგრამის მონაწილემ გარემოს დაცვის ჯგუფის შემადგენლობაში. BP-ში დამხმელა სრულიად ახალი, აქტიური სამუშაო გარემო, რომელიც მუშაობის პროცესში ცოდნის შექმნისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობას მძლევეს. BP-ში მუშაობის დაწყებამდე, ვმუშაობდი საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში, სადაც ჩემს მოვალეობებში შედიოდა გარემოსდაცვითი ნებართვების მიღების საკითხები მშენებლობის ახალი პროექტებისთვის. მანამდე, სამი წლის განმავლობაში ვსწავლობდი მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ვისკონსინის უნივერსიტეტში (მადისონი, აშშ) და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში უნგრეთში. პირველად სწორედ ამ აკადემიური პროგრამების დროს დავინტერესდი ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების საკითხებით, თუ როგორ შეიძლება დამკაფიოთ კაცობრიობის მზარდი მოთხოვნილება რესურსებზე ისე, რომ არ დაზარალებს ჩვენი სასიცოცხლო გარემო.

ამიტომაც მოხარული ვარ, რომ BP-ში მოვხვდი და ინტერესით მოველი იმ ახალ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც კომპანიაში ჩემი კარიერის მანძილზე შემეძლება. მუშაობის პირველივე თვეებში ნათლად დამანახა, თუ როგორ ცდილობს კომპანია, რომ დანერგოს სისტემური მიდგომები გარემოზე ზემოქმედების მართვის საკითხში და რა მექანიზმებს მიმართავს ამ მიზნის მისაღწევად. ჩემი სამუშაო მრავალ სხვადასხვა სფეროს მოიცავს, იქნება ეს მიმდინარე ოპერაციების ზედამხედველობა თუ ინციდენტების მართვა და გამოძიება, კონტრაქტორებთან მუშაობა, სავსე ინსპექტირება, აუდიტის ჩატარება, ანგარიშების შედგენა, ზემოქმედების მასშტაბების შეფასება და მრავალი სხვა. ყველა ეს ქმედება სრულდება მკაცრი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მუშაობა მიხდება ადამიანებთან, რომელთაც გააჩნიათ ფართო გამოცდილება და, საჭიროების შემთხვევაში, ყოველთვის მზად არიან დახმარებისა და რჩევის მოცემისთვის. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ჩემი მომავალი კარიერა BP-ში ძალიან ოპტიმისტურად მესახება“.

აღებული ვალდებულებების შესრულება

2013 წლის სექტემბერში საქართველოში ჩატარდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის კრედიტორების რიგით მეოთხეზე აუდიტი, რომელსაც, კრედიტორების სახელით, დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი კონსულტანტი ატარებს. აუდიტის მიზანია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის იმ გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების შესრულების მხრივ არსებული მდგომარეობის შემოწმება, რომლებიც ასახულია ექსპლუატაციის ეტაპის გარემოსდაცვითი და სოციალურ სამოქმედო გეგმაში და ცალკეული სფეროების მართვის გეგმებში. 2013 წელს ჩატარებულ აუდიტს შეუსაბამოები არ გამოუვლენია.

გარემოს დაცვის კომპონენტის გაძლიერება კონტრაქტორების საქმიანობაში

ჩვენ ვმუშაობთ კონტრაქტორებთან, რათა მათი საქმიანობა ჩვენს გარემოსდაცვით სტანდარტებს შეესაბამებოდეს. 2013 წელს ჩვენ შევეცადეთ, რომ უფრო მკაფიოდ ჩამოგვეყალიბებინა გარემოსდაცვითი სტანდარტები და წესები, რომელთა შესრულებაც მოეთხოვებათ ჩვენს კონტრაქტორებს, კომპანიაში არსებული კონტრაქტების ფარგლებში.

გაგრძელდა მუშაობა კონტრაქტორების პერსონალთან, რომელთაც ვაწვდით ინფორმაციას გარემოსდაცვითი სფეროს მართვის საკითხებზე და ვეხმარებით, რომ მათი პროექტები შესაბამისობაში მოიყვანონ ჩვენი გარემოსდაცვითი მართვის სისტემის მოთხოვნებთან. თითოეული პროექტის, ისევე როგორც ყველა ცვლილების შემთხვევაში, ჩვენ ვიყენებთ გარემოსდაცვითი რისკების შეფასების მექანიზმს, რომელიც გვაძლევს საშუალებას დავრწმუნდეთ, რამდენად სრულდება გარემოსდაცვითი მოთხოვნები სავსე ობიექტებზე.

ჩვენ რეგულარულად ვაკვირდებით კონტრაქტორების სამუშაო უბნებზე მიმდინარე საქმიანობას, ვამოწმებთ კონტრაქტორების შესრულებული სამუშაოს დასკვნით ანგარიშებს, რომლებიც გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულების მხრივ არსებულ მდგომარეობას ასახავს.

გაუონვების აღმოჩენა

საქართველოს მთავრობა დაეთანხმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისთვის განკუთვნილ გაუონვების დეტექტირების გეგმას, რითაც „ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმის“ დამტკიცების კიდევ ერთი პირობა დავაკმაყოფილეთ. გეგმა ითვალისწინებს გაუონვის დეტექტირების სპეციალურ დამატებით ღონისძიებებს ნავთობსადენის წალკის რეგიონზე გამავალი მონაკვეთისთვის, რომელიც მთავრობის მიერ მიჩნეულ იქნა ნავთობის გაუონვის თვალსაზრისით განსაკუთრებით მოწყვლად რეგიონად, იქ არსებული მიწისქვეშა წყლების რესურსების გამო.

გარდა იმისა, რომ საკუთრივ მილსადენს გააჩნია ისეთი კონსტრუქციული მახასიათებლები, რომლებიც გაუონვებისა და დაღვრის რისკებს მინიმუმამდე ამცირებს, მილსადენზე გაუონვების აღმოჩენად ჩვენ ვიყენებთ სპეციალურად გაწვრთნილ მეძებარ ძალებს, რომელთაც შესწევთ უნარი, რომ აღმოაჩინონ მილსადენიდან ან რეზერვუარიდან გაჟონილი ნახშირწყალბადები, გრუნტის პირობების მიუხედავად, მათ შორის, თოვლის საფარის ქვეშ.

საქართველოს მთავრობასთან გაუონვების აღმოჩენის ამ მეთოდზე შეთანხმებას წინ უძღოდა დეტალური კვლევები, შესწავლა და გამოცდები სავსე პირობებში, რომლებიც შესაბამისი სპეციალიზაციის კონტრაქტორების დახმარებით ტარდებოდა. ამ მეთოდით უმცირესი გაუონვებისა და ნახშირწყალბადების ანაორთქლი აირების აღმოჩენაც არის შესაძლებელი.

საკომპენსაციო პროექტების განხორციელება

დავასრულეთ ბოლო, მესამე საკომპენსაციო პროექტი, რომლის განხორციელებაც 2012 წელს დავიწყეთ, „საქართველოს ენერგოეფექტურობის ცენტრთან“ ერთად. ეს საკომპენსაციო პროექტები უკავშირდება ჩვენ მიერ წარსულში ამოტის ოქსიდის იმ ზღვრული კონცენტრაციების გადაჭარბებას, რომლებიც „გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმით“ იყო განსაზღვრული, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის კრედიტორების წინაშე აღებულ ვალდებულებას წარმოადგენს. 2013 წელს დავასრულეთ მუშაობა ბოლო ასეთ პროექტზე, რომლის ფარგლებში თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში დავამონტაჟეთ მზის ენერგიაზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი სისტემა და შევასრულეთ შენობის თბოიზოლაციის სამუშაოები.

2012 წელს განხორციელებული წინა ორი პროექტის ფარგლებში, მზის ენერგიაზე მომუშავე გათბობის სისტემა დამონტაჟდა თბილისის 203-ე საჯარო სკოლაში, რომელშიც სმენადაქვეითებული ბავშვები სწავლობენ, აგრეთვე თბილისში მდებარე ბავშვთა სოფელში – „SOS“.

ნარჩენები, როგორც ენერგიის წყარო

ჩვენ გამუდმებით ვეძებთ ჩვენი საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვის ინოვაციურ და უფრო რაციონალურ მეთოდებს. გარდა ამისა, ვცდილობთ სასარგებლო გამოყენება მოგუძებნოთ ნარჩენ პროდუქტებსა და ნივთიერებებს და ზოგჯერ ენერგიის წყაროდაც ვიყენებთ.

ამჟამად ჩვენი წარმოების პროცესში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების მინიმიზაციისათვის გამოიყენება მსხვერვის, დაქუცმაცების, დაწნევის, და განცალკევების პროცესები. ამის შემდეგ ნარჩენები გადაიფუთება და ხდება მისი ტრანსპორტირება ნარჩენების საბოლოო განთავსების ადგილებამდე, საქართველოს ტერიტორიაზე ან მის საზღვრებს გარეთ.

გასულ წლებში ხდებოდა სახიფათო ნარჩენების ექსპორტი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამის ნაგავსაყრელებზე განსათავსებლად, რადგან ნარჩენების გადამამუშავებელ ადგილობრივ კომპანიებს ამ ნარჩენების უსაფრთხო უტილიზაციის შესაძლებლობა არ გააჩნდათ. თუმცა, ცოტა ხნის წინ ჩვენ აღმოვაჩინეთ ადგილობრივი კომპანია, რომელიც მანქანის აკუმულატორებს აწარმოებს და გააჩნია ალტერნატიული და დანადგარები, რომლებიც შესაძლებელია მშრალი აკუმულატორების გადამამუშავება.

ამ კატეგორიის დაახლოებით 62 მ³ მოცულობის ნარჩენი, რომელიც ნარჩენების ცენტრალურ კოლექტორზე ინახებოდა, ამ მეთოდით გადამამუშავებას დაექვემდებარა და ენერგიის წყაროდ გარდაიქმნა. ვიდრე აკუმულატორებს მივაწვდით გადასამუშავებლად, ჩვენ ამ კომპანიასთან ჩავატარეთ განმარტებითი სამუშაოები მათი უსაფრთხოების კულტურის ამაღლების მიზნით. ჩვენი დახმარებით, კომპანია ალტერნატიული ცეცხლმაქრებით, ინდივიდუალური დაცვის ალტერნატივებით და კაბელების ახალი მანაწილებელი კოლოფებით.

გარდა ამისა, ნარჩენების ცენტრალურ კოლექტორზე დამონტაჟდა ფლუორესცენტური ნათურების სასხვრევი დანადგარი, სახელწოდებით 'Bull Eater', რომელიც ფლუორესცენტურ ნათურებს, ანუ სახიფათო ნარჩენს, მინის ფხენილად, ანუ არასახიფათო ნარჩენად გარდაქმნის. ვერცხლისწყლის აირთქლების თავიდან ასაცილებლად, დანადგარი ალტერნატიული ორმაგი ფილტრის მექანიზმით აღჭურვილია. ამ მეთოდით გადამამუშავების შედეგად, ნარჩენის მოცულობა მნიშვნელოვნად მცირდება, მისი შენახვა და ტრანსპორტირება უფრო იოლი ხდება და ნაკლებ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

2011 წელს ამ მეთოდით გადამამუშავდა ფლუორესცენტური ნათურების 46 კონტეინერი. დაახლოებით 9,2 მ³ მოცულობის სახიფათო ნარჩენი 0,2 მ³ არასახიფათო ნარჩენად გარდაიქმნა, რომელიც შემდეგ გადატანილი იქნა რუსთავეთან მდებარე არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელებზე, რომელიც ევროკავშირის სტანდარტებს აკმაყოფილებს და 2009 წელს BP-ის ფინანსური მხარდაჭერით მოეწყო.

საქართველოში BP-ის მთავარი გარემოსდაცვითი კონტრაქტორის ხელმძღვანელის, გიორგი გულიაშვილის თქმით, „BP-ის მიერ საქართველოში დამკვიდრებულმა ნარჩენების მართვის პრაქტიკამ დიდი გავლენა იქონია იმ კომპანიების შესაძლებლობებზე, რომლებიც BP-სთან თანამშრომლობენ. ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას, ვფლობთ მაღალი კლასის ალტერნატივებს და ღია ვართ ყველა სიახლისათვის“.



გარემოს დაცვის ოფიცერი ათვალერებს ტბის ნაპირს, ველური ფაუნის გადარჩენის საწვრთნელი ღონისძიების დროს.

ნარჩენების მართვა

2013 წელს ნარჩენების გადამამუშავებისა და უტილიზაციის ობიექტზე დაგეგმილ ნარჩენი გლიკოლის გადამამუშავებელი დანადგარი, რომლითაც შეგვიძლია გადავამუშავოთ ნარჩენი გლიკოლის ის მოცულობა, რომელიც ამჟამად ნარჩენების ცენტრალურ კოლექტორზე არის განთავსებული. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ეს არის ამ დანიშნულების პირველი ობიექტი რეგიონში. ნაცვლად გლიკოლის საზღვარგარეთ ექსპორტირებისა, მისი საბოლოო განთავსების მიზნით, ამ დანადგარის მეშვეობით შეგვიძლია ადგილზე გადავამუშავოთ ნახშირი გლიკოლი, რომელიც გამოიყენება, როგორც ანტიფრიზი წყალსატბო ქვებში, რომელთა დანიშნულებაა ტექნოლოგიური სითხეების გათბობა სასურველ ტემპერატურამდე. ეს ცვლილება მომგებიანია როგორც ხარჯების შემცირების, ისე გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, რადგან იგი, ერთი მხრივ, განცვივრთავს ნარჩენების ცენტრალურ კოლექტორს და გამოათავისუფლებს ადგილს ნარჩენების დამატებითი მოცულობების შესანახად, მეორე მხრივ, დავიზოგავს გლიკოლის ახალი პარტიის შესაძენ თანხებს და შეამცირებს ნარჩენების განთავსებაზე გაწეულ ხარჯებს.

პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავება

2013 წელს ხელშეკრულება გავაფორმეთ ნარჩენების გადამამუშავებელ ქართულ კომპანიასთან, რომელსაც გააჩნია სათანადო ტექნიკური შესაძლებლობები, რომ გადაამუშაოს მეტი მოცულობისა და სახეობის პლასტმასის ნარჩენი, ვიდრე აქამდე გაუმუშავებდით. ჩვენ დავეხმარეთ ამ კომპანიას მისი საწარმოო სიმძლავრეების გაზრდაში და ასევე საწარმოო პროცესში შრომის უსაფრთხოების სათანადო სტანდარტის დანერგვაში.

ველური ფაუნის დაცვა: რეაგირების ღონისძიებები

ჩვენი ინციდენტების მართვის გეგმით გათვალისწინებულია რეაგირების სპეციალური ღონისძიებები ისეთი ინციდენტების შემთხვევაში, რომელთა შედეგად დაღვრილი ნავთობი მიანს აყენებს ველურ ფაუნას.

ამ მიზნით, 2010 წელს, 1-ლი ნავთობსაქაჩი სადგურის მიმდებარე მოვარწყვეთ ველური ფაუნის სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც ტრენინგებსა და საინფორმაციო სესიებს ვატარებთ სხვადასხვა დაინტერესებული პირებისთვის. 2013 წლის სექტემბერში ჩავატარეთ საწვრთნელი ღონისძიება BTC/SCP მილსადენების სიახლოვეს მდებარე ჯანდარის ტბის შემოგარენში. საწვრთნელი ღონისძიება, უმთავრესად, მიზნად ისახავდა რეაგირებისთვის მზადყოფნის ღონის შემოწმებას და დადგენას, არის თუ არა საკმარისი არსებული პროცედურები ეფექტური რეაგირებისთვის დაღვრის ისეთ ინციდენტებზე, რომელმაც შეიძლება ველური ფაუნის ნავთობთან შეხება გამოიწვიოს. ჩვენ გამოვცადეთ და შევაფასეთ რეაგირების პროცედურები, ალტერნატიული, ობიექტები, ძირითადი პერსონალი, კომუნიკაციის საშუალებები, დაბინძურების გაწმენდისა და ნარჩენების გაუვნებელყოფის პროცედურები და შესაბამისი ანგარიშების შედეგის წესი.

საზოგადოება

ჩვენი მიზანია, რომ ჩვენმა საქმიანობამ სარგებელი მოუტანოს ადგილობრივ მოსახლეობას და ამისათვის ვახორციელებთ პროგრამებსა და ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსახლეობის პოტენციალის ზრდას და ბიზნესის განვითარებას.

რა მიზანი დავისახეთ

ჩამოვყალიბებთ ღია და კონსტრუქციულ ურთიერთობას ჩვენი ობიექტების ახლომდებარე დასახლებების მოსახლეობასთან.

სოფლის მეურნეობის, სოფლის ინფრასტრუქტურისა და ბიზნესის განვითარების ინიციატივების მეშვეობით, ხელს შევეწყობთ ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას.

ვიზრუნებთ, რომ უზრუნველვყოთ გრძელვადიანი სარგებელი საქართველოს მოსახლეობისთვის.

რას მივალწიეთ

შეგინარჩუნეთ აქტიური ურთიერთობა მოქმედი მილსადენების მარშრუტების სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობასთან და ჩვენს პროგრამებში ჩავრთეთ მომავალი SCPX პროექტის ობიექტების მიმდებარე დასახლებების მოსახლეობა.

\$25 მლნ დოლარის ოდენობის ინვესტიცია განვანორციელებთ სოციალურ პროექტებში უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში.

გასული ათი წლის განმავლობაში, დავაფინანსეთ მრავალფეროვანი პროექტები სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, განათლების, ეკონომიკური განვითარების, ბიზნესის განვითარების, კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვის სფეროებში.

რას ვაპირებთ

განვამტკიცებთ პოზიტიურ ურთიერთობას, რომელიც უკვე ჩამოგვიყალიბდა ჩვენი მოქმედი ობიექტების მიმდებარე დასახლებების მოსახლეობასთან.

გავაგრძელებთ ადგილობრივი მოსახლეობის უნარ-ჩვევების განვითარების კენ მიმართული პროექტების მხარდაჭერას.

გავაგრძელებთ ადგილობრივი ეკონომიკისა და წარმოების განვითარების ხელშეწყობას.



ჩვენი პროგრამები

ჩვენ ვაფინანსებთ სოციალურ პროგრამებს, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე არის მორგებული და, ამავე დროს, ჩვენს ბიზნესსაქმიანობასთან არის კავშირში.



BP-ის სამოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი ადგილობრივ მაცხოვრებლებს ხვდება.

სოციალური ინვესტიციების ათი წელი

ათი წლის წინ, BTC/SCP მილსადენების მშენებლობის დაწყების პარალელურად, დაიწყო ჩვენი სოციალური ინვესტიციების პირველი პროგრამის განხორციელება. ამ ათი წლის განმავლობაში, საქართველოში ჩვენი მხარდაჭერით განხორციელდა ფართო სპექტრის პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებას, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას, განათლების ინიციატივების მხარდაჭერას, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მოვლას და ბუნებრივი გარემოს დაცვას.

2013 წელს ჩვენ მიერ სოციალური ინვესტიციებზე დახარჯულმა თანხამ 3,7 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც ოდნავ აღემატება საშუალო მაჩვენებელს 2011 წლიდან დღემდე. გასული ხუთი წლის განმავლობაში, სოციალური ინიციატივები დაახლოებით 25 მილიონი დოლარით დავაფინანსეთ.

ქვემოთ ცხრილში მოყვანილია 2003 წლიდან დღემდე ჩვენი მონაწილეობით განხორციელებული ფართო სპექტრის პროექტების მოკლე ჩამონათვალი:

ჩვენი სოციალური ინვესტიციების პროგრამების მაგალითები

ძირითადი მიმართულება	პროექტის დასახელება	ხანგრძლივობა	BP-ისა და მისი პარტნიორების მიერ დახარჯული თანხა (მილიონი აშშ დოლარი)
მილსადენების მარშრუტის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობა	BTC/SCP და WREP მილსადენების მარშრუტების სიახლოვეს მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა; პარტნიორები – საერთაშორისო და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები.	2003-წლიდან დღემდე	19.9
ბიზნესის განვითარება	საქართველოში ბიზნესგარემოს ხელშეწყობის პროექტი; პროექტის პარტნიორი – საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია.	2006-09	0.75
	პროექტების მართვის კოლეჯი (PMC); პარტნიორები: ESI International და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი.	2009-14	2.05
ენერგო-ეფექტურობა	განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის ინიციატივების განხორციელება საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში.	2011-13	0.6
		2006-08	1.1
	საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ტექნიკური დახმარება.	2003-12	3.9
გარემოს დაცვა	მილსადენების მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე გარემოს დაცვის სფეროს გაუმჯობესების პროგრამები.	2006 წლიდან დღემდე	2.3
განათლება	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის დაფინანსება.	2006-08	1.5
	მაგისტრატურაში სწავლის სტიპენდიების პროგრამა	2005	0.5
კულტურული მემკვიდრეობა	საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობის პროგრამები	2006-08	0.4

სოფელ წილკნის მცხოვრები BP-ისა და მისი პარტნიორების ფინანსური დახმარებით მოწყობილ საბავშვო საბუნკოში.

ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან

ჩვენ სისტემატური კავშირი გვაქვს ჩვენი მილსადენების სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობასთან, რაც მათთან გრძელვადიანი კონსტრუქციული ურთიერთობის შენარჩუნებაში გვეხმარება.



კომპანიის 2014 წლის კალენდარი.

თვითდახმარების მაგალითი

ხაშურის რაიონის მაღალმთიანი სოფელი ტიტენისწყარო თითქმის მთლიანად მიტოვებულია, განსაკუთრებით ზამთარში, როცა სოფელში სამი-ოთხი კომლი რჩება. ამ მაღალმთიან სოფელში ცხოვრება რთულია, მისი მცხოვრებლების უმრავლესობას ოფიციალურად აქვს მინიჭებული სოციალურად დაუცველის სტატუსი და სახელმწიფოსგან შესაბამის სოციალურ დახმარებას იღებს.

სოფლის მცხოვრებმა, ბატონმა გივი ბარბაქაძემ, CDI პროგრამის მცირე ბიზნესების გრანტი მოიპოვა და 2013 წლის ოქტომბერში მეცხვარეობის ბიზნესი წამოიწყო. იმედოვნებს, რომ 2014 წლის გაზაფხულზე ნამატის გაყიდვიდან შემოსავალსაც მიიღებს.

როცა აცნობეს, რომ საკუთარი ბიზნესის დაწყების შემთხვევაში, სოციალური დახმარება შეუწყვეტოდა, ბატონმა გივიმ ღიმილით მიუგო: „გადავწყვიტე ბოლოსდაბოლოს გავხდე დამოუკიდებელი და ჩემი მცირე ბიზნესით ვარჩიო ჩემი ოჯახი. იმედი მაქვს, ჩემი ბიზნესი გაფართოვდება და შემეძლება სხვებიც დავასაქმო და რატომღა უნდა ვიყო სოციალური დახმარების მოლოდინში?“



კავშირი მოსახლეობასთან

BP ცდილობს შეინარჩუნოს პოზიტიური ურთიერთობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მარშრუტებზე მდებარე დასახლებების მოსახლეობასთან და აგრძელებს მუშაობას ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მარშრუტის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობასთან წლების მანძილზე ჩამოყალიბებული კავშირების განსამტკიცებლად. ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის მიზნები და კომუნიკაციის ფორმები აღწერილია ჩვენს „მოსახლეობასთან ურთიერთობის გეგმაში“, რომელიც ამ სფეროში არსებული მოწინავე პრაქტიკის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. სამი მილსადენის გასწვრივ მდებარე სოფლები დაყოფილი გვაქვს კატეგორიებად, სოციალური და ეკოლოგიური მგრძნობიარობის მიხედვით და რეგულარულად გმართავთ შეხვედრებს ამ სოფლების მოსახლეობასთან.

მოსახლეობასთან ურთიერთობის საქმიანობის ფარგლებში, 780-ზე მეტი საკონსულტაციო შეხვედრა ჩატარდა მოსახლეობის მიზნობრივ ჯგუფებთან, ჩვენი მილსადენების გასწვრივ და მილსადენების ობიექტების სიახლოვეს მდებარე სოფლებში. ასეთი ინტენსიური ურთიერთობის წყალობით, კომპანიის სოციალური საკითხების ჯგუფის თანამშრომლები ზედმიწევნით იცნობენ ადგილობრივი მოსახლეობისთვის აქტუალურ საკითხებს, ისმენენ მოსახლეობის პრობლემებს და აქვთ შესაძლებლობა, რომ მათ გადასცენ მნიშვნელოვანი ინფორმაცია უსაფრთხოების წესებისა და მილსადენების დერეფანში მოქმედი შეზღუდვების შესახებ. ჩვენი შეხვედრების მიზნობრივი ჯგუფები არიან სოფლის თავები და რწმუნებულები, ადგილობრივი მაცხოვრებლები, სკოლების წარმომადგენლები, მომხივანები და მიწის მესაკუთრეები.

ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მარშრუტის გაყოფებით მცხოვრებ მოსახლეობას დაეურიგეთ საინფორმაციო ბუკლეტები, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას ნავთობსადენზე დაგეგმილი სამუშაოების შესახებ, კერძოდ, ნავთობსადენის ცალკეული მონაკვეთების სარემონტო სამუშაოების, აგრეთვე ანტიეროზიული და მეწყერსაშიშ უბნებზე დაკვირვების ღონისძიებებისა და მდინარეების გადაკვეთებზე დაგეგმილი ნაპირსამაგრი სამუშაოების შესახებ. მოსახლეობას ასევე დაეურიგეთ 2014 წლის კალენდარი, ქართულ და რუსულ ენებზე, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას მილსადენის დაცვის ზონების შესახებ, აგრეთვე კომპანიის მიერ მილსადენების უსაფრთხოებისა და უშემორობის დასაცავად გამოყენებული ზომების შესახებ.

ურთიერთობა მოსახლეობასთან სამხრეთ კავკასიის გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ფარგლებში

2013 წელს ჩვენ გავაგრძელეთ ურთიერთობა მოსახლეობასთან სამხრეთ კავკასიის გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ფარგლებში, შევხვდით მოსახლეობას და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, გავაცანით ჩვენი გეგმები და პროექტის მიმდინარეობა. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ეკისრება ჩვენს სამოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში არის ახალი წევრი, რომელიც სპეციალურად SCPX პროექტის საკითხებზე მუშაობს. ეს ჯგუფი ისმენს მოსახლეობის მხრიდან პროექტთან დაკავშირებით გამოთქმულ პრობლემებს, გადასცემს მათ პროექტზე მომუშავე თანამშრომლებს და აძლევს მათ რჩევებს ამა თუ იმ დასახლებებისთვის სპეციფიკური პრობლემების შესახებ. გარდა ამისა, ჩვენი სამოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები მოსახლეობასთან მაკავშირებელი რგოლის ფუნქციას ასრულებენ მაშინაც, როცა კომპანიის ექსპლუატაციისა და პროექტების განყოფილებების მიერ მოქმედ ობიექტებზე სრულდება პროფილაქტიკური სარემონტო ან რეკონსტრუქციის სამუშაოები.

საჩივრებზე რეაგირება

იმის გამო, რომ ჩვენი საქმიანობა მიმდინარეობს მრავალი სოფლისა და მუნიციპალიტეტის სიახლოვეს და გულისხმობს მიწის ნაკვეთებზე შესვლას და სამშენებლო სამუშაოების წარმართვას, ბუნებრივია, რომ ზოგჯერ მოსახლეობას ჩვენ მიმართ პრეტენზიები უჩნდება. ჩვენ გავაჩნია მესამე მხარეთა პრეტენზიებზე რეაგირების მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურა, რომელიც ჩვენი მოსახლეობასთან ურთიერთობის სტრატეგიის ნაწილია.

2013 წელს შემოვიდა 41 საჩივარი, ანუ 2012 წელს მიღებულ 23 საჩივართან შედარებით, საჩივრების რაოდენობამ იმატა. ჩვენი შეფასებით, საჩივრების რიცხვის ზრდა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ SCPX პროექტის დაწყებასან ერთად, ჩვენი საქმიანობის არეალი გაფართოვდა და ახალი დასახლებებიც მოიცვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უფრო მეტ ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობით, ვიდრე მანამდე. ჩვენ რეგულარულად ვხვდებით მოსახლეობის წარმომადგენლობით ჯგუფებს და განვუმარტავთ, თუ რა გზებით შეუძლიათ მათ წამოჭრან კომპანიის წინაშე პრობლემები და საჩივრები. 2013 წელს განვიხილეთ და მოვაგვარეთ 38 საჩივარი, აქედან 34 მათგანი 2013 წელს იყო მიღებული, ხოლო ოთხი საჩივარი კი უფრო ადრე.



▲ BP-ისა და მისი პარტნიორების მიერ დაფინანსებული პროექტის დახმარებით, ფერმერმა ქვედა საქარადან მეცხვარეობის მცირე ბიზნესი დაიწყო.

2013 წელს მოგვარებულ საჩივრებს შორის იყო დიდი ხნის განმავლობაში გადაუჭრელი საჩივარი, რომელიც ეხებოდა BTC და SCP მიღსადენების მშენებლობის დროს სოფლის სათიბებთან მისასვლელი ბილიკის მოშლას. რელიეფის სირთულის გამო ამ საკითხის მოგვარება დიდ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტის განხილვის შემდეგ, მოსახლეობასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება სათიბებთან მისასვლელი ბილიკის მარშრუტზე, რომლის მშენებლობა სექტემბერში დასრულდა.

ბაქო-სუფსის ნავთობსადენისა და მდ. თხილნარას გადაკვეთაზე მიმდინარე სამუშაოები ერთი კვირით შეფერხდა, რადგან სოფელ საჯავახოს მოსახლეობის მხრიდან გამოითქვა უკმაყოფილება, მშენებლობით გამოწვეული მტკრისა და ხმაურის გამო, რამაც, მათი მტკიცებით, უარყოფითად იმოქმედა სოფლის მაცხოვრებლების კუთვნილ ფუტკრის სკვებზე და თაფლის პროდუქტებიდან მისაღებ შემოსავლებზე. საკითხის შესწავლისა და ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედების შეფასების შემდეგ, ჩვენ ავუნაზღაურეთ მიყენებული ზიანი საფუტკრე მეურნეობების მეპატრონეებს.

ჩვენ ვაკონტროლებთ, თუ რა დრო გვჭირდება საჩივრების მოგვარებისთვის, თუმცა ვითვალისწინებთ, რომ საჩივრის მოგვარების სისწრაფე შეიძლება მთლიანად ჩვენზე არ იყოს დამოკიდებული. 2013 წელს საჩივრების მოგვარებისთვის საჭირო დრო გაიზარდა: 2013 წელს ორ თვეზე ნაკლებ დროში მოგვარდა საჩივრების 51%, ხოლო 2012 წელს ეს მაჩვენებელი 70% იყო.

საჩივრის კატეგორია	შემოსული 2013 წელს	დასრულებული 2013 წელს
დამატებით დაკავებული მიწის ფართობი	1	1
მეფუტკრეობასთან დაკავშირებული	3	3
ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტის დაზიანება	1	1
დასაქმება	1	0
კერძო ინფრასტრუქტურის დაზიანება	2	2
სადავო ინვენტარიზაცია/ კომპენსაციის თანხა	7	7
სარწყავი სისტემები	2	1
მიწის სარგებლობაში დაბრუნება/მიწის აღდგენის ხარისხი	5	3
დისკომფორტი	1	1
მიწასთან დაკავშირებული სხვა საკითხები	11	9
სხვა სოციალური საკითხები	7	6
სულ	41	34

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ინიციატივების ფარგლებში, ჩვენ მრავალ ორგანიზაციასთან ვთანამშრომლობთ.

სოციალური საწარმოო სოფელ ჭიჭვავში

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის ფარგლებში გამოყოფილი გრანტით, სოციალური საწარმო შეიქმნა სოფელ ჭიჭვავში, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მე-2 ნავთობსაქანი სადგურის სიახლოვეს მდებარეობს. საწარმო, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უწყევს მომსახურებას თანასოფლელებს.

„სოციალური საწარმოს მომსახურება ძალზე ხელსაყრელია ჩვენთვის. პირველი წელია, რაც ჭიჭვაველები არ ვართ ჩაწერილი უსასრულო რიგში ტრაქტორით მომსახურებაზე, გადაიჭრა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავების პრობლემა. სოციალური საწარმოს მიერ შემუშავებული მომსახურების განრიგი ძალზე მოხერხებულია. გარდა ამისა, სოციალური საწარმოს მომსახურება უფრო იაფია, ვიდრე ტრაქტორის სხვაგან დაქირავება“.

ლეილა ხაჭვანი

სოფელ ჭიჭვავის მცხოვრები

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობა

BP საქართველოში კვლავ ხელს უწყობს მაღალის სტანდარტის კორპორაციული პასუხისმგებლობის დამკვიდრებას ქართულ ბიზნესებში. BP საქართველოს წარმომადგენელი არის ამერიკის სავაჭრო პალატის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კომიტეტის წევრი. კომიტეტი ეხმარება ადგილობრივ კომპანიებს, რომ დაამკვიდრონ და გააუმჯობესონ კორპორაციული პასუხისმგებლობის პრაქტიკა და ამ მიზნით უზრუნველყოფს გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, კონკრეტული შემთხვევების ანალიზს და სამართლებრივი ექსპერტიზის ჩატარებას.

2013 წელს, ჩვენი დაკვეთით, დამოუკიდებელმა ექსპერტმა ჩატარა კვლევა, რომელსაც უნდა შესწავლა ქართულ კომპანიებში კორპორაციული პასუხისმგებლობის სფეროში არსებული მდგომარეობა და შეემუშავებინა რეკომენდაციები, თუ რა ფორმით შეუძლია BP-ს ხელი შეუწყოს კორპორაციული პასუხისმგებლობის სტანდარტის ამაღლებას საქართველოში. ამ კვლევის შედეგები 2014 წელს გამოქვეყნდება.

არასამთავრობო სექტორის განვითარება

ჩვენ გადავდგით კონკრეტული ნაბიჯები, რათა გაზრდილიყო საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ჩვენი მხარდაჭერით მიმდინარე სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამებში.

ჩვენი „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის“ (CDI) ფარგლებში, რომელიც ქვემოთ დაწვრილებით არის აღწერილი, „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის“ მეოთხე ფაზის განმახორციელებელ პარტნიორებად შევარჩიეთ ორი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია – „ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრი“ და „რეგიონალური განვითარების ასოციაცია“. 2013 წელს ჩატარებული დამოუკიდებელი შეფასების შედეგად, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ეს ნაციონალიზაციის სტრატეგია წარმატებულად იქნა მიჩნეული.

თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან სტანდარტების ასამაღლებლად

ჩვენ ვთანამშრომლობთ საერთაშორისო დახმარების სააგენტოებთან და კრედიტორ ორგანიზაციებთან, ქვეყნის მრეწველობის სხვადასხვა დარგში მოქმედი სტანდარტების გასაუმჯობესებლად.

გასულ წლებში ვთანამშრომლეთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC), საქართველოში კორპორაციული მართვის სტანდარტის ამაღლების ინიციატივის ფარგლებში. ასევე, IFC-სთან ერთობლივად დავაფინანსეთ სამწლიანი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა სურსათის წარმოების სექტორში მოქმედი სტანდარტების დახვეწას. ამ გამოცდილების გათვალისწინებით, ჩვენ ახლახან ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას IFC-სთან, რომლის მიხედვით, თანადაფინანსების სახით, 0,4 მილიონი დოლარით დავაფინანსებთ IFC-ს ახალ, 1,9 მილიონი დოლარის ბიუჯეტის მქონე პროექტს, რომელსაც „საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პროექტი“ ეწოდება. პროექტის მთავარი მიზანია კერძო სექტორის სტაბილური ზრდის ხელშეწყობა, ადგილობრივი კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების გზით. ამ მიზნის მიღწევას ხელს შეუწყობს დღემდე განხორციელებული წარმატებული რეფორმები და ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისება. პროექტის ერთ-ერთი მიმართულება იქნება ბიზნესების წინაშე არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი ნორმატიული ხარჯების, განსაკუთრებით, დღგ-ს ადმინისტრირებაზე გაწეული ხარჯების საკითხი. პროექტი ითანამშრომლებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პირებთან.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების კვალიფიკაციის ამაღლება

2012 წლის მაისში BP-მ ხელშეკრულება გააფორმა ორ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომლებიც განახორციელებენ „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის“ (CDI) მეთხე ფაზას.

„დაახლოებით ერთი წლის წინ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ CDI-ს განმხორციელებელ პარტნიორად ადგილობრივი ორგანიზაცია შეგვერჩია. ჩვენი მიზანი იყო, რომ განვითარების შესაძლებლობა მიგვეცა ადგილობრივი ორგანიზაციისთვის, რათა მათ საკუთარი ძალებით შესძლებოდათ პროგრამის განხორციელება“, განმარტავს ეთერ კვირიკაშვილი, BP საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მრჩეველი.

BTC/SCP მილსადენების დასავლეთის სექტორში პროგრამას ახორციელებს „რეგიონალური განვითარების ასოციაცია“. მისი წარმომადგენლის, გვანცა მელაძის თქმით, „BP-სთან თანამშრომლობით უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნა კომპანიის მიდგომებზე, რომელთა გამოყენების გამოცდილება მანამდე არ გვქონდა. ამ თანამშრომლობამ ხელი შეუწყო ჩვენი სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებას, სამუშაო დროის ორგანიზების, დავეცებისა და ანგარიშების უნარ-ჩვევების განვითარებას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეგვალა ჩვენი დამოკიდებულება გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხების მიმართ“.

„გამოცდილი საერთაშორისო ორგანიზაციების ჩანაცვლება ჩვენთვის მარტივი გადაწყვეტილება არ იყო, თუმცა ახლა როცა ადგილობრივი განმხორციელებელი პარტნიორების მუშაობას ვადევნებთ თვალს, ვრწმუნდები, რომ ეს საჭირო დროს მიღებული სწორი გადაწყვეტილება იყო. შესაძლოა, მათ ესტაროებათ დახმარება მართვის სისტემების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ისინი განსაკუთრებული ენთუზიაზმით მუშაობენ მოსახლეობასთან და მზად არიან აითვისონ და მუშაობის პროცესში გამოიყენონ BP-ის რჩევები და რეკომენდაციები“, აცხადებს რუსუდან მეძმარიაშვილი, BP-ის სოციალური პასუხისმგებლობის მენეჯერი.



▲ CDI-ს განმხორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები სტუმრებს BP-სა და მისი პარტნიორების მიერ დაფინანსებულ პროექტებს აცნობენ.

განათლების ხელშეწყობა

საქართველოში განათლების სფეროს ხელშეწყობა დიდი ხანია ჩვენი ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. ეს კომპონენტი მოიცავს სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების დახმარებას და ზრუნვას პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

ჩვენ ვაგრძელებთ თბილისის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ფინანსურ მხარდაჭერას. სკოლა მიზნად ისახავს რეგიონის მასშტაბით, სწავლებისა და კვლევის უმაღლესი სტანდარტების დანერგვას ეკონომიკურ მეცნიერებათა სფეროში. 2013 წელს ჩვენ გავაგრძელებთ ხელშეკრულებას ISET-თან, რათა მათ განვითარონ ადამიანური რესურსების ეკონომიკის სპეციალობა, მაგისტრატურის პროგრამის ფარგლებში. ეს პროგრამა მოამზადებს სტუდენტებს ანალიტიკოსის კარიერისთვის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა შრომის ბაზრის რეგულირება, ჯანდაცვა და განათლების რეფორმა საქართველოში და მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

პროექტების მართვის კოლეჯი (PMC), რომელიც 2009 წელს გაიხსნა BP-ს, მის პარტნიორებს, ESI International-სა და თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის შედეგად, მსმენელებს სთავაზობს შვიდი მოდულისგან შემდგარ სასწავლო პროგრამას, რომლის დასრულების შემდეგ, მსმენელებს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის პროექტების მართვის მაგისტრის სერტიფიკატი ენიჭებათ. კოლეჯის კურსდამთავრებულებს ეძლევათ შესაძლებლობა, რომ მოიპოვონ პროექტების მართვის პროფესიონალის (PMP®) სერტიფიკატი, რომელსაც Project Management institute (PMI®) გასცემს.

აკადემიური კურსი მოიცავს ერთ წელზე გადინაწილებულ 24 სასწავლო დღეს. კოლეჯმა ფუნქციონირების პირველი სამი წლის განმავლობაში 194 მსმენელისგან შემდგარი ათი ნაკადი მიიღო, აქედან 174-მა კოლეჯი მაგისტრის სერტიფიკატით დაამთავრა, ხოლო 12-ს პროექტების მართვის პროფესიონალის სერტიფიკატი მიენიჭა. 2012-2013 სასწავლო წელს, კოლეჯმა მიიღო მსმენელთა მე-11 და მე-12 ნაკადები, სულ 40 სტუდენტი, რომლებიც 2014 წლის გაზაფხულზე დაამთავრებენ პროგრამას, ხოლო უმოკლეს ხანში მსმენელთა მე-13 ნაკადი დაიწყებს სწავლას.

კოლეჯის სტუდენტების კონტინენტს შეადგენენ მალაი და საშუალო რგოლის მეწევერები, ასზე მეტი სხვადასხვა ორგანიზაციიდან, მათ შორის არიან როგორც კერძო კომპანიები, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები და სახელმწიფო სექტორის კომპანიები.

BP და მისი პარტნიორები ორი მილიონი დოლარით აფინანსებენ კოლეჯს (ხელშეკრულების ვადის განმავლობაში), ხოლო „თავისუფალი უნივერსიტეტი“, თანადაფინანსების სახით, დამატებით 0,3 მილიონ დოლარს გამოყოფს. გრძელვადიან პერსპექტივაში, ჩვენი მიზანია ქართველი პროფესიონალების მომზადება, რათა მომავალში მთელი სასწავლო პროგრამა ქართველმა სპეციალისტებმა წარმართონ.

განვითარების პროექტების მხარდაჭერა ჩვენი საქმიანობის რეგიონებში

ჩვენი სურვილია, რომ მოსახლეობამ მიიღოს სარგებელი, რომელიც უკავშირდება ჩვენს საქმიანობას მათ რეგიონში და ვაფინანსებთ ფართო სპექტრის პროგრამებს, რომლებიც ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის განვითარებას ისახავს მიზნად.



▲ ვიზიტი BP-სა და მისი პარტნიორების დაფინანსებული პროექტების გაცნობის მიზნით.

ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობა

ჩვენ ვაფინანსებთ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს (EUGBC) საქმიანობას, რომელიც BP-ის მიერ 2004 წელს საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული „ვალდებულების“ ხელშეკრულების ფარგლებში გამოყოფილი 300 ათასი დოლარის ოდენობის გრანტით არის დაფუძნებული. EUGBC არის ბიზნესის ინტერესებზე ორიენტირებული ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზნებია:

- ევროკავშირისა და საქართველოს შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების წახალისება.
- საქართველოს, როგორც ინვესტიციების განხორციელებისა და ბიზნესის კეთებისთვის ხელსაყრელი ქვეყნის წარმოჩენა ევროკავშირის ქვეყნებში და პირიქით.
- საბჭოს წევრების საერთო ბიზნესინტერესების გატარება და დაცვა.
- ევროკავშირისა და საქართველოს ბიზნესებს, მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოების წრეებს შორის კავშირების ხელშეწყობა.

ბიზნესსაბჭოს წევრები არიან: საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, ამერიკის სავაჭრო პალატა, საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია და ქართველ ექსპორტიორთა ასოციაცია. 2013 წელს ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს საქმიანობა ჯამში 30 ათასი ევროთი დაფინანსდეს, რაც ჩვენს საწევრო გადასახადსა და დამატებით საგრანტო თანხას მოიცავს.

ენერგოეფექტური ტექნოლოგიების განვითარება

რამდენიმე ნოვატორული პროექტის განხორციელების შემდეგ, რომლებიც მიზნად ისახავდა საქართველოს რეგიონებში ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის წყაროებზე მომუშავე ტექნოლოგიების პოპულარიზაციას, ჩვენ დავიწყეთ ახალი პროგრამა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ადგილობრივ თვითმმართველობებს მდგრადი ენერგეტიკული პოლიტიკის გატარებაში დაეხმარება.

პროგრამა, რომლის ხანგრძლივობა ორი წელია, ხოლო ბიუჯეტი თითქმის ერთ მილიონ დოლარს შეადგენს, მიზნად ისახავს ევროკავშირის „მერების ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული საქმიანობის მხარდაჭერას. „მერების ხელშეკრულებას“ მიერთებული ქალაქების მუნიციპალიტეტებს ალბულის აქვთ ვალდებულება, რომელიც 2020 წლისთვის ნახშირორჟანგის ემისიების 20%-ით შემცირებას ითვალისწინებს, რაც ფართომასშტაბიანი ენერგეტიკული და გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმების რეალიზაციას მოითხოვს. პროგრამა დაფინანსებს შვიდი მსხვილი სადემონსტრაციო პროექტის განხორციელებას საქართველოს ქალაქებში, რომლებიც ნახშირორჟანგის ემისიების შემცირების პრაქტიკული მაგალითები

იქნება და სტიმულს მისცემს სხვა პროექტების განხორციელებას. ამ მიზნით, ხელშეკრულების მონაწილე მუნიციპალიტეტებში შეირჩევა საზოგადოებრივი შენობები, მაგალითად, სკოლები, ბაგა-ბაღები, სამედიცინო ცენტრები, სახელოვნებო და სპორტული სკოლები და ბავშვთა სახლები. თითოეულ ქალაქში დასაფინანსებლად შეირჩევა ერთი პროექტი, რომლის ინვესტიციის მოცულობა დაახლოებით 60 ათასი აშშ დოლარი იქნება. პროგრამას უხელმძღვანელებს „ენერგოეფექტურობის ცენტრი“, რომელმაც ჩვენი წინა ენერგეტიკული პროექტები განახორციელა. ორგანიზაცია იმუშავებს მონაწილე ქალაქების მუნიციპალიტეტებთან, ასევე ევროკავშირთან და სხვა დონორებთან, პროექტის თანადაფინანსების თანხების მოსაპოვებლად.

ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა

„ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის“ (CDI) პროექტები ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის ზრდას. 2012 წლის მაისში დაიწყო ინიციატივის მეოთხე ეტაპი, რომლის ძირითადი მიმართულებები მეტად არის მორგებული ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე. პროგრამის საწყისი ეტაპი 2003 წლიდან იღებს სათავეს.

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მეოთხე ფაზა (CDI 4) მიზნად ისახავს კეთილგანწყობილი ურთიერთობის გაღრმავებას კომპანიასა და მიწსაძენების მარშრუტის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობას შორის და ითვალისწინებს სოციალური საწარმოების, აგრარული წარმოებისა და რეგიონალური აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობას. მაგალითად, პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტი დახმარება მცირე ბიზნესების დასაწყებად, რაც მოიცავს ტრენინგების ჩატარებას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ბიზნესის დაგეგმვა, ბაზრის ფუნქციონირების პრინციპები, „ღირებულების ჯექნის ჯაჭვის“ („value chain“) ცნების განმარტება, პროდუქცია და ფასი, პროდუქტის ცნება და ფასწარმოქმნის მეთოდოლოგია, რეალიზაცია და მარკეტინგი.

CDI ასევე ითვალისწინებს სოციალური საწარმოების შექმნას, სათემო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ბიზნესინიციატივების მხარდაჭერის მიზნით. მათი მთავარი დანიშნულებაა, უზრუნველყონ იმ ტიპის მომსახურება, რომელიც ზუსტად პასუხობს ამა თუ იმ სოფლისა თუ თემის საჭიროებებს, ხოლო საწარმოდან მიღებული შემოსავალი ამავე მოსახლეობისთვის დამატებითი სარგებლის მოტანას მოახმარონ.



სამინისტრო CDI-ს შედეგებს ადგილზე ეცნობა

აპრილში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, ქეთევან ბოჭორიშვილი, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ესტუმრა, სადაც კომპანია BP, პარტნიორებთან ერთად, რამდენიმე წელია ადგილობრივ მოსახლეობას მცირე ბიზნესების წამოწყებაში ეხმარება. ვიზიტის ფარგლებში, მინისტრის მოადგილემ მოინახულა პროექტის დახმარებით გახსნილი სტომატოლოგიური კაბინეტი და სასურსათო მაღაზია სოფელ წნისში, ასევე მატყლის გადამამუშავებელი და საინჟინერო კვერცხის მწარმოებელი საწარმოები სოფელ კლდეში. თანხლებს ოფიციალურ პირებთან ერთად, იგი ასევე ეწვია საბუღალტრო მომსახურების ჯგუფს, რომელიც საპეციალურად პროგრამის საჭიროებისთვის შეიქმნა და დაწყებ ბიზნესებს ფინანსური და იურიდიული საკითხების მოგვარებაში ეხმარება.

მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა პროგრამის მნიშვნელობას და აღნიშნა: „მცირე ბიზნესს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ძალზე მნიშვნელოვანი როლი აკისრია. ეს არის შემოსავლების წყარო და რეგიონში შრომისუნარიანი ახალგაზრდობის შენარჩუნების ერთადერთი გზა. სამაგალითოა კომპანია BP-ის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, რომლის ფარგლებში კომპანია ხელს უწყობს რეგიონში მდგრადი და თვითგანვითარებაზე ორიენტირებული დამწყები ბიზნესების შექმნას“.

CDI პროგრამის ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 32-მა მიკრო მეწარმემ მიიღო 1200 ლოლარის ოდენობის თანამონაწილეობის გრანტი. შედეგად, შეიქმნა 18 მცირე ბიზნესი, რომლებშიც 33 ადამიანი დასაქმდა და მომავალში მათი რაოდენობის გაზრდა იგეგმება.

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის პროექტებს, რომლებიც ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ახლომდებარე დასახლებებისთვის არის შექმნილი, სკაუტური მოძრაობის საქართველოს ორგანიზაცია ახორციელებს. პროგრამის ეს კომპონენტი გათვლილია ასზე მეტი სოფლის მაცხოვრებლების, აგრეთვე იძულებით გადაადგილებული პირებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. პროექტები ითვალისწინებს ახალი ბიზნესების დაწყების ხელშეწყობას, რაც გრანტების გაცემის კომპონენტსაც მოიცავს.

ჩვენ დანტერესებული ვართ, რომ პროგრამა ყოველთვის პასუხობდეს მონაწილეთა საჭიროებებს და ერგოვდეს შეცვლილ ვითარებას. 2013 წელს პროგრამის არეალი გაფართოვდა და გავრცელდა ორი ახალი სოფლის მაცხოვრებლებზე (სოფელი თორი ბორჯომის მუნიციპალიტეტში და სოფელი ირაგა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში), რომლებიც BTC/SCP მილსადენების ობიექტების სიახლოვეს მდებარეობს. შესაბამისად, ამ ორი მილსადენისთვის განკუთვნილ CDI პროგრამაში ჩართული დასახლებების რაოდენობა 79-ს გაუტოლდა. გარდა ამისა, პროგრამა გავრცელდა 18 ახალ დასახლებაზე, რომლებიც მომავალი SCPX პროექტის ზემოქმედების არეალში ექცევა.

CDI გამოცდებურა სახელმწიფოს მიერ ბოლო დროს მიღებულ კანონს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, რომლებზეც გავრცელდება საგადასახადო შეღავათები და შეღავათიანი საკრედიტო რესურსისა და გრანტის მიღების შესაძლებლობა. CDI-ს იმ კომპონენტის ფარგლებში, რომელიც მანამდე სოფლის მოსახლეობას გაერთიანებების შექმნაში ეხმარებოდა, დაიწყო კოოპერატივების შექმნის პილოტური პროექტების განხორციელება და უკვე განხილვება სამი ახალი კოოპერატივის შექმნის წინადადება.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია პროგრამის შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტების მხრიდან. 2013 წელს მოწვეული ექსპერტების მიერ ჩატარებული შუალედური შეფასების შედეგად გაიცა რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა, მაგალითად, უფრო ინტენსიურ კომუნიკაციას მესამე მხარეებთან, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ახალი ბიზნესების გახსნის კომპონენტების მასშტაბის გაფართოებას, შესაბამისი რესურსის არსებობის შემთხვევაში. შეფასების დასკვნით, ზოგადად, BP-ის მიმართ დამოკიდებულება დადებითია, კომპანია „კარგ მემობლად“ აღიქმება მოსახლეობის ფართო წრეების მიერ და მის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, 2003-2004 წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. როგორც შეფასების დასკვნაში არის აღნიშნული, პროგრამისთვის დამახასიათებელია მიღწეული დადებითი შედეგების მრავალჯერადი ზრდა მოკლე პერიოდში, რადგან ფერმერებს შორის მუდმივად ხდება გამოცდილების გამოცვლა, სადემონსტრაციო ნაკვეთებზე დანერგილი წარმატებული ახალი ტექნოლოგიებისა და სხვა ინიციატივების გადაღება სხვა ფერმერების მიერ.

CDI 4-ის ფარგლებში დღემდე მიღწეული ძირითადი შედეგებია:

- განხორციელდა ეკონომიკური ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციის 30 პროექტი, მათ შორის, სარწყავი არხების გაყვანა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსარწყავად ან პირუტყვის დასარწყვლელად. როგორც წესი, ასეთი პროექტები ხორციელდება მოსახლეობის თანამონაწილეობით, რაც, ძირითადად, მუშახელით გამოიხატება. ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტებით 5800-ზე მეტმა ოჯახმა ისარგებლა.
- მოსახლეობამ მიიღო თერთმეტი ახლად გახსნილი სოციალური საწარმოს მომსახურება, მათ შორის, დახმარება ტრაქტორისა და მიწის დასამუშავებელი სხვა ტექნიკის შეძენისას, აგრეთვე დახმარება მოსავლის აღების დროს.
- ახალი ტექნოლოგიები დაინერგა 190-ზე მეტ სადემონსტრაციო მეურნეობაში, რომლებიც დაახლოებით 2100 კომლს აერთიანებს. ახალი ტექნოლოგიების ნაწილი სხვა მეურნეობებმაც გადაიღეს და დანერგეს.
- გრანტები გაიცა 81 ბიზნესზე (სულ 104 გრანტის მიმღებზე). შეიქმნა 104 ახალი სამუშაო ადგილი.
- სესხების სუბსიდირების სქემის ფარგლებში, ფერმერებზე გაიცა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 190 სესხი.

2013 წლის მაისიდან, CDI გავრცელდა იმ სოფლებზე, რომლებიც დაგეგმილი SCPX პროექტის ზემოქმედების არეალში ექცევიან. ჩვენ ვცდილობთ, რომ გაგზარდოთ პროექტის ცნობადობა ადგილობრივ მოსახლეობაში და მათთან თანამშრომლობაზე დამყარებული ურთიერთობა ჩამოვყალიბოთ მანამდე, ვიდრე სამშენებლო სამუშაოებს დაიწყებთ. დღემდე, 14 სოფლის სათემო ორგანიზაციამ ჩაატარა სოფლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის სამუშაოები. თექვსმეტი სადემონსტრაციო მოდელი შეიქმნა 50-ზე მეტი ინდივიდუალური ფერმერისა და ფერმერთა ჯგუფის მიერ. შეიქმნა 20 ახალი მცირე ბიზნესი, 60 მოსწავლე გაერთიანდა ორ ახალგაზრდულ ჯგუფში, რომლებმაც მთელი რიგი გარემოსდაცვითი ინიციატივები განახორციელეს.

პროგრამის განმახორციელებელი პარტნიორების მიერ მომზადებულია წინადადებები, რომლებიც აღმოსავლეთ სექტორში დამატებით თორმეტი სოფლის, დასავლეთის სექტორში კი ხუთი სოფლის და აგრეთვე ქ. რუსთავის რამდენიმე მიკრორაიონის მცხოვრებლებს დახმარებას ითვალისწინებს. ისევე როგორც გასულ წლებში, ეს ინიციატივები მიზნად ისახავს სოციალური პროექტების მხარდაჭერას, სათემო ორგანიზაციების დახმარებას, სოფლის ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციას, მცირე ბიზნესების დაწყების ხელშეწყობას და ახალგაზრდობის ჩართვას გარემოსდაცვით და საგანმანათლებლო პროექტებში.

დაინტერესებული მხარეები და ჩვენი ანგარიშები

საქართველოში ჩვენ დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრთან ვთანამშრომლობთ, ვაწვდით მათ ინფორმაციას ჩვენი საქმიანობის შესახებ და ვეცნობით მათთვის აქტუალურ საკითხებს.

ჩვენ დაინტერესებულ მხარეებად განვიხილავთ იმ უამრავ ადამიანსა და ორგანიზაციას, რომელთაც რაიმე ფორმით ეხებათ საქმიანობა, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ, როგორც ენერგოკომპანია, როგორც დამსაქმებელი, ან როგორც კომპანია, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში.

დაინტერესებული მხარეები

თანამშრომლები

ბოლო სამი წლის განმავლობაში, საქართველოში ჩვენი თანამშრომლების რიცხვი იზრდება და ამჟამად 500-ს აღარაღწევს. ჩვენ თანმიმდევრულად ვზრდით საქართველოს მოქალაქეების ხვედრით წილს კომპანიის პერსონალის შემადგენლობაში. ამ მაჩვენებელმა, გასული ხუთი წლის განმავლობაში, საშუალოდ 95% შეადგინა, რაც საცხებით პასუხობს ჩვენს გეგმებს, რომლებიც ადგილობრივ ენერგოკომპანიად ჩამოყალიბებას უკავშირდება. თუმცა, ადგილობრივ კომპანიად ჩამოყალიბება მხოლოდ თანამშრომელთა რიცხვის ზრდას არ გულისხმობს. ჩვენ უზრუნველყოფთ ადგილობრივი თანამშრომლების გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, რათა მათ შემდეგ ხელმძღვანელი პოზიციები დაიკავონ. ჩვენ გავაჩნია ტრენინგებისა და კადრების პროფესიული განვითარების ვრცელი პროგრამა. ჩვენი სურვილია, რომ ჩვენს თანამშრომლებს მიეცეთ BP-ში საინტერესო და ნაყოფიერი კარიერის შესაძლებლობა.

ხელისუფლების ორგანოები

ჩვენ ვთანამშრომლობთ საქართველოს ხელისუფლების ორგანოებთან ყველა დონეზე. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან ვმუშაობთ კონკრეტული დასახლებების პრობლემებზე, ხოლო ზოგად სტრატეგიულ საკითხებს ქვეყნის ცენტრალურ მთავრობასთან განვიხილავთ. ჩვენ მუდმივად ვთანამშრომლობთ სხვადასხვა მარეგულირებელ ორგანოსთან, ნებართვებისა და ლიცენზიების მისაღებად, აგრეთვე მათი მხრიდან ჩვენი საქმიანობის მონიტორინგის განსახორციელებლად. ჩვენ ასევე ვთანამშრომლობთ სპეციალიზებულ სამთავრობო უწყებებთან, როგორცაა, მაგალითად, სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი, რომელიც BTC/SCP მილსადენებს უშიშროების დაცვას უზრუნველყოფს.

ჩვენ ვთანამშრომლობთ სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოსთან, საჭიროების მიხედვით, რათა ჩვენი საქმიანობა წარვმართოთ შეუფერხებლად, ინციდენტების გარეშე და მაღალი სტანდარტების დაცვით. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ 2013 წლის კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, საქართველო მსოფლიოს 177 ქვეყანას შორის 55-ე ადგილს იკავებს. სამთავრობო უწყებებთან და მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობისას, ჩვენ ხელმძღვანელობთ BP-ის „ქვეყნის კოდექსით“, რომელიც გვაავალდებულებს, რომ ყველანაირი ურთიერთობა სახელმწიფო ხელისუფლებასთან და მარეგულირებელ ორგანოებთან წარვმართოთ კეთილსინდისიერად, პატიოსნად და გამჭვირვალედ.

საქართველოს სამრეწველო სექტორი

ჩვენ ვთანამშრომლობთ მთელ რიგ ბიზნესებთან და სამრეწველო ჯგუფებთან, ვუზიარებთ მათ გამოცდილებას, ვახორციელებთ ერთობლივ პროგრამებს და ხელს ვუწყობთ მოწინავე პრაქტიკის დანერგვას. ჩვენ ვართ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოსა და ამერიკის სავაჭრო პალატის წევრი და მრავალ კომპანიასთან ვთანამშრომლობთ, ორმხრივი ინიციატივების ფარგლებში.

ჩვენი პარტნიორები და კონტრაქტორები


ჩვენი ბიზნესის არსიდან გამომდინარე, ჩვენ თითქმის არასდროს ვმოქმედებთ იზოლირებულად. ჩვენი უსაფრთხო და საიმედო ოპერაციები დამოკიდებულია მომწოდებლების, კონტრაქტორებისა და პარტნიორების შესაძლებლობებსა და წარმატებულ საქმიანობაზე. ჩვენ მათ ვუწყებთ მუშაობის სტანდარტებს, რომლებსაც ავსახავთ მათთან გაფორმებულ იურიდიულად სავალდებულო ხელშეკრულებებში, ტრენინგებისა და აქტიური კომუნიკაციის მეშვეობით ვეხმარებით მუშაობის პრაქტიკის დახვეწაში. ვაგრძელებთ მუშაობას ადგილობრივი კონტრაქტორების კვალიფიკაციის ასამაღლებლად უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, დასაქმების პოლიტიკისა და სოციალური საკითხების მართვის სფეროებში. საქართველოში ჩვენმა ინვესტიციებმა არაერთ ადგილობრივ კომპანიას შეუქმნა ეკონომიკური შესაძლებლობები, რაც მომავალშიც გაგრძელდება.

ჩვენი ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეებთან

თანამშრომლები:

უშუალოდ BP-ში დასაქმებულია დაახლოებით 500 თანამშრომელი.

არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება: ხელს ვუწყობთ ამ ინსტიტუტების განმტკიცებას.



ადგილობრივი მოსახლეობა: ვისმენთ და ვითვალისწინებთ მილსადენების სიახლოვეს მცხოვრების მოსახლეობის საჭიროებებს.

ქვეყნის ხელისუფლება:

ვთანამშრომლობთ ქვეყნის ცენტრალურ მთავრობასთან და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან.

საქართველოს სამრეწველო სექტორი:

ვუზიარებთ გამოცდილებას და მოწინავე პრაქტიკას.

პარტნიორები და კონტრაქტორები:

ვმუშაობთ ჩვენს პარტნიორებთან და ადგილობრივ მომწოდებლებთან.

BP-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი მიწის მესაკუთრეს ესაუბრება.



პარტნიორებთან ერთად, ვაფინანსებთ ინიციატივებს, მათ შორის, მთელ რიგ სოციალურ პროგრამებს, რომლებიც საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას უწყობს ხელს. ჩვენი საქმიანობა ამ მიმართულებით აღწერილია ამ ანგარიშის თავში – „საზოგადოება“.

ადგილობრივი მოსახლეობა

გასული წლების განმავლობაში, ჩვენ კონსტრუქციული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა ჩვენი მილსადენებისა და ობიექტების მიმდებარე დასახლებების მოსახლეობასთან. ჩვენი სოციალური პროგრამები გათვლილია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე და მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა, ინფრასტრუქტურის ობიექტების კეთილმოწყობა, განათლება, გარემოს დაცვა, ახალგაზრდა თაობის უნარების განვითარება, ბიზნესის ხელშეწყობა. კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები ცდილობენ სისტემატური კავშირი იქონიონ მილსადენების მარშრუტების სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობასთან, ეცნობიან მათ პრობლემებსა და საჭიროებებს.

ადგილობრივ მოსახლეობასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგი გვცხადებთ, რომ უკეთეს განვსაზღვროთ, რაში გამოიხატება ჩვენი საქმიანობით გამოწვეული პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობაზე. ამის ცოდნა აუცილებელია ნებისმიერი ჩვენი საქმიანობისთვის, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალ პროექტებთან კავშირში, როგორიცაა სამხრეთ კავკასიის გამსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, რადგან ახალ პროექტებს თან ახლავს

ლოკალური მასშტაბის ცვლილებები, მათ შორის არის, ერთი მხრივ, სამუშაო ადგილების შექმნა, ადგილობრივი მოქმედებებისთვის ეკონომიკური შესაძლებლობების გაჩენა, ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ხელშეწყობა, თუმცა, მეორე მხრივ, პროექტების განხორციელებას შეიძლება თან ახლდეს გარკვეული არასასურველი ცვლილებები, მაგალითად, ტრანსპორტის გახშირებული მოძრაობა გზებზე, ცვლილებები მიწათსარგებლობაში, შეცვლილი ლანდშაფტი, მტკნარი წყლის მოხმარების ზრდა და შიდა მიგრაციის დონის ცვლილება. ჩვენი მიზანია, მინიმუმამდე შევამციროთ შესაძლო უარყოფითი ზემოქმედება.

არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები

ჩვენ სისტემატურად ვთანამშრომლობთ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. რამდენიმე მათგანმა ჩვენი დახმარებით გაიფართოვა გამოცდილება და აიმაღლა კვალიფიკაცია. ჩვენ შევიძულებთ სტრატეგია, რომლის თანახმად, ჩვენი სოციალური პროგრამის რამდენიმე წამყვანი კომპონენტის განმარტოვებულ პარტნიორებად შევარჩიეთ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები. ჩვენი პროგრამების მეშვეობით, არასამთავრობო ორგანიზაციები იძენენ გამოცდილებას ისეთ სფეროებში, რომლებიც აქტუალურია მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორისაა, საგზაო უსაფრთხოება და ენერგოეფექტური ტექნოლოგიები. ჩვენ ხელს ვუწყობთ მედიის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მაგალითად, ჟურნალისტებს ჩავუტარეთ გაცნობითი კურსი ენერგეტიკული სექტორის საფუძველებში.

ვაგრძელებთ თანამშრომლობას „ბრიტანეთის საბჭოსთან“, მედიის წარმომადგენლებისთვის ინგლისური ენის სწავლების პროექტის ფარგლებში.

ჩვენ ვართ რამდენიმე საგანმანათლებლო დაწესებულების დამფუძნებელი წევრი, მათ შორისაა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა და პროექტების მართვის კოლეჯი. ჩვენი ფინანსური მხარდაჭერით, ეს სასწავლებლები აგრძელებენ მაღალკვალიფიკაციის სპეციალისტების კადრის მომზადებას, რომლებიც მზად არიან დაიმკვიდრონ კუთვნილი ადგილი საქართველოს და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე.

ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეებთან ჩვენი „მდგრადი განვითარების ანგარიშების“ თაობაზე

ბოლო სამი წლის განმავლობაში, ჩვენი საქმიანობით დაინტერესებულ მხარეთა გარკვეულ ჯგუფს ვთავაზობთ, რომ გამოთქვან მოსაზრებები ჩვენს „მდგრადი განვითარების ანგარიშზე“ და მოგვაცნონ რეკომენდაციები, მომავალ ანგარიშებში გასათვალისწინებლად.

2013 წელს, ჩვენი ანგარიშების ხარისხის თაობაზე გამოვკითხეთ ოცდაათამდე გარეშე პირი და ორგანიზაცია, მათ შორის, არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ანალოგიური გამოკითხვა ჩავატარეთ ჩვენს თანამშრომლებს შორის. კითხვები ეხებოდა ანგარიშის შინაარსს, წარდგენის ფორმას, სანდოობის და დაბალანსებულობის ხარისხს, ანგარიშის სტილსა და ფორმატს. მათ ასევე შეეძლოთ გამოეთქვათ აზრი ზოგადად ანგარიშის ნებისმიერ ასპექტზე ან ჩვენს მიდგომებზე მდრადი განვითარების ანგარიშების გამოცემის საკითხში.

მათი მხრიდან გამოითქვა მთელი რიგი რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეგვიძლია გავაუმჯობესოთ ჩვენი ანგარიში. ჩვენ გავითვალისწინეთ ეს რეკომენდაციები, ამ წლის ანგარიშზე მუშაობის პროცესში. ისევე როგორც გასულ წლებში, ჩვენ მივმართეთ სტრუქტურირებულ პროცესს, რათა გამოგვეცნინა, თუ რა არსებითი მნიშვნელობის საკითხები უნდა აგვესახა ანგარიშში და რა მასშტაბის ყურადღება უნდა დაგვეთმო თითოეული მათგანისთვის. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა დაინტერესებული მხარეების შეფასებები ამ საკითხებთან დაკავშირებით.

რა მოსაზრება გამოითქვა	რას ვაკეთებთ საპასუხოდ
სასურველია ანგარიში შეიცავდეს უფრო დეტალურ ინფორმაციას მასში ასახულ საკითხებზე.	ჩვენ თითქმის უგვლეჯად ვტოვებთ ანგარიშის მოცულობას, მაგრამ უფრო მკაფიოდ მივუთითებთ დამატებითი ინფორმაციის სხვა საკარო წყაროებს, მაგალითად, როგორიცაა გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიშები, მიწაზე უფლებების მოპოვების პროცესის სახელმძღვანელოები, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები.
სასურველია უფრო დაწვრილებით იყოს აღწერილი ის ბიზნესგარემო და ფინანსური სიტუაცია, რომელშიც BP საქართველოში ოპერირებს.	ანგარიში შეიცავს მტკ ინფორმაციას საქართველოში ჩვენი ოპერაციების შესახებ, რომლებიც მთლიანად რეგიონის მასშტაბით BP-ის საქმიანობის კონტექსტში არის განხილული.
სასურველია, ანგარიშში უფრო დაწვრილებით იყოს აღწერილი ის გამოწვევები, რომელთა წინაშე დგას კომპანია ან მომავალში შეიძლება დადგეს.	ანგარიშის მთელ ტექსტში დავამატეთ ბმულები და მეტი ინფორმაცია ჩვენ წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ, რომლებიც ანგარიშის პირველივე თავში არის ხაზგასმული. ასევე, მეტი ყურადღება გავამახვილეთ მომავლის გეგმებსა და მოსალოდნელ გამოწვევებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას, მაგალითად, დავეგმილი უდიდესი მასშტაბისა და მნიშვნელობის პროექტის – სამხრეთ კავკასიის გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტის განხორციელების პროცესში.
სასურველია, უფრო ფართოდ იყოს წარმოდგენილი საქმიანი ქვეყნის კოდექსთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის, ინფორმაცია კოდექსის დარღვევის ან კორუფციის შემთხვევებზე.	„ქვეყნის კოდექსის“ დარღვევის ან კორუფციის შემთხვევები ძალზე იშვიათია და, უმეტეს შემთხვევაში, მათთან დაკავშირებული ინფორმაცია მკაცრად კონფიდენციალურია და შესაძლოა სასამართლო წარმოების საგანიც იყოს. აქედან გამომდინარე, ანგარიშში კვლავ მეტი ყურადღება ეთმობა პროცესებს, რომელთა მეშვეობით ჩვენ უზრუნველყოფთ კოდექსის მოთხოვნების განხორციელებას, და არა ამ მოთხოვნების დარღვევის კონკრეტულ შემთხვევებსა და მაგალითებს, რომელთა შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და რომლებიც შეიძლება განიხილებოდეს რეგიონალურ ან ჯგუფის დონეზე. მიუხედავად ამისა, ანგარიშში ყურადღება ეთმობა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ინტერესთა კონფლიქტი და საჩუქრებისა და გასართობი ღონისძიებებზე მიწვევების მიღება ან გაცემა. გარდა ამისა, ანგარიში შეიცავს ინფორმაციას დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გატარების, მათ შორის, სამსახურიდან დათხოვნის ყველა შემთხვევის შესახებ.

BP საქართველო ციფრებში

ჩვენი მაჩვენებლები შრომის უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, კადრების მართვის და კომერციული საქმიანობის სფეროებში, 2009-2013 წლებში.

31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის მაჩვენებლები	2009	2010	2011	2012	2013
ტრანსპორტირებული ნახშირწყალბადების საერთო მოცულობა (მლნ. ბარელი ნავთობის ეკვივალენტი)	349.7	346.5	313.8	300.7	308.8
სოციალური ინვესტიციები (მილიონი დოლარი) ^ა	8.5	8.2	3.4	2.2	3.7
შრომის უსაფრთხოება^ბ					
BP-ის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევა	0	0	0	0	0
BP-ის კონტრაქტორის დაღუპვის შემთხვევა	0	0	0	0	0
გაცდენილი სამუშაო დღეები (DAFWC) ^ჰ – პერსონალი ^შ	0	0	0	0	2
გაცდენილი სამუშაო დღეების სიხშირე (DAFWCF) – მხოლოდ ტრავმები ^შ – პერსონალი	0	0	0	0	0.11
აღრიცხვადი პროფესიული ავადმყოფობისა და ტრავმების შემთხვევები ^შ – პერსონალი	3	0	1	1	2
აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე (RIF) ^ბ	0.17	0	0.07	0.06	0.11
ავტოსატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობა ^შ	2	5	9	6	6
ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო სიხშირე ^შ	0.25	0.71	1.12	0.66	0.63
ნამუშევარი დრო ^შ – პერსონალი	3,507,005	3,108,395	3,066,299	3,400,626	3,725,561
გავლილი კილომეტრები ^შ	8,120,198	7,077,498	8,055,182	9,152,233	9,482,753
გარემოს დაცვა^ბ					
ნახშირწყალბადების დაღვრის შემთხვევების რაოდენობა ^ა	2	2	0	0	0
დაღვრილი ნავთობის მოცულობა (ლიტრი)	5,520	25,454	0	0	0
დაკარგული ნავთობის მოცულობა (ლიტრი)	320	3,700	0	0	0
პირდაპირი ნახშირორჟანგი (CO ₂) (ტონა)	285,415	255,321	277,183	266,887	251,802
პირდაპირი მეთანი (CH ₄) (ტონა)	311	325	339	315	320
პირდაპირი სათბურის აირები (BP-ის წილი) (CO ₂ -ის ექვივალენტი ტონებში)	88,289	79,122	85,765	93,013	78,471
გოგირდის ორჟანგი (SO _x) (ტონა)	102	90	78	79	80
ამოტის ოქსიდები (NO _x) (ტონა)	2,309	2,116	2,017	1,963	1,955
არამეთანური ნახშირწყალბადები (NMHC) (ტონა)	1,206	1,204	1,212	1,166	1,171
განთავსებული სახიფათო ნარჩენი (მ ³)	691	545	643.5	480.8	537.2
განთავსებული არასახიფათო ნარჩენი (ტონა) ^ა	423	335	316	394.6	364.9
თანამშრომლები					
BP საქართველოს თანამშრომელთა საერთო რაოდენობა	405	398	438	490	504
საქართველოს მოქალაქეები BP საქართველოს თანამშრომელთა შორის (%)	95	96	95	94	94

SCPX პროექტის მაჩვენებლები

ჩვენ ვაწარმოებთ ჩვენი გარემოსდაცვითი მაჩვენებლების აღრიცხვას იმავე სისტემით, რომელსაც მიმდინარე ექსპლუატაციის პროცესში ვიყენებთ და გამოვაცხევენებთ ამ მონაცემებს მას შემდეგ, რაც პროექტის ფარგლებში ჩატარებული საქმიანობის მასშტაბები გაიზრდება.

31 დეკემბრის მდგომარეობით

შრომის უსაფრთხოება	2013
BP-ის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევა	0
გაცდენილი სამუშაო დღეები	1
გაცდენილი სამუშაო დღეების სიხშირე	0.29
აღრიცხვადი პროფესიული ავადმყოფობისა და ტრავმების შემთხვევები	2
აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე	0.59
ავტოსატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობა	1
თანამშრომლები	
BP საქართველოს თანამშრომელთა საერთო რაოდენობა SCPX პროექტზე	32

შენიშვნები:

- ^a ეს ციფრები გამოსახავს BP-ისა და მისი პარტნიორების მიერ გადახდილ „ნაღდ“ თანხებს, მათ შორის, BTC-ის გრანტისა და BP-ის „ვალდებულების“ ფარგლებში გაცემულ თანხებს. BTC-ის გრანტისა და BP-ის „ვალდებულების“ შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ, შესაბამისად, *BP საქართველოს 2005 და 2006 წლების „მდგრადი განვითარების ანგარიშები“*. 2012 წლის მანამდე გაცხადებული მაჩვენებელი – 3.2 მილიონი დოლარი შესწორებულია.
- ^b უსაფრთხოების მონაცემები მოიცავს საქართველოში განხორციელებულ ყველა საქმიანობას, რომელიც წინამდებარე ანგარიშში არის აღწერილი (პროექტები, ექსპლუატაცია (BTC, SCP, WREP, სუფსის ტერმინალი, ექსპლუატაციის დამხმარე ობიექტები), ადმინისტრაცია და Air BP).
- ^c გაცემილი სამუშაო დღეები (DAFWR): სამუშაოსთან დაკავშირებული ტრავმა ან ავადმყოფობა, რომლის შედეგად დგება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე გარემოება:
- BP-ის თანამშრომელმა ვერ შეძლო მუშაობა, ტრავმის ან ავადმყოფობის გამო, ნებისმიერი ერთი დღის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, ივადმყოფოდა თუ არა მისი მუშაობა სამუშაო გრაფიკის მიხედვით.
 - ექიმის ან ჯანდაცვის სხვა ლიცენზირებული სპეციალისტის რეკომენდაციის მიუხედავად, რომ თანამშრომელი სახლში დარჩენილიყო, იგი მაინც გამოცხადდა სამუშაოზე.
- ^d BP-ის პერსონალში იგულისხმება BP-ის ყველა თანამშრომელი, BP-ის ყველა კონტრაქტორი და BP-ის ყველა დირექტორი.
- ^e DAFWCF: გაცემილი სამუშაო დღეების სიხშირე: BP-ის პერსონალის მიერ მიღებული ტრავმების რაოდენობა, იმავე პერიოდში ნამუშევარ ყოველ 200000 საათზე. BP-ის კონტრაქტორების პერსონალის მიერ მიღებული ტრავმების რაოდენობა, იმავე პერიოდში ნამუშევარ ყოველ 200000 საათზე.
- ^f აღრიცხვადი პროფესიული ტრავმები და ავადმყოფობა: აშშ-ის შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების ადმინისტრაციის (OSHA) სტანდარტის მიხედვით, აღრიცხვადობას განაპირობებს კრიტერიუმების ორი ჯგუფი: ზოგადი და კონკრეტული. თუ ავადმყოფის ან ტრავმის შემთხვევა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებიდან რომელიმეს, მაშინ ის აღრიცხვად შემთხვევად უნდა ჩაითვალოს.

ზოგადი: დაღუპვა; გაცემილი სამუშაო დღე (დღეები); შრომის შეზღუდული უნარი ან სხვა სამუშაოზე გადაყვანა; სამედიცინო დახმარების საჭიროება, პირველადი დახმარების გარდა; გონების დაკარგვა; ექიმის ან ლიცენზირებული სამედიცინო პერსონალის მიერ დიაგნოსტიკური სერიოზული ტრავმა ან ავადმყოფობა.

კონკრეტული: ნახშირი ნემსით ან ისეთი ბასრი სამედიცინო იარაღით მიღებული ჭრილობა, რომელიც დაბინძურებულია სხვა ადამიანის სისხლით ან პოტენციური ინფექციის მატარებელია; სამუშაოდან ჩამოშორება სამედიცინო მიზეზებით, მთავრობის მიერ დადგენილი ნორმების მიხედვით; პროფესიული საქმიანობით გამოწვეული სმენის დაქვეითება (სმენის სიმახვილის ტესტმა უნდა უჩვენოს 10 დეციბელის სხვაობა მიმდინარე ფონურ მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო სმენის დაქვეითების ჯამური მაჩვენებელი 25 დეციბელით ან მეტით უნდა აღემატებოდეს აუდიომეტრულ ნულს).

^g აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე:

BP: BP-ის თანამშრომლების აღრიცხვადი ტრავმების საერთო რაოდენობა, იმავე პერიოდში BP-ის თანამშრომლების მიერ ნამუშევარ ყოველ 200000 საათზე. კონტრაქტორი: BP-ის კონტრაქტორების პერსონალის აღრიცხვადი ტრავმების საერთო რაოდენობა, იმავე პერიოდში BP-ის კონტრაქტორების მიერ ნამუშევარ ყოველ 200000 საათზე.

^h ავტოსატრანსპორტო შემთხვევები: სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მთავარ ან მეორად გზებზე მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევა, რომელიც იწვევს სხეულის დამიანებას, ზარალს/ზიანს, გარემოზე მიყენებულ ზიანს, მიუხედავად იმისა, პირდაპირ ეხება თუ არა BP-ს და/ან მის კონტრაქტორს თუ რომელიმე მესამე მხარეს, ან შეიძლება თუ არა ავტოსატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება. ეს არ მოიცავს ყველა იმ ავტოსატრანსპორტო შემთხვევას, როცა:

- BP-ის თანამშრომლის ავტოსატრანსპორტო საშუალება კანონიერად იყო გაჩერებული;
- ავტოსატრანსპორტო საშუალება მოძრაობდა მძღოლის სახლიდან სამუშაო ადგილამდე ან პირიქით მიმართულებით.
- მიყენებულია მცირე დაზიანება ან ცვეთა (მაგ., საქარე მინაზე კენჭის მოხვედრა, შეღების ფენის მცირე დაზიანება).

• ავტოსატრანსპორტო შემთხვევა გამოწვეულია ქურდობის ან ვანდალიზმის აქტის მიზეზით.

• კომპანიის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება გამოყენებულია არასამუშაო მიზნებით (მაგ., პირად საქმეზე ან სამსახურისგან თავისუფალ დროს).

ⁱ ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო სიხშირე (TVAR): მსუბუქი ავტომანქანების, სატვირთო ავტომანქანებისა და პორტატული ტექნიკის გადაადგილებისას მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო რაოდენობა, ყოველ ერთ მილიონ გავლილ კილომეტრზე.

^j ნამუშევარი დრო: BP-ის პერსონალის მიერ ნამუშევარი საათები იმ დანაყოფის შემადგენლობაში, რომელიც ანგარიშების საგანს წარმოადგენს.

^k გავლილი კილომეტრები: BP-ის ან კონტრაქტორების კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, მათი პერსონალის მიერ სამსახურებრივი მიზნით გავლილი კილომეტრების რაოდენობა. მასში შედის სამსახურებრივი დანიშნულებით, ნაქირავები/იჯარით აღებული ან კერძო ავტოსატრანსპორტით გავლილი კილომეტრების რაოდენობა.

^l ყველა გარემოსდაცვითი მაჩვენებელი ასახავს BP-ის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი გაფრქვევების სრულ მოცულობას, გარდა „სათბურის აირების პირდაპირი გაფრქვევის წილობრივი მაჩვენებლისა“, რომელიც უჩვენებს მხოლოდ BP-ის წილს გაფრქვევებში იმ საწარმოებიდან, რომელშიც BP-ს წილობრივი მონაწილეობა გააჩნია.

^m ნახშირწყალბადების დაღვრა: ერთი ბარელი (159 ლიტრი, ანუ 42 ამერიკული გალონი) მოცულობის ნებისმიერი თხევადი ნახშირწყალბადის დაღვრა. პირველადი გარსაცმის ჰერმეტიკულობის დარღვევა არის მასალების არაგემოური და უკონტროლო გაღწევა პირველადი გარსაცმიდან.

ⁿ არასახიფათო ნარჩენი მოიცავს საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, საკვების ნარჩენებს, მინისა და სხვა მასალების ნარჩენებს, რომლებიც მეორად გადამუშავებას არ ექვემდებარება.

დამოუკიდებელი საგარანტიო განცხადება BP-ის მენეჯმენტს

BP საქართველოს 2013 წლის „მდგრადი განვითარების ანგარიში“ (შემდგომში – „ანგარიში“) მომზადდა BP საქართველოს მენეჯმენტის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის მოძიებასა და წარმოდგენაზე. BP-ის მენეჯმენტის ინსტრუქციების მიხედვით, ჩვენი მოვალეობაა, ანგარიშის შემოწმებული მასშტაბის შემოწმების ჩატარება.

ჩვენ არ ვიღებთ რაიმე სხვა პასუხისმგებლობას, რაიმე სხვა მიზნით, სხვა რომელიმე პირისა თუ ორგანიზაციის წინაშე. ნებისმიერი მესამე მხარე ამ ანგარიშს მხოლოდ საკუთარი პასუხისმგებლობით უნდა დაეყრდნოს.

როგორ გაგაკეთეთ დასკვნები

ეს შემოწმება დაიგეგმა და განხორციელდა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის სტანდარტის – IAEA3000¹-ის შესაბამისად.

ანგარიში შეფასდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- სათანადოდ არის თუ არა ანგარიშში ასახული 2013 წელს BP საქართველოს საქმიანობასთან დაკავშირებული ის ძირითადი საკითხები, რომლებზეც ყურადღება გაამახვილა მასშტაბი, გამოიკვეთა თავად BP საქართველოს მიერ მდგრადი განვითარების საკითხების მიმოხილვისას ან აისახა შიდა დოკუმენტაციაში.
- შესაბამისობაშია თუ არა ანგარიშში მოყვანილი, მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია BP-ის მენეჯერების მიერ მოწოდებულ განმარტებებთან და მტკიცებულებებთან.
- შეესაბამება თუ არა ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები მდგრადი განვითარების შესახებ შესაბამისი ბიზნესდანიშნულების დონეზე აღრიცხულ მონაცემებს.

ჩვენი დასკვნების ჩამოსაყალიბებლად, გადავდგით შემდეგი ნაბიჯები:

1. შევისწავლეთ მედიაში გამოქვეყნებული სტატიები და შიდა დოკუმენტები, რომლებიც აღწერს 2013 წელს BP-ის მიერ საქართველოში განხორციელებულ მდგრადი განვითარების ხელშეწყობს საქმიანობას, მათ შორის, სამხრეთ კავკასიის გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტის „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე გემოქმედების შეფასება“.
2. შევისწავლეთ BP საქართველოს მიერ ანგარიშში გადმოსაცემი ძირითადი საკითხების შერჩევის პროცესი.
3. შევისწავლეთ ანგარიშში მოყვანილი მონაცემებისა და განცხადებების დასადასტურებლად წარმოდგენილი ინფორმაცია და განმარტებები. ანგარიშში ასახული მონაცემების შესახებ დოკუმენტაციის განხილვისას, არ შეგვიმოწმებია თავად მონაცემთა შეგროვების, შეჯერებისა და აღრიცხვის პროცესი, ქვეყნის ან ობიექტების დონეზე.

შემოწმების დონე

მტკიცებულებების მოპოვების ის პროცედურები, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ, გულისხმობს შემოწმებული მასშტაბის შემოწმებას, რომელსაც ჩვენი დასკვნები ეყრდნობა. მტკიცებულებების შეგროვების ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურები უფრო მცირე მასშტაბისაა, ვიდრე სრულფასოვანი აუდიტი (როგორცაა, მაგალითად, ფინანსური აუდიტი) და, შესაბამისად, ჩატარებული შემოწმებაც უფრო შემოწმებულია.

ჩვენი დასკვნები

ჩატარებული შემოწმების საფუძველზე ჩვენ მიერ გაკეთებული დასკვნები ქვემოთ არის წარმოდგენილი:

1. არის თუ არა განხილული ანგარიშში ძირითადი საკითხები?
ჩვენთვის არ არის ცნობილი BP საქართველოს მდგრადი განვითარებასთან დაკავშირებული რაიმე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც ყურადღება გაამახვილა მასშტაბი, ან გამოვლინდა BP საქართველოს არსებითი მნიშვნელობის მოვლენების შიდა მიმოხილვის შედეგად და რომელიც ამ ანგარიშში არ აისახა.

2. არის თუ არა BP საქართველოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობი საქმიანობის ამსახველი მონაცემები და განცხადებები დადასტურებული განმარტებებითა და მტკიცებულებებით?

ჩვენთვის არ არის ცნობილი რაიმე არასწორი განცხადება, რომელსაც შეიცავს BP-ის მენეჯმენტის მიერ BP საქართველოს მდგრადი საქმიანობის შესახებ ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები და მტკიცებულებები.

ჩვენი დამოუკიდებლობა

როგორც BP p.l.c.-ს აუდიტორი, Ernst & Young-ი ვალდებულია, დააკმაყოფილოს აუდიტორული პრაქტიკის ბიუროს (APB) აუდიტორთა პროფესიული ეთიკის ნორმების მოთხოვნები. Ernst & Young-ის დამოუკიდებლობის პოლიტიკა ვრცელდება ფირმზე, პარტნიორებსა და პროფესიონალ თანამშრომლებზე. აღნიშნული პოლიტიკით იკრძალება ჩვენს კლიენტებთან ნებისმიერი ისეთი სახის ფინანსური ურთიერთობა, რომელიც შეამცირებს დამოუკიდებლობის დონეს ან, შესაძლოა, ამგვარად იქნეს განხილული. პარტნიორებსა და პერსონალს მოეთხოვებათ, რომ ყოველწლიურად დაადასტურონ თავიანთი საქმიანობის შესაბამისობა ფირმის პოლიტიკასთან.

ჩვენ ყოველწლიურად ვატყობინებთ BP-ს, მოხდა თუ არა ისეთი შემთხვევა, მაგალითად, აკრძალული მომსახურება, რაც ჩვენს დამოუკიდებლობაზე იქონიებდა გავლენას. 2013 წელს ასეთი შემთხვევა ან მომსახურება არ ყოფილა.

Ernst & Young LLP

ლონდონი
14 აპრილი, 2014 წელი

¹ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც არ გულისხმობს აუდიტსა და ისტორიული ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვას (ISAE 3000).

ტერმინთა განმარტება

BTC

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი

CBO

სათემო ორგანიზაცია

CDI

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების
ინიციატივა

CO₂

ნახშირორჟანგი

DAFWC (f)

შრომის უნარის დაკარგვის მიზეზით გაცდენილი
სამუშაო დღეები (სიხშირე)

EDDF

ნავთობის ავარიულად ჩამოსაცლელი ობიექტი

EMS

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა

EU

ევროკავშირი

EUGBC

ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო

ESIA

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების
შეფასება

GHG

სათბურის აირი

HSE

ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და
გარემოს დაცვა

IEC

დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი კონსულტანტი

IFC

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია

ISET

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა

Mmboe

მილიონი ბარელი ნავთობის ეკვივალენტი

Mmscf

მილიონი სტანდარტული კუბური ფუტი

NGO

არასამთავრობო ორგანიზაცია

PMC

პროექტების მართვის კოლეჯი

PSG

ნავთობსაქაჩი სადგური საქართველოს
ტერიტორიაზე

SCP

სამხრეთ კავკასიური გამსადენი

WREP

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო
მილსადენი (იგივე, ბაქო-სუფსის ნავთობსადენი)

დამატებითი ინფორმაცია

BP აქვეყნებს ინფორმაციას საკუთარი არაფინანსური ვალდებულებებისა და საქმიანობის შესახებ – ჯგუფის, ქვეყნებისა და ცალკეული საწარმოების დონეზე, ელექტრონული ფორმით. კომპანიის ვებსაიტის დამთვალიერებლებისათვის შექმნილია აგრეთვე ამ ინფორმაციის მოსაძებნი ინტერაქტიული რუკა.

ანგარიშგება BP ჯგუფის დონეზე

ჩვენი მდგრადი განვითარების ანგარიშგების პროცესის განუყოფელი ნაწილია ჩვენი ვებგვერდი bp.com/sustainability, რომელიც შეიცავს დაწვრილებით ინფორმაციას კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ მრავალ სხვადასხვა საკითხზე. ვებსაიტი ასევე შეიცავს დეტალურ ინფორმაციას და ინსტრუმენტულ საშუალებებს, რომლითაც შესაძლებელია გაანალიზდეს ჩვენი მიერ გაწეული საქმიანობა გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სფეროებში. გასული ათწლეულის მონაცემების ხილვა შესაძლებელია სხვადასხვა ფორმატის გრაფიკების სახით. ასევე მოცემულია ჩვენი მიერ მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა სფეროს მართვის კონკრეტული, პრაქტიკული მაგალითები.

BP ჯგუფის 2013 წლის მდგრადი განვითარების ანგარიშის რეზიუმე გამოქვეყნებულია არაბულ, ინგლისურ, ჩინურ, გერმანულ, ესპანურ, პორტუგალიურ და რუსულ ენებზე.

 bp.com/srtranslations

ცალკეული ქვეყნებისა და საწარმოების ანგარიშგები

ჩვენ ვაქვეყნებთ ანგარიშგებს ჩვენი საქმიანობის შესახებ ანგოლაში, ავსტრალიასა და ამერბაიჯანში. გარდა ამისა, გაგვაჩნია ოცდაათამდე მსხვილი საწარმოსა და ობიექტის მდგრადი განვითარების ანგარიშგების არქივი.

 bp.com/countrysustainabilityreports
bp.com/sitereports

გამომავურება

თქვენი ამრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. შეგიძლიათ მოგვწეროთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე, კომუნიკაციისა და საგარეო ურთიერთობათა განყოფილების სახელზე, ან ელ-ფოსტით მისამართზე:

bpgeosust@bp.com

BP საქართველო, თბილისი 0160, ს. ცინცაძის ქ. #24

BP საქართველოს გასული წლების „მდგრადი განვითარების ანგარიშგების“ გაცნობა შესაძლებელია ვებსაიტზე: bpgeorgia.ge

მადლობები:

დიზაინი: ბესიკ დანელია, *IB Design*

ფოტოგრაფები: გელა ყაველაშვილი, *Internews*